

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტის

75-ე

სამეცნიერო სესია

ემღვნება
ინსტიტუტის **75** წლისთავს

მ ა ს ა ლ ე ბ ი

2016 წლის 20-23 დეკემბერი

თბილისი
2016

სამეცნიერო სესია გაიმართება თსუ არნ. ჩიქობავას სა-
ხელობის **ენათმეცნიერების ინსტიტუტის სხდომათა დარ-
ბაზში** (ინგოროყვას ქუჩა № 8, მეორე სართული)

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს – 10 წუთი

მსჯელობაში მონაწილეს – 3 წუთი

რედაქტორები — **ავთანდილ არაბული**
თამარ ვაშაკიძე

© თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

მუშაობის გეგმა

20 დეკემბერი, 11 საათი

პლენარული სხდომა

შესავალი სიტყვა – ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ა. არაბული

ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილება – ხელმძღვანელი გ. კვარაცხელია

ქართველურ ენათა განყოფილება – ხელმძღვანელი გ. გოგოლაშვილი

მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილება – ხელმძღვანელი ვ. შენგელია

ლექსიკოლოგიის განყოფილება – ხელმძღვანელი მ. ლლონტი

ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება – ხელმძღვანელი – თ. ვაშაკიძე

სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილება – ხელმძღვანელი ლ. ქაროსანიძე

წარდგინება პროექტისა **ქართული ტერმინოლოგიური ბაზები** – ლ. ქაროსანიძე, ი. უჯმაჯურიძე (საქართველოს თავდაცვის სამინისტრო)

ენობრივ მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების განყოფილება – ხელმძღვანელი მ. ბერიძე

მისალმებები, მოგონებები

20 დეკემბერი, 14 საათი

- ი. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე – სვანური ენის შესწავლის სათავეებთან
- მ. ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი – მედიოაქტივისებრი გარდამავალი ზმნე-ბის შესახებ
- ნ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი – არის თუ არა „მართვა“ აფხაზურში?
- თ. ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე – პრედიკატული განსაზღვრებისა და ზმნა-შემასმენლის შესიტყვების საკითხის თაობაზე
- ქ. გ ი გ ა შ ვ ი ლ ი – წოვათუშურ-ქართული ბილინგვური დისკურსის ფონეტიკური მახასიათებლები
- ნ. ს უ რ მ ა ვ ა – **მან** ნაცვალსახელის ფუნქციისათვის (დია-ლექტურ მონაცემთა მიხედვით)

21 დეკემბერი, 11 საათი

- მ. ჩ უ ხ უ ა – ბასკურ-კავკასიური მორფოლოგიური შეხვედრე-ბი (ნაცვალსახელი)
- მ. ლ ლ ო ნ ტ ი – ქართ. **ცალ**-ის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდე (ქართ. **ცალ**-ი და **ცერ**-ი)
- რ. ფ ა რ ე უ ლ ი ძ ე – ზმნათა უღლების ტიპების შესახებ ჩეჩ-ნურში
- მ. ბ უ კ ი ა – მეგრული მწყემსური ლექსიკიდან – მატყლი და მასთან დაკავშირებული ლექსიკა
- ნ. ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე – „ტყუილის“ მნიშვნელობის სინონიმური სიტყვები და წყვილები „ვეფხისტყაოსანში“
- ნ. ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე, მ. კ ი კ ო ნ ი შ ვ ი ლ ი – ფუმეგაორკეცებუ-ლი სახელები კნინობით-დამცირებითი ფუნქციით
- მ. ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე, ნ. რ ა ზ მ ა ძ ე – პრაგმატული შევიწროების ტენდენცია, როგორც ახალი სინონიმური წყვილის საფუძველი
- მ. ჯ ღ ა რ კ ა ვ ა – **ხოლო** და **-თი** ნაწილაკიან არსებით სახელ-თა ბრუნების საკითხები ზანურში
- ლ. კ ე ლ ა უ რ ა ძ ე – დამატებანი ქართველურ ენათა ეტიმო-ლოგიური ლექსიკონისათვის – III
- მ. თ ე თ რ ა ძ ე – ხმოვნით დაწყებული ერთმარცვლიანი ფუ-ძეების ანალიზისათვის ლეზგიურში

ნ. ოთინაშვილი – მეჯუდის ხეობის ზემო წელის ონომასტიკური მასალები

ნ. ხოჭოლავაძე-მაჭავარიანი – წმინდა გიორგის სვანური და მეგრული სახელების წარმომავლობისათვის გარეენობრივი ფაქტორების გათვალისწინებით

22 დეკემბერი, 11 საათი

ა. არაბული – ხარისხის ორგანული წარმოების სისტემური ისტორიული ცვლილებისათვის

ე. გაზდელიანი – ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმინთა მრავლობითი რიცხვის წარმოება სვანურში

ქ. მარგიანი-სუბარი – ტერმინ ინფერენციის განმარტებისათვის „აქტუალურ ლინგვისტურ ცნება-ტერმინთა ლექსიკონში“

ს. ოშიაძე – სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“ „ივ. ჯავახიშვილის ბიბლიოთეკიდან“

ნ. ჯორბენაძე – ინტერნეტენა, როგორც უმწერლობო ქართველური ენებისა და დიალექტების შენარჩუნება-განვითარების ფაქტორი

რ. ლოლუა – ალბანეთის მთავარეპისკოპოსის – იერემიას მოღვაწეობის დათარიღებისათვის

მ. საღლიანი, ნ. შავრეშიანი, ლ. გიგლეშიანი – აფრიკატიზაცია-დეზაფრიკატიზაციის საკითხისათვის ჩოლურულ მეტყველებაში

გ. ჯღარკავა, ი. კეკელია – აღმოსავლური წარმომავლობის ანთროპონიმები ოდიშის სამთავროში (XIX ს-ის საოჯახო სიების მიხედვით)

ე. შენგელია – მეგრული **ზისხირ**-ი, ლაზური **დიცხირ**-ი // **დიცხი**-ი „სისხლი“ ლექსემების შემცველი იდიომებისათვის

ნ. ხახიაშვილი – **თანამდებობა** სიტყვის ისტორიისათვის

გ. გვანცელაძე – მცენარეთა იმერული სახელწოდებები და ამ სახელთა იზოგლოსები

მ. ლაზარტყავა – ორმაგი უარყოფისათვის თანამედროვე ქართულში

23 დეკემბერი, 11 საათი

გ. გოგოლაშვილი – მრავალწერტილი ანა კალანდაძის პოეზიაში

ტ. გურგენიძე – ინტერფიქსის ადგილი აფიქსთა სისტემაში

რ. ჭკადუა – **მ**-პრეფიქსული წარმოებისათვის სვანურში

ნ. არდოტელი – ***ი** ხმოვნის რეკონსტრუქციისათვის ნახურ და დაღესტნურ ენებში

მ. რობაქიძე – „კურ“ ძირის ეტიმოლოგიისა და სიტყვათველის შესახებ ქართულსა და სომხურში

თ. ლომთაძე – ენობრივი პოლიტიკა – დეფინიციები, ტიპები

მ. საღლიანი – არაიდენტურ **ა+ე** ხმოვანთკომპლექსის ელიზიისათვის სვანურში

ც. ჯანჯღავა – დაახლოებითი რიცხვითი სახელი მეგრულ-ლაზური ენის მეგრულ დიალექტში

თ. ტეტელოშვილი – **მე** ნაწილაკიან ნაცვალსახელთა მართლწერისათვის თანამედროვე ქართულში

ნ. ფონიავა – აფხაზურ-აბაზურ აფიქსურ მორფემათა ფონემატური სტრუქტურა. II. აბაზური მორფემები

დ. კაკაშვილი – წოვათუშურის თანამედროვე მდგომარეობა და ენის გაცოცხლების მექანიზმები

კ. მითაგვარია – მცენარეთა აღმნიშვნელი ლექსიკის შესახებ ადიღეურში

ს. ბერულავა – საკუთარ სახელთა ბრუნება ზანურში

ავთანდილ არაბული

ხარისხის ორგანული წარმოების სისტემური ისტორიული ცვლილებისათვის

აკაკი შანიძის დებულების თანახმად: „ხარისხის სახელები ძველ ქართულში ორია: დადებითი და უფროობითი. ძირეული სახელი დადებითად ითვლება, წარმოქმნილი კი - უფროობითად (*მოკლე - უ-მოკლე-ლს-ი*)“: რადგანაც დიდი გრამატიკოსი ახალი ქართულისათვის ხარისხის სამწევროვან სისტემას აგებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი უკიდურესად პერიფერიულ მოვლენად მიიჩნევს იმას, რომ ძველ ქართულში ვლინდება ფორმები, რომლებიც აშკარად გამოხატავენ დადებითთან შედარებით ხარისხობრივად ნაკლებ ნიშან-თვისებას, ანუ იმას, რასაც ახალი ქართულის ე. წ. ოდნობითი ხარისხის ფორმები: „*სხუათა თუალებსა ხედვიდა მოწითანედ და სისხლის-ფერად*“ (*მ. ცხ. 415r*); და *არს თმა მოყვთლო, გინა მოწითლე მწულილი*“ *pb.*, - „*არს... თმაჲ მომწითურე... სჳეტაკად*“ (*გ. ლევიტ. 13, 30*); „*იქმნას ნიში მომწუანე ანუ მომწითურე*“ (*გ. ლევიტ. 13, 40*)...

ძველი ქართულის უფროობითი ხარისხის ფორმათა სინტაგმატიკა წარმოაჩენს, რომ ეს წარმოება მართლაც შედარებითი („უფროობითი“) შინაარსისაა; შდრ.:

(ა) *[იგი] ჭემმარიტად ლომისა ძუვისა ლ ე კ უ ს ა უფიცებლს* არს (*სინ. მრ. 210, 22*);

(ბ) *თ ა ფ ლ ი ს ა უტკობისსა და უსარგებლსსა იტყოდა* (*სინ. მრ. 86, 7*);

(გ) *მამაჲ ჩემი უფროის ჩ ე მ ს ა არს* (*ი. 14, 28*).

ივარაუდება, რომ ასეთივე შედარებითი შინაარსი უნდა ჰქონოდა ოდნობითი ხარისხის წარმოებასაც, როგორც ასევე (მსგავსად უფროობითი ხარისხისა) ზმნური გენეზისის დერივატს: „*მოწითანე მი ს ა...*“

ამდენად, ძველ ქართულში ხარისხის ორგანული სისტემის ჩამოყალიბების დასრულებულ ეტაპზე ერთგვარი სემანტიკური სიმეტრია გვაქვს: ცენტრალური, ე. წ. დადებითი ხარისხი და, მასთან მიმართებით, ორი შედარებითი ხარისხი: ერთი - „მარჯვნივ“ („უფ-

როობითი“) და ერთი – „მარცხნივ“ (ე. წ. „ოდნაობითი“).

დროთა განმავლობაში უფროობითი ხარისხი გამოდის სინ-ტაგმატური განსაზღვრულობის ველიდან და განიცდის აღმატებით ხარისხად ტრანსფორმაციის პროცესს შემდეგი მექანიზმით:

[სიტყუად **უტკბოასი** თ ა ფ ლ ი ს ა] > [უტკბესი//უტკბილესი სიტყვა]:

„ქართლის მიწავ, უტკბილესო, საყვარელო ქართლის მიწავ!“

(მ. გელოვ.);

„ცხოვრება ჩემი უანკარეს ღვინის ფერია“ (გ. ტაბ.)...

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში (არქაული გამო-ნაკლისების გარდა) ამ ფორმების „აღმატებითობა“ უეჭველია და ამის დასტურია მინიშნებული სინტაგმატიკაც.

ანალოგიურ ტრანსფორმაციას დაექვემდებარა (შესაძლებე-ლია – აღნიშნულზე წინარეც) ოდნაობითი ხარისხის სემანტიკური პოზიციაც და ამ შემთხვევაში ასევე მივიღეთ ნამდვილი ოდნაობი-თი ხარისხი, ანუ „აღმატებითი“ მინუს ნიშნით.

ამდენად, ახალ ქართულში ხარისხის ორგანული წარმოება წარმოგვიდგება ახალი სისტემური სიმეტრიის სახით: ამოსავალი – ე. წ. დადებითი ხარისხი და, მასთან მიმართებით, ორი „აღმატები-თი“ ხარისხი: ერთი – „მარჯვნივ“ (ე. წ. „უფროობითი“) და ერთი – „მარცხნივ“ („ოდნაობითი“). სემანტიკური თვალსაზრისით ეს საკმა-ოდ ხელშესახებია:

უთეთრეს-ი ყველაზე უფრო თეთრია (მასზე „უფრო თეთრი“ აღარ არსებობს);

მოთეთრო ყველაზე ნაკლებ თეთრია (მასზე „ნაკლებ თეთრი“ აღარ არსებობს).

ნოდარ არდოტელი

*ი ხმოვნის რეკონსტრუქციისათვის ნახურ და დაღესტნურ ენებში

1. საერთო-ნახურ-დაღესტნური *ი მეტადრე მახვილიან პოზიციაში დაცულია, თუმცა უმახვილო *ო-ს დიდოურსა და ლეზგიურ ენებში განუცდია როგორც პოზიციური, ისე სპონტანური ცვლილებები. კერძოდ, ანდიურ-დიდოურ ენათა სინამდვილეში იგი წარმოდგენილია ზუსტი დისტრიბუციის გარეშე შემდეგი რეფლექსებით: ანდ. : ახვ... **ო/ე**, დიდ. : ჰინ. : ინხ. დიალ. **ე** (<*ი). საკუთრივ დიდოურში იშვიათად შემონახულია არქეტიპები, ხოლო ლაკურ-დარგულ ენებში, როგორც წესი, ამოსავალი *ი დაცულია. რაც შეეხება ლეზგიურ ენებს, მახვილიანი **ი** ამოსავალ ვითარებას გვიჩვენებს, თუმცა პოზიციურად ხშირად იცვლება: ***ო>უ, ო, ე**. გარდა ამისა, ანდიურ ენებში ამოსავალი ***ი**-ს რეფლექსები არაიშვიათად **ე**-ს სახით არის წარმოდგენილი.

საერთო-ნახურ-დაღესტნური ქრონოლოგიური დონის ***ი**-ს შესატყვისობის ფორმულა შეიძლება ასე გამოიხატოს:

*	ჩეჩნ.	ხუნძ.	ანდ.	ახვ.	დიდ.	ხვარშ.	ბეჟ.	ლაკ.	დარგ.	ლეზგ.	არჩ.	თაბ.	უდ.
ი	ი	ი	ო/ე	ო/ე	ო/ე	ო/ე	ი	ი	ი	ი	ი	ი	ი/ე

მოვიყვანთ ორიოდე საილუსტრაციო მაგალითს:

1) ჩეჩნ. ვაშა (<ვაშო) ~ ხუნძ. უაჯი (კუს.) ~ ანდ. ოჯი : ახვ. უაჯი ~ დიდ. ესიჟ : ხვარშ. ის (<ისი) : ბეჟ. ისი („და“) ~ ლაკ. უსუ (<*უსი-ასიმინაციით) : დარგ. აჯი ~ უდ. : კავკ. ალბ. ვიჩი : თაბ. ჩი : კრიწ. შიდ „ძმა“.

2) ჩეჩნ.-ბაგბ. ხი : ინგ. ხიდ : ~ ხუნძ. ლინ/-მ ~ ანდ.: ბოთლ.: ღოდ.: ახვ. ლენი : ჭამ. ლინ ~ დიდ. ლი : ჰინ. ლე : ბეჟ. ლი (საკ. ბეჟ.), ლგ⁵ (ჰუნზ.) ~ დარგ. შინ/ჰინ : ლაკ. შინ ~ არჩ. ლან (< *ლინ) :

თაბ. შარ (ჩრდ.) < შიდ (სამხრ.) : უდ. ხე (< *ხი) „წყალი“...

2. ამოსავალი *ო-ს საილუსტრაციო მაგალითებში შეინიშნება ცალკეული დარღვევები, რომლებიც გამოწვეულია კომბინაციური ფონეტიკური პროცესების (ასიმილაცია, დისიმილაცია, ლაბიალიზაცია...) ჩარევით და, შესადარებელ ენათა მიხედვით, მეტ-ნაკლებად განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს, მაგ.: ჩეჩნ. ვაშა (<*ვაშო - ასიმილაცია, შდრ. ხუნძ. უაგო [კუს.], ანდ. ოცო, ახვ. უაგო „ძმა“...), ანდ. სედი – დისიმილაცია, შდრ. ბოთლ., ბაგვ., კარ. სო⁵, ლოდ. სიპი⁶ „დათვი“...). ზოგჯერ *ო-ს გაფართოების ტენდენცია, ცალკეულ ენათა მიხედვით, ხელშესახებია, თუმცა არ ჩანს მისი შემაპირობებელი მიზეზი, მაგ.: ჩეჩნ. ჩა (<*ჩე<*ჩი? შდრ. ხუნძ. ცი : დარგ. სიქა „id.“) „დათვი“, უდ. ხე < *ხი, შდრ. თაბ. შიდ (სამხრ.) „წყალი“...

3. წინა რიგის, მაღალი აწეულობის ო მკვიდრად ფესვგადგმულია საკვლევ ენათა სინამდვილეში, იგი ფუნქციონირებს სიტყვის ყოველგვარ ფონოლოგიურ პოზიციაში, დასტურდება ძირეულ ლექსიკაში და ავლენს კანონზომიერ შესატყვისობებს, რაც გვაძლევს საფუძველს, მისი არსებობა დავუშვათ ნახურ და დაღესტნურ ენათა ერთიანობის ხანაში.

მ ა რ ი ნ ა ბ ე რ ი ძ ე

ენობრივი მონაცემების კომპიუტერული დამუშავების განყოფილება – განვლილი გზა და სამომავლო პერსპექტივა

1. განყოფილების შექმნის ისტორია

ენობრივი მონაცემების კომპიუტერული განყოფილება ყველაზე ახალგაზრდაა ინსტიტუტის სტრუქტურაში. ის ჩამოყალიბდა 2006 წელს ორი სტრუქტურული რგოლის – ლინგვისტური ატლასისა და კომპიუტერული ლინგვისტიკის ლაბორატორიების – ბაზაზე. განყოფილებას უნდა შეეთავსებინა ენის ახალი ტექნოლოგიური მეთოდებით დოკუმენტირებისა და კომპიუტერული ლინგვისტიკის (კომპიუტერული დამუშავება-მოდელირება) ფუნქციები.

განყოფილების შექმნის მომენტისათვის ორივე ზემოთ დასახელებული სტრუქტურული რგოლი ღრმა კრიზისს განიცდიდა – ლინგვისტური ატლასის ჯგუფი აგრძელებდა ტექსტური არქივისა

და ლექსიკური კითხვარების დამუშავებას, მაგრამ ტექნიკური ბაზის სერიოზული პრობლემების გამო წლების მანძილზე საკუთარ ნამუშევარზე (დიგიტალიზებულ ტექსტურ მასივზე) ხელმისაწვდომობა არ ჰქონდა. ამასთან, ლინგვისტური მონაცემების კარტოგრაფირების არსებული კონცეფცია განუხორციელებელი გახდა როგორც ტექნიკური უზრუნველყოფის არარსებობის, ისე მეცნიერული აქტუალურობის დაკარგვის გამო. ლაბორატორია ეძებდა კრიზისის დაძლევის გზას და მცირე ინდივიდუალური პროექტების საშუალებით განაგრძობდა ტექსტური კოლექციის შევსებას და წინა წლებში შესრულებული სამუშაოს რეაბილიტაციას.

უნდა ითქვას, რომ 2006 წლიდან, როცა ლაბორატორიამ ახალი განყოფილების წიაღში განაგრძო მუშაობა, ტექსტური ბაზის შექმნა დავიწყეთ ნულიდან და ხელახლა მოგვიწია დიალექტური ტექსტების დიდი ნაწილის გაციფრება.

კრიზისის მდგომარეობაში გახლდათ ინსტიტუტში ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან ერთ-ერთ პრიორიტეტად აღიარებული მიმართულება „კომპიუტერული ლინგვისტიკა“: 2006 წლისთვის ამ მიმართულებით მომუშავე არცერთი ჯგუფი და პიროვნება **ოფიციალურად ინსტიტუტის ფარგლებში** ამ პრობლემატიკაზე უკვე აღარ მუშაობდა.

ენობრივ მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების განყოფილების შექმნა ერთგვარი გამოსავალი უნდა გამხდარიყო ამ კრიზისიდან. ერთი მხრივ, მას უნდა უზრუნველყო ენობრივი მონაცემების ახალი ტექნოლოგიებით დოკუმენტირების პრაქტიკული და თეორიული საფუძვლების შექმნა, მეორე მხრივ, უნდა მოეხერხებინა კომპიუტერული ლინგვისტიკის პრობლემატიკის კვლავ ინსტიტუტში (რაიმე სახით მაინც) „დაბრუნება“.

2. განყოფილების სამუშაო პრიორიტეტები

განყოფილების სამუშაო საანგარიშო პერიოდში წარიმართა შემდეგი მიმართულებებით:

- ენის დოკუმენტირება თანამედროვე მეთოდებით
- ქართული ენის თემატური კორპუსების შექმნა
- კორპუსული ლინგვისტიკის ცალკეული საკითხების დამუშავება
- კორპუსული ლექსიკოგრაფიის განვითარება
- კორპუსზე დაფუძნებული ლექსიკოგრაფიული სამუშაოების ორგანიზება
- კორპუსზე დაფუძნებული დიალექტოლოგიური კვლევის ორგანიზება

- კორპუსულ პროდუქციაზე სამომხმარებლო მიჯაჭვულობის განვითარება
- კორპუსული ქართველოლოგიის განვითარება
- საკუთარი კვლევების ინტერნაციონალიზაცია
- ახალი ცოდნის შემოტანა და დამკვიდრება
- ახალგაზრდა მეცნიერთა ჩართვა განყოფილების პრობლემატიკაში

3. განყოფილებაში შექმნილი სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროდუქცია

• **ქართული დიალექტური კორპუსი** – საცდელი ვერსია გამოქვეყნდა 2009 წლის ოქტომბერში; მოიცავს 1 871 459 სიტყვას, 402 953 სიტყვაფორმას, 30305 ტექსტს, 292396 კონტექსტს; ამჟამად ანოტირებულია 425 185 სიტყვაფორმა.

• ონლაინლექსიკონები:

1. ლაზური ლექსიკონი
2. ფერეიდნული ლექსიკონი
3. ინგილოური ლექსიკონი
4. თურქეთის ქართული დიალექტების (ჩვენებურების ქართულის) ლექსიკონი

• **ქართული სამეცნიერო მეტაენის კორპუსი (ბესარიონ ჯორბენაძის ნაშრომთა ქვეკორპუსი)** – საცდელი ვერსია გამოქვეყნდა 2015 წელს; მოიცავს 1031 350 სიტყვას, 145721 სიტყვაფორმას, 145 ტექსტს, 71 361 კონტექსტს.

• **ქართული სამეცნიერო მეტაენის სამენოვანი (ქართული, ინგლისური, რუსული) გლოსარიუმი**

4. განყოფილებაში განხორციელებული საველე სამუშაო

- საინგილო: 2007, 2012, 2014.
- ფერეიდანი: 2008, 2009, 2012, 2015
- ტაო-კლარჯეთი: 2010, 2012, 2015
- საქართველო (აჭარა, კახეთი, ქართლი, სამცხე-ჯავახეთი – მიგრაციული პროცესების ფიქსაცია და დოკუმენტირება) – 2006 – 2014.

5. საერთაშორისო თანამშრომლობა და კონტაქტები

- გერმანია – ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტი, ემპირიულ კვლევათა ინსტიტუტი
- ბრიტანეთი – ლიდსის უნივერსიტეტი
- ბრიტანეთი – ლანკასტერის უნივერსიტეტი

- რუსეთი – სანკტ-პეტერბურგის გერცენის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტი
- ბელორუსია – გროდნოს უნივერსიტეტი
- ერევანი – ირანისტიკის კვლევის ცენტრი
- თეირანი – ენისა და ლიტერატურის აკადემია, ირანში გავრცელებული ენებისა და დიალექტების კვლევის დეპარტამენტი
- ...

6. მიმდინარე თეორიული სამუშაო

- ფერეიდნულის მონოგრაფიული კორპუსული კვლევა (მ. ბერიძე, ლ. ბაკურაძე)
- სახელმძღვანელო: „კორპუსლინგვისტიკის შესავალი“ – მ. ბერიძე, ლ. ლორთქიფანიძე
- კორპუსლინგვისტიკის ქრესტომათიული თარგმანები (ზ. კიკვიძე)
- კორპუსლინგვისტიკისა და ქართველოლოგიის ცალკეული პრობლემეტიკის კვლევა

7. უახლოესი პროექტები

- დიდი ქართული დიალექტური ლექსიკოგრაფიული ბაზა და ქართული დიალექტების ელექტრონული ატლასი (GEDA)
- ქართული ენობრივი კუნძული ტრანსენთნიკურ არეალში (GLITEA) – ფერეიდნული დიალექტი ირანში
- საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი – ფრანკფურტი 2018 (ფრანკფურტის წიგნის ბაზრობისთვის)

8. განყოფილების სამუშაო პერსპექტივა

- ზოგადი (General) კორპუსის კონცეფციის დამუშავება და მისი შექმნის პრობემების მომზადება (ინტელექტუალური და ტექნოლოგიური რესურსის შექმნა)
- სპეციალური კორპუსების შექმნის მეთოდისა და ტექნოლოგიის განვითარება
- ქართული უნივერსალური ლექსიკოგრაფიული ბაზის შექმნა თანამედროვე უცხოური ანალოგების გათვალისწინებით
- ქართული ენის დოკუმენტირების, კვლევის, ტექნოლოგიზების ამოცანების დროისა და ეპოქის შესაბამისი მეთოდოლოგიითა და ტექნოლოგიებით გადაწყვეტა

9. ტრადიციული საერთაშორისო კონფერენციებისა და სეზონური სკოლების ორგანიზება, აქტიური მონაწილეობა მაღალი კლასის საერთაშორისო ფორუმებზე, კორპუსის ლინგვისტიკის პრობ-

ლემბტიკაში ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველყოფა, დარგის განვითარებაზე თვალყურის დევნება და ახალი ცოდნის განუწყვეტელი გადმოტანა ქართულ საგანმანათლებლო და კვლევით სივრცეში.

სოფიკო ბერულავა

საკუთარ სახელთა ბრუნება ზანურში

სამეცნიერო ლიტერატურაში საკუთარ სახელთა ბრუნება ცალკე არ არის წარმოდგენილი (მხედველობაში გვაქვს მეგრულ-ლაზური საკუთარი სახელები), ვინაიდან საკუთარ სახელებს რაიმე ნიშნით განსხვავებული ბრუნება არა აქვთ. ქართულში სალიტერატურო ენის ნორმებით ხდება პარადიგმათა დიფერენცირება, მეგრულსა და ლაზურს კი ნორმები არ არეგულირებს. საკუთარი და საზოგადო სახელები ერთნაირად იბრუნება მეგრულსა და ლაზურში (ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა, 2015).

ზანურში გვარ-სახელთა ფუძეები ბოლოვდებიან როგორც თანხმოვნებზე, ისე ხმოვნებზე. მეგრულისაგან განსხვავებით, ლაზურში ხმოვანფუძიანი პირსახელები ძირითადად ა, ი, ე ხმოვნებზე ბოლოვდება (**ნაჭიე, ალი, მუსტაფა**), ისინი ბრუნებისას თავისებურებას არ იჩენენ.

მეგრულში პირსახელებს, რომელთა ფუძე სონორ თანხმოვნებზე ბოლოვდება, თანხმოვნით დაწყებული მორფემის დართვისას ბრუნვის ნიშნის შემდეგ ხშირად დაერთვის **გ** ხმოვანი (**ლონდერ-ქგ, ვარლამ-ქგ**).

თანხმოვანფუძიან სახელთა ბრუნების პარადიგმებში ჩნდება **ი** ხმოვანი როგორც მეგრულში, ასევე ლაზურში. ეს სახელები პირობითად ორ ჯგუფად იყოფა: ერთნი ყოველთვის ჩაირთავენ ი ხმოვანს ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის, მეორენი ხან დაირთავენ ფუძეზე ი ხმოვანს, ხან არა (ლომია, 2010). მაგ.: მეგრ.: **ლევან-ი-ქ // ლევან-ქ, ვარლამ-ი-ქ // ვარლამ-ქ, ლონდერ-ი-ქ // ლონდერ-ქ**. ლაზ.: **ისმაილ-ი-ქ // ისმაილ-ქ, ჰასან-ი-ქ // ჰასან-ქ**.

მოხსენებაში წარმოვადგენთ ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის ანალიზის საფუძველზე პირსახელთა, გვარსახელთა და ტოპონიმთა

ბრუნების პარადიგმებს, ასევე სახელისა და გვარის ერთად ბრუნების ნიმუშებს.

მ ა ნ ა ნ ა ბ უ კ ი ა

მეგრული მწყემსური ლექსიკიდან – მატყელი და მასთან დაკავშირებული ლექსიკა

მეგრულ მწყემსურ (მესაქონლეობის) ლექსიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მესაქონლეობის პროდუქტის აღმნიშვნელ სიტყვებს. მათ შორის გამოირჩევა მატყლის, მისი სახეობების, დამუშავების აღმნიშვნელი ფორმები.

საკუთრივ მატყელი აღინიშნება **მონტყორი** ფორმით (ქართ. მატყელი : მეგრ.-ლაზ. **მონტყორი / მონტკორი / მონტკოი** : სვან. **მატყ // მატყ**).

ხარისხის მიხედვით განარჩევდნენ გაზაფხულსა და შემოდგომაზე განაკრეჭ მატყლს. შემოდგომაზე განაკრეჭი მატყელი იყო **ნაგვალუ / ნაგვალუ მონტყორი**, ზედმ. „ნამთევი მატყელი“, ასევე **ჯგვრ მონტყორი**, ზედმ. „კარგი მატყელი“. შედარებით დაბალი ხარისხის იყო გაზაფხულზე განაკრეჭი **ბუთა / ნაბუთუ / ნაბუთი** (შდრ. აფხ. **ა-ბოა / ა-ფოა** „პირველი გაკრეჭის მატყელი“), **დამორჩილუ გუშულირი მონტყორი** ზედმ. „შემოდგომაგამოვლილი მატყელი“, **ნაზოთ მონტყორი** ზედმ. „ნაზამთრალი მატყელი“ (შდრ. რაჭ. **ნაზამთრი** „ზამთარგამოვლილი საქონლის გრძელი ბეწვი“). კარგ მატყლად ითვლებოდა **ბეწვა / ბეჭვა მონტყორი** „ბეწვა მატყელი“, **ბუთქი** „ხშირი და გრძელი ბეწვი“, **ბუყუყი** „ცხვრის ნაზი მატყელი“, უვარგისი იყო **ბაკვა მონტყორი** „უხეში მატყელი“, **ბაკვა-ბაკვა** „ნაგლეჯ-ნაგლეჯ შეთელილი, დამურკლული მატყელი“, გაცახი „მსხვილბეწვიანი, უვარგისი მატყელი“, **კვირტი / კვირტელი / კვირტ-მონტყორი** „ი. წ. ნაკვირკვალი მატყელი – უვარგისი“; გაზაფხულზე გაცვენილ ბალანს **ნარცხვი / ნარცვი** („გაცვენილი“) ეწოდებოდა.

ერთი ცხვრის განაპარსი მატყელი იყო **ართნაღაჭა**, ზედმ. „ერთი განაკრეჭი“, **კანძი** (შდრ. **კანძი** „ერთი ცხოვარის ნაპარსი“ – საბა), **ქიტა / ქიტა**.

მატყლის დამუშავება რამდენიმე ეტაპს მოიცავდა: ცხვრის საგაზაფხულო კრეჭას **ბუთუა** ერქვა, ზოგადად კი **ღაჭუა** „კრეჭა“. მა-

ტყლის დამუშავების პროცესები იყო: **პენტუა** „პენტვა“, **ფეთუა** / **ფეტუა** „დაჩეჩვა, ჩეჩვა“, **წეწუა** „წეწვა“, **თალუა** „თელვა, თრიმლვა“, **თხისუა** „თხის ნაკრეჭის მოთელვა“, **ტაბაკუა** „მოთელვა“.

დამუშავებული მატყლი შეიძლება ყოფილიყო **კვერცხი მონტყორი** „დაჩეჩილი მატყლის სახეობა“, **ნაწეწა მონტყორი** „გაწეწილი მატყლი“, **პენტილი** „დაპენტილი“, **დაფეთილი** / **ფეთილგ მონტყორი** „დაჩეჩილი მატყლი“, **წეწილი მონტყორი** „დაჩეჩილი მატყლის სახეობა“.

მატყლის ფთილა გადმოიცემა სიტყვებით: **გვიგვილი**, **ფარტა**, **ფატანა**.

მატყლის ნართი არის **გაროზი**, **თხვირი**, **თხორი**, **კვიკვი** / **კვირკვალი** / **კვირკვილი** (შდრ. აფხ. **ა-გუგა** „მრგვლად დახვეული ძაფი, მორგვი“), **მორგვი**, **ნათუხა**, **ნართი**, **ფუტა**, მატყლის ძაფი კი – **ძიგა** / **ძგგა** (შდრ. აფხ. **ა-ძგგა** „მატყლის გრებილი ძაფი“), **ლანდი**.

დამუშავებულ მატყლს **თუხუნა** „ართავენ“, **კვირკვენა** „გორგლად ახვევენ“, **წკონდუნა** „ორ ძაფს აერთებენ“.

მატყლის დასამუშავებლად გამოიყენებოდა **ოთუხალი** / **ოთუხი** „მატყლის საპენტი“, **ოფეთალი** / **ოფეთაშე** / **ოფეთეშე** „საჩეჩელი“, **საჩეჩელი** / **საჩეჩი** „საჩეჩელი“, **წყურიში** / **წყურუში** / **კყურიში** „კვირისტავი“.

თ ე ა ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე

პრედიკატული განსაზღვრებისა და ზმნა-შემასმენლის შესიტყვების საკითხის თაობაზე

სამეცნიერო ლიტერატურაში პრედიკატული განსაზღვრების, როგორც წინადადების წევრის, საკითხი საკამათოა. ზოგიერთი მკვლევარი მას მიიჩნევს წინადადების დამოუკიდებელ წევრად, კერძოდ, ვითარების გარემოებად. სხვა შეხედულებით, ის დამოუკიდებელი ან ცალკე წევრი კი არ არის, არამედ წინადადების წევრის ნაწილია, სახელდობრ, შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი. აქვე დაისმის საკითხიც – ქმნის თუ არა ამგვარი განსაზღვრება შესიტყვებას. ცნობილია, რომ განსაზღვრებათაგან ატრიბუტული და

სუბსტანტიური განსაზღვრებები ქმნიან შესიტყვებას სათანადო წევრთან. ამათგან ატრიბუტულ განსაზღვრებასა და სახელს შორის სინტაქსური კავშირი შეთანხმებაა, ხოლო სუბსტანტიური განსაზღვრების გრამატიკული ურთიერთობა შესაბამის სახელთან მართვის ერთ-ერთი სახეა.

ჩვენთვის პრედიკატული განსაზღვრება წინადადების დამოუკიდებელი წევრია და მიემართება ზმნა-შემასმენელს, განსაზღვრავს ზმნით გამოხატულ მოქმედებას: „ბიჭი **გაცხარებული კამათობდა**“; „ჩვენ აქ უნდა **ვისხდეთ გულხელდაკრეფილი**“; „ცოლქმარნი **გაცხარებულნი** ამისთანა ღრმა აზრებს **ამტიციებდნენ**“; „**ხმაგაკმენდილმა** ჭერს **გაუშტერა** თვალი“; „ბიძაჩემი **დარჩა გამარჯვებულნი**“. ვფიქრობთ, როგორც სხვა სახის განსაზღვრებები ქმნიან სინტაქსურ წყვილს, ასევე პრედიკატული განსაზღვრება ქმნის შესიტყვებას შესაბამის ზმნა-შემასმენელთან. შევადაროთ: **გაცხარებული ბიჭი კამათობდა** და **ბიჭი გაცხარებული კამათობდა**.

გაცხარებული ბიჭი – შეთანხმება (ბრუნვაში)

გაცხარებული კამათობდა – მართვა

შესიტყვებაში **გაცხარებული კამათობდა** ზმნა-შემასმენელი მართავს განსაზღვრებას ბრუნვაში, ასევე ითანხმებს რიცხვში. მაგალითად, ბიჭი **გაცხარებული** კამათობდა//ბიჭმა **გაცხარებულმა** იკამათა. ოღონდ აქ ცალმხრივ მართვასთან გვაქვს საქმე. ზმნა-შემასმენელი მართავს პრედიკატულ განსაზღვრებას ბრუნვაში, მაგრამ სახელი ვერ მართავს ზმნას. ერთი შეხედვით, შესაძლოა ასეთ შესიტყვებებში ბრუნვაში შეთანხმებაც იყოს შესაბამის პირმიმართ წევრთან, მაგრამ ის შესიტყვებას ქმნის მხოლოდ ზმნა-შემასმენელთან – **ბიჭი გაცხარებული // ბიჭმა გაცხარებულმა** არ ქმნის სინტაქსურ წყვილს. ის ეთანხმება რიცხვში შემასმენელს: **გაცხარებული კამათობდა // გაცხარებულნი კამათობდნენ**.

ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმინთა მრავლობითი რიცხვის წარმოება სვანურში

ცნობილია, რომ სვანური სახელები ყველაზე ხშირად მრავლობით რიცხვში დაირთავენ -წრ ზს., ლნტ. -არ ლშხ. სუფიქსებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფილია ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები, რომლებიც მრავლობით რიცხვს სხვა სახელებისაგან განსხვავებულად: ლწ- - ა, ლა- - ა კონფიქსების საშუალებით აწარმოებენ.

ამ სახით მრავლობითი რიცხვის წარმოება უცხოა ქართველური ენებისათვის და დამახასიათებელია ზოგი ჩრდილო-კავკასიური ენისათვის.

საინტერესოა დიალექტების მიხედვით ამ რიგის ტერმინთა მრავლობითი რიცხვის წარმოებისას თანმხლები ფონეტიკური პროცესები.

ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: 1. სისხლით და 2. ქორწინების შედეგად ჩამოყალიბებული ნათესაობა.

1. დი „დედა“; ლწ-დი-ა ზს., ლნტ. ლა-დი-ა ლშხ. „დედები“; მუ „მამა“, ლა-მუ-ა „მამები“; მუხუბე „მმა ძმისთვის“, ლა-ხუბ-ა „ძმები“; მუ- პრეფიქსი ამ სახელს მრავლობით რიცხვში არ გადაჰყვება. უდილ ბზ., ლნტ. უტიდილ ბქ. „და დისთვის“; ლა-უდილ-ა „დები“. მაგ.: იმბუწლხ სემი ლაუდილა (ბქ. 98.) „სამი და საუბრობს“
2. კაშ ზს., ლნტ. კაშ ლშხ. „ქმარი“, ლა-კაშ-ა ზს., ლშხ. ლა-კაშ-ა ლნტ. „ქმრები“. ჩრეე „სიძე“ ბზ., ლშხ. ჩრეე ლნტ. ლწ-ჩე-ა ზს., ლნტ. ლა-ჩე-ა ლშხ. „სიძეები“. ჩრეე გრძელხმოვნისანი ფორმა ყველა დიალექტის მრავლობით რიცხვში რედუცირებულია. სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით ლენტეხურში გრძელი ხმოვნის რედუქციას ადგილი არ უნდა ჰქონოდა.

ამავე ჯგუფს მიეკუთვნება: თელღ[გ]რა ზს., ლნტ. თელედრა ლნტ. „რძალი“, ლწ-თლადრ-ა ზს., ლა-თრედლ-ა ლშხ., ლწ-თელედრ-ა ლნტ. „რძლები“...

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ნათესაობის აღმნიშვნელ-

ლი სხვა ტერმინების მრავლობითი რიცხვის წარმოება და მათი სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი.

გ ვ ა ნ ც ა გ ვ ა ნ ც ე ლ ა ძ ე

მცენარეთა იმერული სახელწოდებები და ამ სახელთა იზოგლოსები

იმერული რთულფუძიან მცენარეთა სახელწოდებები, მსგავსად სამწიგნობრო ენის შესაბამისი სახელებისა, სამოტივაციო საფუძვლების მიხედვით იყოფა შემდეგ ძირითად ქვეჯგუფებად:

- მცენარის მორფოლოგიურ თავისებურებათა მიხედვით მოტივირებული სახელები;
- მცენარის, მისი რომელიმე ნაწილის ან ნაყოფის დანიშნულების მიხედვით მოტივირებული სახელები;
- სხვა საგნათან ასოციაციურად მსგავსება-სხვაობის ნიშნით მოტივირებული სახელები;
- გემოს მიხედვით მოტივირებული სახელები;
- ცხოველებთან გარკვეული მეტაფორული კავშირის ნიშნით მოტივირებული სახელები;

- მცენარის სადაურობის (გავრცელების გეოგრაფიის) მიხედვით მოტივირებული სახელები;
- მცენარის ყვავილობის, დამწიფების ან მოწვევის დროის მიხედვით მოტივირებული სახელები.

სახელთა ამ ქვეჯგუფებში გაერთიანებული იმერული ლექსიკის დიდი ნაწილი საზიარო აღმოჩნდა არა მარტო იმერულის უშუალო მეზობლად გავრცელებულ სხვა დიალექტებთან, არამედ გეოგრაფიულად საკმაოდ დაშორებულ კილოებთანაც კი.

მასალის დამუშავების შედეგად ირკვევა, რომ მცენარეების სახელთა მოტივაციის ნიშნის მიხედვით იმერული დიალექტი ყველაზე დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს ლეჩხუმურ, გურულ, რაჭულ, ქართლურ და აჭარულ დიალექტებთან, რაც იზოგლოსების სიმრავლეში გამოიხატება.

ქეთევან გიგაშვილი

წოვათუშურ-ქართული ბილინგვური დისკურსის ფონეტიკური მახასიათებლები

მოხსენებაში წარმოდგენილია ბილინგვი წოვათუშების საუბრის ანალიზი კოდის გადართვის კონტექსტში. საუბრები ჩაწერილია სოფელ ზემო ალვანში 2010-2013 წლებში სავსე სამუშაოების დროს.

კვლევის მიზნების გათვალისწინებით, რესპონდენტებად შეირჩნენ წოვათუშური ენის კარგად მცოდნეები, ძირითადად, ბებია-ბაბუებისა და დიდი ბებია-ბაბუებისა, ხოლო იშვიათად – საშუალო თაობის წარმომადგენლები.

ფონეტიკური თვალსაზრისით, საანალიზო მასალა არ არის მდიდარი, თუმცა საინტერესო ინფორმაციას შეიცავს ამ კუთხით. ფონეტიკური თავისებურებები, უმრავლეს შემთხვევაში, თავს იჩენს მორფემის საზღვართან კოდის გადართვის დროს, იშვიათად სიტყვის გადართვის დროსაც.

რესპონდენტი ბილინგვები მორფემის საზღვართან, ძირითადად, გადართავენ ზმნას, ან მიმღეობას. გადართულ ქართულ სიტყვებს ისინი ისე ექცევიან, როგორც ნასესხებ ლექსიკურ ერთეულებს და მათზე თავიანთი ენის ფონეტიკურ წესებს ავრცელებენ, რის გამოც უხეშად ირღვევა ქართული ენის ფონეტიკური წესები. ამ ზეწოლის შედეგად სიტყვაში ხშირად თავს იყრის რამდენიმე თანხმოვანი, ზოგჯერ სამივე, რაც ქართულისათვის არაბუნებრივი ბგერათკომპლექსია. არაბუნებრივია ასევე სიტყვის შეკუმშვა ფუძის ნებისმიერ მარცვალში.

კვლევამ გამოავლინა, რომ წოვათუშთა საუბრებში ხშირ შემთხვევაში დაცულია ინდივიდუალური ბილინგვიზმის ეტაპისთვის დამახასიათებელი ვითარება, როდესაც წყარო ენის ცოდნის დაბალი დონის გამო, ბილინგვები საკუთარი ენის ფონოლოგიური მოდელის მიხედვით ცვლიდნენ, ანუ „ასწორებდნენ“ ნასესხები სიტყვების ბგერით გარსს (მიქელაძე). კერძოდ, ჩვენს მასალაში:

1. ორზე მეტმარცვლიან სიტყვებს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, აკლდება ხმოვნითი ელემენტი. აღნიშნული ცვლილება ხორ-

ციელდება რედუქციის ფარგლებში: **გროვბალათხ, გაგრძელბადბორ;**

2. ფუძე იკუმშება როგორც მარტივი რედუქციის, ისე ეპენტე-
ფისის გზით: **დაპეიტყებადბორ;**

3. იკარგება აბსტრაქტულობის მაწარმოებელი **-ება** სუფიქსის
ორივე ხმოვანი: **ცხოვრება > ცხოვრბ;**

4. ასევე ორმაგადაა რედუცირებული არსებითი სახელი **„ქა-
ლამანი“** მორფემის საზღვართან, რომელსაც წოვათუშური სახელის
ამა თუ იმ მორფოლოგიური კატეგორიის მაწარმოებელი დაერთვის:
ქალბნი;

5. აუსლაუტში მოქცეული ხმოვანი გადართულ ქართულ სი-
ტყვებში სცილდება ფუძეს, ან სუსტდება და კარგავს მარცვლიანო-
ბას (ნათქვამი ეხება სახელობითი ბრუნვის ნიშანსაც), რასაც ემატება
შემდეგი ფონეტიკური პროცესები: ბოლომოკვეცილი ხმოვნის წინ
მდებარე ნაზალური თანხმოვანი **ნ** თავის თვისებას გადასცემს მის
წინ მდგომ ხმოვანს და შედეგად ვიღებთ ნაზალიზებულ **ã, ã, õ**
ხმოვნებს;

6. აუსლაუტის დასუსტებული **ო** ხმოვანი ჩვენს მასალაში იწ-
ვევს წინამავალი ხმოვნის საკომპენსაციო გაგრძელებას ორმარცვლი-
ან ფუძეში, რის გამოც დიამარცვლიანი სტრუქტურის ფორმა გარდა-
ქმნილია დახურულმარცვლიანი სტრუქტურის ფორმად: **bãlõ;**

7. იშვიათად გამოვლინდა შეუკუმშავი ფორმები: **ფიზიკე, აუა-
რებელ;**

8. იკარგება თემის ნიშნისეული **-ვ** თანხმოვანი. ეს ხდება იმ
შემთხვევაში, თუ მის წინ ბაგისმიერი თანხმოვანია (**ღებვა > ღება**), ან
როცა მისი შემცველი თანხმოვანთკომპლექსის წინ ბაგისმიერი ხმო-
ვანია (**შეფუთვა > შეფუთა; დაწურვა > დაწურა**).

გარდა ამისა:

9. დადასტურდა დიფთონგიზაციის შემთხვევა: **კუდრინე;**

10. გამოვლინდა სუბსტიტუციის მაგალითი (**ქალბნი**) და

11. რედუქციის ნიმუშები კომპოზიტური აგებულების სი-
ტყვებში (**მამ-პაპინ, ზიძშვილი**);

მართალია, მაყვალა მიქელაძის კვლევების მიხედვით, წოვა-თუშურში დღეისათვის უკვე დარღვეულია უცხო სიტყვათა ადაპტაციის თითქმის ყველა სავალდებულო მოთხოვნა და მოქმედებას აგრძელებს მხოლოდ აუსლაუტის ხმოვნის დაკარგვა-დასუსტების ერთადერთი წესი, მაგრამ ბილინგვურ საუბრებში ინტერფერენციის ადრეული საფეხურებია დაცული, რაც ზოგადი ლინგვისტიკისათვის ყურადსაღებ მოსაზრებად მიგვაჩნია. ამის მიზეზები, ვფიქრობთ, საზოგადოების ლინგვისტურ ცნობიერებასა და ენობრივი მეხსიერების ფენომენშია საძიებელი.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენის ფონოლოგიური სისტემის მახასიათებელი ელემენტები ინტერფერენციის შედეგად დროთა განმავლობაში გარკვეულ დონეზე განეფინა წოვათუშური ენის შესაბამის სისტემაში, ბილინგვურ საუბრებში წოვათუშური ენის ფონოლოგიური წესები ბატონობს.

თავისუფალი მორფემის შეზღუდვის წესი, რომლის მიხედვითაც, გადართვა არ შეიძლება მოხდეს თავისუფალ მორფემასა და ბმულ მორფემას შორის, თუ თავისუფალი მორფემა ფონოლოგიურად არ არის ინტეგრირებული იმ ენაში, რომელსაც ბმული მორფემა ეკუთვნის (პოპლაკი), ჩვენი მასალის მიხედვით არ ირღვევა, რადგან წოვათუში ბილინგვები საუბრის დროს ბუნებრივად ახდენენ გადართული ქართული სიტყვების ფონოლოგიურ ინტეგრაციას წოვათუშურ თხრობაში.

გ ი ო რ გ ი გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი

ქართველურ ენათა განყოფილება

1. ქართველურ ენათა განყოფილება ენათმეცნიერების ინსტიტუტის ერთ-ერთი უძველესი და უმთავრესი განყოფილებაა. იგი სათავეს ენიმკის წიაღში იღებს („ქართველურ ენათა სექტორი“ შეიქმნა 1936 წელს). მისი დამაარსებელი და ხელმძღვანელი იყო აკაკი შანიძე. ამ სექტორის საფუძველზე 1941 წელს ჩამოყალიბდა ენათმეცნიერების ინსტიტუტში ქართველურ ენათა განყოფილება, რომელსაც თვითონ ა. შანიძე, ხოლო შემდეგ ვარლამ თოფურია ხელმძღვანელობდა (1941-1965 წ.წ.). ამ განყოფილების მნიშვნელობაზე და სო-

ლიდურობაზე ისიც მიანიშნებს, რომ სხვადასხვა დროს მისი ხელმძღვანელები იყვნენ ივ. გიგინეიშვილი, ივ. ქავთარაძე, ბ. ჯორბენაძე და სხვ.

2. განყოფილების მთავარი ამოცანა ქართველურ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის კვლევა იყო და არის. ამ თვალსაზრისით მისი საქმიანობა შეიძლება შეფასდეს იმ რამდენიმე ათეული მონოგრაფიისა და რამდენიმე ასეული სტატიის მიხედვით, რომლებიც ამ განყოფილების თანამშრომლებმა შექმნეს ამ პერიოდის მანძილზე.

3. განყოფილებას აქვს თავისი პერიოდული გამოცემა „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, რომლის XIII ტომი გამოიცა 2015 წელს. განყოფილება ახდენს დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიების ორგანიზებას (2016 წელს გაიმართა 36-ე სესია).

4. ამჟამად განყოფილებაში შექმნილია თანამშრომელთა სამი ჯგუფი (ქართული, სვანური და ზანური); მუშავდება „ქართველურ ენათა გრამატიკა“. 2016 წლის სამუშაო გეგმით გათვალისწინებულია „ქართველური ენების სახელის მორფოლოგიის“ დამუშავება.

გ ი ო რ გ ი გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი

მრავალწერტილი ანა კალანდაძის პოეზიაში

ანა კალანდაძის ხელნაწერ გამოცემებში გვხვდება სასვენ ნიშანთა ორიგინალური კომბინაციები – მრავალწერტილთა ვარიანტების გამოყენება, ერთი მხრივ, დამოუკიდებლად და, მეორე მხრივ, მძიმესთან და ძახილის ნიშანთან ერთად. რამდენიმე ვარიანტი გვაქვს: ორი წერტილი (...), სამი წერტილი (...) არატრადიციული ფუნქციით, ოთხი წერტილი (...); კომბინაციები – მძიმე და მრავალწერტილი (... / ... /); ძახილის ნიშანი და მრავალწერტილი (! / !... / !....) ... როგორც ჩანს, სასვენ ნიშანთა ამ არაორდინარულ ვარიანტებს მხატვრულ-სტილური დანიშნულება აქვს. ბეჭდურ გამოცემებში ეს ვარიაციები არ ჩანს; ყოველივე ეს კი იმას მიანიშნებს, რომ კლასიკოსის გამოცემისას ამ ფაქტს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ტარიელ გურგენიძე

ინტერფიქსის ადგილი აფიქსთა სისტემაში

წყვეტის ტოპოლოგიური თვისების გათვალისწინებით აფიქსთა სიმრავლე ოთხ ქვესიმრავლედ დაიყოფა. ამათგან ერთ-ერთ ქვესიმრავლეში შედის ის აფიქსები, რომლებიც არ წყვეტენ ძირს და თვითონაც არ იწყვიტებიან ძირის მიერ. ამ ქვესიმრავლის ელემენტებს **კონფიქსი** ეწოდება. კონფიქსთა სიმრავლეში უპირველესად გამოიყოფა პრეფიქსები და სუფიქსები. ამავე ქვესიმრავლეში შემოჰყავთ ინტერფიქსები. **ინტერფიქსს** უწოდებენ ორ ძირს შორის მოქცეულ აფიქსს, რომელიც არ იწყვიტება ამ ძირების მიერ და ამავედროულად თვითონაც არ წყვეტს ამ ძირებს.

ზოგი ავტორის აზრით, ინტერფიქსი, როგორც ასეთი, არ არსებობს, ვინაიდან ორ ძირს შორის პოზიციაში წარმოდგენილი ელემენტები ან წარმოადგენენ აფიქსებს, რომლებიც ცალსახად მიეკუთვნება ამ ორი ძირიდან მხოლოდ ერთ მათგანს, ანდა საერთოდ არ არიან მორფემები. პირველ შემთხვევაში მორფემული სემანტიკის საბაზო პრინციპების მიხედვით ისინი არ შეიძლება მოვაცილოთ შესაბამის ძირებს. მტკიცება იმისა, რომ „ეს ელემენტები მიუთითებენ სიტყვაფორმაში ორ ძირს შორის კავშირზე“, მორფემის მნიშვნელობად ვერ ჩაითვლება. ყოველ შემთხვევაში, ეს არ არის მნიშვნელობა იმ აზრით, რომელზეც საუბრობენ „ჩვეულებრივი“ ძირების ან აფიქსების შემთხვევაში. უფრო თანმიმდევრულია ის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც, მაგალითად, რუსულში *водивоз* სიტყვაფორმაში *води* – ეს არის ალომორფი *вод* ძირისა, რომელიც გამოვლინდება განსაკუთრებულ პოზიციაში (ამ კონკრეტულ შემთხვევაში *воз* ძირის წინ). სხვა სიტყვებით, ინტერფიქსს, უკეთეს შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია მორფოიდის სტატუსზე და არა სრულფასოვან მორფემაზე (პლუნგიანი). ამავე აზრისა კასევიჩი: ინტერფიქსი არ წარმოადგენს მორფემას; ის მთლიანად მოკლებულია მნიშვნელობას.

რუსისტიკაში ტერმინი „ინტერფიქსი“ ზოგჯერ სხვა მნიშვნელობით გამოიყენება – ინტერფიქსს უწოდებენ მორფოლოგიურ ელემენტს, რომელიც ძირს აერთებს სუფიქსთან (მაგალითად, რუ-

სულში ялт. **ИИ**–ский, август. **ОВ**–ский). ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა აფიქსები მოითხოვენ ძირის არაფონოლოგიურად შეპირობებულ სხვადასხვა ალომორფს.

თეორიულად სავსებით შესაძლებელია, რომ ორ ძირს შორის მოქცეული ელემენტი ზოგიერთ შემთხვევაში დამოუკიდებელი სემანტიკური მნიშვნელობის მატარებელი იყოს. ამდენად, ინტერფიქსის გამორიცხვა კონფიქსთა სიმრავლიდან ჩვენთვის მიუღებელია.

აფიქსურ აფიქსთა სისტემაში აფიქსური ინტერფიქსი, ვფიქრობთ, კანონზომიერად იკავებს თავის კუთვნილ ადგილს. **აფიქსურ ინტერფიქსს** ვუწოდებთ რომელიმე სიტყვაფორმაში შემავალ ორ აფიქსს შორის მოთავსებულ აფიქსს, რომელიც არ იწყვიტება ამ აფიქსების მიერ და ამავდროულად თვითონაც არ წყვეტს ამ აფიქსებს.

ორ ჰომოგენურ აფიქსს შორის მოქცეულ აფიქსურ ინტერფიქსს ვუწოდებთ **ჰომოგენურ აფიქსურ ინტერფიქსს**, ხოლო ორ ჰეტეროგენურ აფიქსს შორის მოქცეულ აფიქსურ ინტერფიქსს ვუწოდებთ **ჰეტეროგენურ აფიქსურ ინტერფიქსს**.

ჰომოგენურ აფიქსთა წყვილია ერთნაირი დასახელების მქონე ძირისმიერი აფიქსები: ტრანსფიქსი და ტრანსფიქსი, ცირკუმფიქსი და ცირკუმფიქსი, ინფიქსი და ინფიქსი, პრეფიქსი და პრეფიქსი, სუფიქსი და სუფიქსი, ინტერფიქსი და ინტერფიქსი. ხოლო ძირისმიერ აფიქსთა ყველა სხვა დანარჩენი წყვილი ჰეტეროგენულია. ჰომოგენურ აფიქსურ წყვილთა რაოდენობა ექვსის ტოლია, ხოლო ჰეტეროგენურ აფიქსურ წყვილთა რაოდენობაა $5 \times 6 = 30$.

ამდენად, აფიქსურ აფიქსთა სისტემაში აფიქსური ინტერფიქსი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. ამიტომ ძირისმიერ აფიქსთა სისტემიდან ინტერფიქსის გამორიცხვა არ შეიძლება.

თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე

ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება

1953 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან დაარსდა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია, რომლის სამუშაო ბაზას

წარმოადგენდა ენათმეცნიერების ინსტიტუტი, კერძოდ, სალიტერატურო ენის ნორმათა განყოფილება (ეს უკანასკნელი 1966 წელს გარდაიქმნა ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებად), რომელსაც ევალუბოდა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების პროცესში წარმოშობილი სადავო საკითხების შესწავლა და ნორმათა პროექტების შემუშავება. დაარსების დღიდანვე განყოფილებას ხელმძღვანელობდა ივ. გიგინეიშვილი, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ (1982) – შ. აფრიდონიძე, 2006 წლიდან – თ. ვაშაკიძე.

1966 წლიდანვე ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაარსდა სპეციალური კრებული „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, რომელშიც ასახულია სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვის სფეროში წარმოებული კვლევის შედეგები.

სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის ძირითადი პრინციპები შემუშავდა არნ. ჩიქობავას მოხსენების საფუძველზე, შესაბამისად, 1936 წელს გამოქვეყნდა „ქართული სალიტერატურო ენის ნორმები“, I.

ვ. თოფურიასა და ივ. გიგინეიშვილის მიერ მომზადებულ სასკოლო ორთოგრაფიულ ლექსიკონს (სამ გამოცემას: 1941, 1946, 1949) მოჰყვა ამავე ავტორთა ვრცელი ნაშრომი „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (1968). ეს უკანასკნელი (შეესებულ ვარიანტი) კვლავ გამოიცა 1998 წელს.

ცალკე უნდა აღინიშნოს ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომელთა რეგულარული მუშაობა სალიტერატურო ენის ნორმათა დანერგვის თვალსაზრისით: იწერებოდა სამეცნიერო-მეთოდოლოგიური წერილები ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ დამატებაში – „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“; რედაქტირდებოდა სასკოლო სახელმძღვანელოები; თანამშრომლობდნენ მოსწავლეთა და პიონერთა რესპუბლიკური სასახლის ქართული ენის კაბინეტთან; სხვადასხვა დროს გადაიცემოდა რადიო- და ტელესაუბრები სალიტერატურო ქართული ენის სიწმინდის დაცვის საკითხებთან დაკავშირებით; საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით საშუალო სკოლებში იკითხებოდა ლექციების კურსი სალიტერატურო ენის მართლწერა-მართლმეტყველების პრობლემათა შესახებ.

დღეს – როცა ქართული სალიტერატურო ენა (ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ენა) ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდა და საგრძნობ-

ლად შეივსო უცხო ცნებების აღმნიშვნელი სიტყვებითა და გამოთქმებით, აგრეთვე – სხვადასხვა დარგისთვის დამახასიათებელი ტერმინოლოგიით, როცა თავისი პირობები შემოგვთავაზა სწრაფმა სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა თუ გლობალიზაციამ, როცა არანაირ ენობრივ სტანდარტებს არ ცნობს ქართული მედიასივრცე – განსაკუთრებით მკვეთრად იგრძნობა სახელმწიფო ენის რეგულირების საკანონმდებლო საფუძვლების დეფიციტი.

ენათმეცნიერების ინსტიტუტი (თავისი საბაზო განყოფილებით – ქართული მეტყველების კულტურა) დაარსების დღიდანვე წარმოადგენდა (და ახლაც წარმოადგენს) ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაცია-სტანდარტიზაციის პროცესის უმთავრეს რეკომენდატორ ორგანოს. 2009 წლიდან მოყოლებული დღემდე განყოფილებაში მომზადდა: „ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“, I, 2009; „ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“, II, 2011; „ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონი“, 2011; „სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი“, 2011; „მოსწავლის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“, 2012; „მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის“, 2016 (მომზადებულია დასახელებული ლექსიკონების ელექტრონული ვერსიებიც – იხ. www.ice.ge/liv/liv/index.php).

მზადდება „ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისა“ და „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ პირველი თორმეტი წიგნის ფოტოპირები (განყოფილების ელექტრონული არქივისათვის).

2013 წლიდან მოყოლებული დღემდე „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“ გამოიცემა ყოველწლიურად (წიგნი მეცამეტე, 2013; წიგნი მეოთხმეტე, 2014; წიგნი მეთხუთმეტე, 2015; წიგნი მეთექვსმეტე, 2016) (შესაბამისი ელექტრონული ჩანაწერებით).

2011 წელს დასრულდა სამწლიანი საგრანტო პროექტი (რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული) – „სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი“. ამჟამად მუშაობა მიმდინარეობს ორ საგრანტო პროექტზე (რომლებსაც ასევე რუსთაველის ფონდი აფინანსებს): „ქართული სახელმწიფო ენის ოფიციალურ-საქმიანი სფერო – ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“ და „ქართული ენის სიტყვათშემოკლებათა (აბრევიაციათა) ლექსიკონი“ – ელექტრონული ვერსია.

განყოფილების წევრები სალიტერატურო ენის ნორმათა და-
ნერგვის თვალსაზრისით კვლავაც რეგულარულად მუშაობენ მო-
სწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ქართული ენის კა-
ბინეტთან (ყოველწლიურად რეცენზირდება მოსწავლეთა ნამუშევ-
რები); ტელევიზიებთან (1. „ერთსულოვნების“ ეთერში – გადაცემა
„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“ – თ. ვაშაკიძე; 2. საზოგადოებრივი მა-
უწყებლის ეთერში – „სიტყვების თამაში“ – ნ. ჯორბენაძე); რადიოს-
თან (რადიო I – რუბრიკა „ქართული ენის სიწმინდის შესახებ“ –
ვ. მალრაძე).

ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების წევრები
ყოველწლიურად მონაწილეობენ ყველა ადგილობრივ (თუ საერთა-
შორისო) სამეცნიერო სესიებსა და კონფერენციებში.

განყოფილება ინტენსიურად მუშაობს ნორმათა ახალი სარე-
კომენდაციო პაკეტის მომზადებაზე, რომელიც საფუძვლად დაედე-
ბა **თანამედროვე ქართული ენის ახალ ორთოგრაფიულ ლექსიკონს**.

მ ა კ ა თ ე თ რ ა ძ ე

ხმოვნით დაწყებული ერთმარცვლიანი ფუძეების ანალიზისათვის ლეზგიურში

ხმოვნით დაწყებული ერთმარცვლიანი ფუძეები ლეზგიურში
მცირე ჯგუფს წარმოადგენს. გამოიყოფა ორი სტრუქტურული ტიპი:
VC და VCC.

სალიტერატურო ლეზგიურში VC სტრუქტურული ტიპის
სულ რამდენიმე სახელური და ზმნური ფუძე გვხვდება. აქედან ნა-
წილი ნასესხები სიტყვებია, ნაწილი შეიძლება ონომატოპოეტური
წარმომავლობისად მივიჩნიოთ; მათგან რამდენიმე ფუძე შეიძლება
განვიხილოთ, როგორც ლეზგიური ენის ძირითადი ლექსიკური
ფონდის კუთვნილება.

ფუძის ანლაუტში (ნასესხებშიცა და ძირეულშიც) უფრო ხში-
რად გვაქვს ა ხმოვანი, თუმცა რამდენიმე სიტყვა ე, ი უ ხმოვნებზეც
იწყება.

VCC სტრუქტურული ტიპის სახელთა უმრავლესობა ნასესხე-

ბია, რაც შეეხება ზმნურ ფუძეებს, ისინი მიღებული უნდა იყოს განმეორებითობის -ხ- ინფიქსის ჩართვით ფუძეში: **ახტუ^ნ** „ხელახლა გაჭრა“ შდრ. **ატუ^ნ** „გაჭრა“. ასევე, ფუძის აუსლაუტში დაფიქსირებული მიმდევრობა ლ+თანხმოვანი მორფემათა მიჯნაზე შექმნილ კომპლექსად წარმოგვიდგება, რამდენადაც **ლ ალ-** პრევერბის კუთნილებაა.

მოხსენებაში განვიხილავთ ზემოთ აღნიშნულ სტურქტურულ ტიპებს და გამოვყოფთ მათთან დაკავშირებულ ფონეტიკურ ცვლილებებს, მაგ., ფუძის ბოლო თანხმოვნის დაყრუება ირიბ ბრუნვებსა და მრავლობითში: **ებ** „თოკი“, მრ. რ. **ეგ-ერ**.

დი ა ნ ა კ ა კ ა შ ვ ი ლ ი

წოვათუშურის თანამედროვე მდგომარეობა და ენის გაცოცხლების მექანიზმები

იუნესკოს მონაცემების თანახმად, საქართველოში გავრცელებული ენებიდან თერთმეტს გაქრობა ემუქრება, თუმცა თითოეული მათგანის წინაშე მდგარი საფრთხის დონე განსხვავებულია. ოთხი ენის მდგომარეობა შეფასებულია, როგორც ყველაზე მძიმე, მათ შორისაა წოვათუშურიც. ბოლო პერიოდში ჩატარებულმა კვლევებმა ნათელყო, რომ შეფერხებულია ამ ენის მომავალი თაობისათვის გადაცემა, მხოლოდ 40 წელს ზემოთ მყოფი პირები ახერხებენ წოვათუშურად გამართულ საუბარს. 40 წლამდე ადმიანთაგან არავინ იცის ენა კარგად (ქ. გიგაშვილი 2014). გამომდინარე აქედან, მისი სიცოცხლისუნარიანობის გახანგრძლივებისათვის ზრუნვა გადაუდებელი საქმეა.

საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს ოფიციალური სახელმწიფო სტრატეგია საფრთხეში მყოფი ენების დაცვისათვის. მეორე მხრივ, ენათმეცნიერები აწარმოებენ მათ დოკუმენტირებას და ამ მიმართულებით არაერთი პროექტი განხორციელდა. აგრეთვე არსებობს თემის შიგნით ენის სწავლების კერძო ინიციატივის შემთხვევები, თუმცა სათანადო რესურსის არარსებობის გამო, აღნიშნული პროცესი შეფერხებით მიმდინარეობს.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული ამერიკა-სა და ევროპაში ფართომასშტაბიანი მუშაობა მიმდინარეობს ენის გაცოცხლების მექანიზმებისა და სტანდარტების შესამუშავებლად. შეიქმნა არაერთი ფონდი და პროგრამა, წარმატებით განხორციელდა უამრავი პროექტი.

ენის სიცოცხლისუნარიანობის გახანგრძლივება კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს და სასურველი შედეგი მხოლოდ აქტივობათა ერთობლიობითაა შესაძლებელი. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა თემში მოტივაციის გაზრდა და ენის სოციალური ფუნქციის გააქტიურება, რაც წარმოადგენს აუცილებელ საფუძველს შემდგომი მუშაობისთვის. ასევე:

- საგანმანათლებლო რესურსების შექმნა (თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით);

- არაფორმალური განათლების ცენტრის/ცენტრების ჩამოყალიბება;

- სასკოლო პროგრამაში მოცემული ენის ჩართვა;

- ციფრული დოკუმენტირება;

- კიბერსივრცეში ადაპტირება და გამოყენება და სხვ.

მოხსენებაში ყურადღება იქნება გამახვილებული აღნიშნული საკითხის ირგვლივ არსებულ საერთაშორისო გამოცდილებაზე და შემოთავაზებული პრაქტიკული ნაბიჯები, რომლებიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს წოვათუშური ენის სიცოცხლისუნარიანობის გასახანგრძლივებლად.

ლ ე ვ ა ნ კ ე ლ ა უ რ ა ძ ე

დამატებანი ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის – III.

წინამდებარე სტატიით განვაგრძობთ ქართველურ ენათა შორის გამოვლენილი შესაძლო ახალი კოგნატებისა და მათი შეპირისპირების საფუძველზე რეკონსტრუირებული საერთოქართველური არქტიპების, ასევე ეტიმოლოგიური ლექსიკონებიდან უკვე ცნობილ შეპირისპირებათათვის დამატებითი მასალის წარმოდგენას.

*-აჲ

ქართ. ბოდ-ავ-ი, ზან-ავ-ი, თელ-ავ-ი, მან-ავ-ი, ტყვი-ავ-ი, ფიტ-ავ-ი...

სვან. (ბზ., ბქ.) ხორ-ეჲ, (უმგ., ლნტ.) ხორ-ჰჲ, (ლშხ.) ხორ-აჲ „გროვა, ხორა; კრებული“, (ჩლრ. – ლიპარტელიანი) ჩორ-აჲ “დიდი სკორე” (შდრ.: ჩორ „ცხენის ნაკელი“), ხულფ-აჲ „მარცვლის, ტაროს ან ხილის ზვინი“ (შდრ. ხვილფ „მცირე ხვაკი ტაროებისა, ხილის ან მარცვლისა“).

ქართულ ტოპონიმთა ერთ ჯგუფში გამოიყოფა -ავ სუფიქსი, რომლის ამოსავალი ფუნქციაც მრავლობითი რიცხვის წარმოება უნდა ყოფილიყო. ტოპონიმთა მეორე ჯგუფში (ვაშლევი, ძეგლევი და სხვ.) *-ავ > -ევ სახელობითი ბრუნვის ნიშნის გავლენით. ხომ არ შეიძლება, ამ -ავ სუფიქსისათვის აქ წარმოდგენილ სვანურ სიტყვებში გამოვლენილი (კრებილობის აღმნიშვნელი?) -აჲ მორფემა დაგვეკავშირებინა?

*-ალ-ა-

ქართ. ყრუ-ალ-ა (შდრ.: ყრუ), ფურჩ-ალ-ა (შდრ. ფურჩ-ი), გუდ-ალ-ა (შდრ. გუდა), კოდ-ალ-ა (შდრ.: კოდ-ავ-ს).

სვან. (ზს., ლნტ.) ბანდლჲ-ალ, (ლშხ.) ბანდლჲ-ალ-ა-მ „რბილი, ფუმფულა“ (შდრ. სქ. *ბანდლ-), (ლიპარტელიანი) ყჲაბ-ალ-ა-მ „თავ-მსხვილა და კისერწვრილა“ (შდრ. ყჲაბ „გუნდა“), (ბზ.) ყჲარყჲ-ალ-ა-მ, (ბქ.) ყჲარყჲ-ალ-ა, ყჲარყჲ-ალ-ა „ხუჭუჭი“ (შდრ. (ბზ., ლნტ.) ლუ-ყურყჲ-ან, (ლშხ.) ლუ-ყურყჲ-ან „ხუჭუჭი, ხვეული თმა“), შგომ-(ა)ლ-ა-მ, შგომ-ა-~, შგომ-ალ-ა „მათხოვარი (ის, ვინც ყველაფერს ითხოვს“ (შდრ.: ლი-შგჲემ, ლი-შგომ... „ხვეწა“).

*-არ-ა-

ქართ. ქიმ-არ-ა „ქიმის მსგავსი სარეველა ბალახი“, ქიმ-არ-ა/ე-ი (იმერ.) „ქიმი, წვეტი სარისა, ტოტისა, ჯღა“, ძუ-არ-ა „კუდამოძუებული“...

ზან. (მეგრ.) წკონტ-ორო „წვეტიანი“ (შდრ.: წკონტი „წვერი“), ხონჩ-ორო „ხვანჩიანი“ (ხონჩი „ხვანჩი“), ჯონჯ-ორო „დრუნჩა“ (ჯონჯო „დრუნჩი“) და სხვ.

სვან. (ბზ.) ბაქ-ა-მ, ბაქ-არ-ა-მ, (ბქ.) ბაქ-არ-ა, ბაქ-არ-ა, (ლშხ.)

ბაქ-ა-დ „მატყუარა, ცრუპენტელა“, (ბზ.) ფაშ-პრ-წ-დ „ფაშვიანი, ღიპი-ანი“ (შდრ.: ფაშ-წ-დ, ფაშ-წ „id.“), (ბზ.) ფის-რ-წ-დ, (ბქ.) ფის-რ-წ, (ლნტ.) ფის-არ-წ, (ლშხ.) ფის-არ-ა-დ „წაწყმედილი, ჯოჯოხეთში მოსახვედრი“ (შდრ. ფისე „ფისი, კუპრი“), (ბზ.) ქაჯ-რ-წ-დ, (ლშხ.) ქაჯ-რ-ა, (ლნტ.) ქაჯ-არ-წ „მოუსვენარი, ცელქი, დაუდებარი“ (შდრ.: ქაჯ, ქაჯ „ქაჯი), (ბზ.) ქტიშ-არ-წ-დ, (ბქ.) ქტიშ-ორ-ა, (ლშხ.) ქტიშ-არ-ა-დ „ქვიშისფერი, რუხი“, (ლშხ.) ქუხუ-არ-ა-~ „მუწყუციანი; ხორკლიანი მსხლის ჯიში“ (შდრ. ქუხუ, ქუხ „მუწყუცი“, (ბზ.) ქუხუ-წ, (ლშხ.) ქუხუ-წ, (ლნტ.) ქუხუ-წ, (ბზ.) კად-არ-წ-დ, კად-წ-დ, (ბქ.) კად-არ-ა, კად-რ-წ, კად-წ, (ლშხ.) კად-ა-დ, (ლნტ.) კად-რ-წ „გაუმადლარი, ღორ-მუცელა, დიდმუცელა, ღიპიანი“ (შდრ.: კად „მუცელი“).

***ბარდღალ-**

ქართ. (ქართლ.) ბარდღალ-ა „ბანჯგვლიანი საქონელი“, (ფშ.) ბარდღლ-ი „ბანჯგვლი“.

ზან. (მეგრ. – ქაჯაია, IV) ბორდღოლ-ი „მსხვილი და ხშირი თმა, ბანჯგვლი“, ბურდღულ-ია „ბანჯგვლიანი“.

***ბოყუ- (?)**

ქართ. (ხევს.) ბოყვი-ი „ობი“

ზან. (მეგრ.) ფოკვი-ი, ფოკვი-ა, ფოკვი-ა „ობი“, (ლაზ.) ბოტი, ბული „ობი“.

მეგრ. ფორმები < *ფოყვი- < *ბოყვი- ?; ლაზ. ბოტი- < *ბოტივი- < *ბოყვი-; ლაზ. ბული- < *ბოლივი- < *ბოყვი- (შდრ. (ხოფ.) ყუა, ყა, (ვიწ., არქ.) კუა, კუა, კვა, (ათინ.) ღუა „შუბლი“).

(გურ.) და-ბოტი-ილ-ი „დაობებული“ ლაზურიდან ჩანს ნასესხები.

***ბრეკ-**

ქართ. (იმ.) ბრეკი-ი „პატარა გორაკი“.

ზან. (ლაზ.) რაკა-რაკა „გზადაგზა, მთა-მთა“, რაკა-წ-ი „ბორცვი; ქედი“.

ლაზ. რაკ- < *ბრაკ- ტ. გუდავას მიერ დადგენილი წესის თანახმად (იხ. გუდავა 1979). შდრ. სქ. *ბრეკ- (> ქართ. ბრეკი-ი „ბორცვი“; ზან. (მეგრ.) რაკ-ა „ბორცვი (ტოპონ.); ფერდობი (ტოპონ.)“).

***გლეს-/გლის-**

ქართ. გლეს-ა, გლისა...
ზან. (მეგრ.) გილოსუა „გილოსუა“; + (ლაზ.) მე-ნგლის-უ „და-ტენვა, ჩაჩურთვა, ამოვსება“.

***დაფ-**

ქართ. (ქეგლ) დაფ-იონ-ი „ცის კიდურის ალისფრად შეღებვა მზის ამოსვლის წინ“ დაფ-იონ-ა (საბა) „ცათ ფერად-ფერადად ელვარობა“.

ზან. (მეგრ.) დოფ-ი „ნაკვერჩხალი, დადარი; ღველფი, ნაცარი“.

მნიშვნელობათა დაკავშირებისათვის შდრ.: ქართ. ლად-ლად-ი „ძლიერი ნათება, ელვარება, კაშკაში, ბრდღვიალი“ – ლად-არ-ი „ნაკვერჩხლიანი ნაცარი“.

***დუერ-**

ქართ. სა-მდურ-ავ-ი „ვისიმე მიმართ უკმაყოფილების, წყენის გამომხატველი სიტყვები“, მდურ-ვ-ა.

სვან. (ზს.) ლი-დურუ-წნ-ი, (ლშხ.) ლი-დრ(უ)ჟ-ან-ი, (ლნტ.) ლი-დუერ-ე „უარის თქმა, ხელის შეშლა, დაშლა“.

***ზრზ-**

ქართ. (მქესკ) ზრზ-ენ-ა „წაქეზება; წინააღმდეგობა, ურჩობა“.
სვან. (ზზ.) ლი-ზერზ-ე „დაქაღნება“, (ბქ.) იმ მე-ზერზ-პალ „რას მებრძობები, რას მექაღნები“.

***ზრზ-**

ქართ. ზრზ-ოლ-ა.

ზან. (ლაზ.) დო-ზუზ-უ „ჟრჟოლა“.

***-ენ**

ქართ. და-ვ-მალ-ენ, მო-ვ-კლ-ენ, და-ვ-ი-მალ-ენ-ი-თ, მო-ვ-ი-კლ-ენ-ი-თ...

სვან. (ბზ.) ათუ-შიხ-წნ, (ბქ.) ჩოთ-შიხ-ენ, (ლშხ.) ოთ-შიხ-ენ, (ლნტ.) ათუ-შიხ-ენ < სს. *ად-ხუ-ი-შიხ-ენ „დავიწვი“.

ძველ ქართულში სახელობითში დასმული პირდაპირი ობიექტისა და პრეფიქსული ვნებითების II სერიის სუბიექტის მრავლობითობის /ენ/ ნიშანი სვანურში პრეფიქსული ვნებითების II სერიის ფორმებში პოვნიერ /ენ, წნ.../ სუფიქს პირველად კ. ტუითტმა დაუ-

კავშირა (Tuite, The Kartvelian Suffixal Intransitive 2010, 15-16); იხ. აგრეთვე ჩვენი „ამოსავალი პირდაპირი ობიექტისა და ფინალური სუბიექტის მრავლობითობის /ენ/ ნიშნის რეკონსტრუქციისათვის საერთოქართველურში“, არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XXV, 2014, 32-ე.

***კახ-**

ქართ. კეხ-ი „უნაგირის ხის ჩონჩხი“.
ზან. (ლაზ.) კოხ-ი „კუზი“.
ქართ. კეხ-ი < *კახ-ი.

***მარხ-**

ქართ. მარხ-ვ-ა.
ზან. (მეგრ.) დო-მორხ-უ-ა „დახუთვა“.

***რ-ინ-**

ქართ. გან-რ-ინ-ებ-ა, გან-ე-რ-ა...
ზან. (მეგრ.) ვ-ო-რ-ინ-უ-ან-ქ „ვიფარებ“, დგ-ვ-ო-რ-ინ-ე „შევიფარე“.
+ სვან. ოდ-რ-ინ-ე „წავალ“, ად-რ-ინ-ე „წავა“.

***სუ-**

ქართ. უ-სუ-ამ-ს, უ-სუ-ემ-დ-ი-თ.
ზან. (მეგრ.) ვ-უ-სვ-ან-ქ „ვუსვამ“, (ლაზ.) ნუ-სვ-ი „წაუსვი“.
+ სვან. (ზს.) ლი-ცუ-მ-ი, (ლნტ.) ლი-ცუ-ემ-ი.
სვანურში ს > ც სპორადული გადასვლისათვის შდრ.: სქ *კუეს > სვან. კუეც, ქართ. სიბა > სვან. ციბ, საყე > ცაყ...

***სხიუ-**

ქართ. სხივ-ი.
სვან. (ჩლრ. – ა. ლიპარტელიანი) სხიუ-ე „წითლად მოჩანს“.

***სხლეტ-/სხლიტ-**

ქართ. (საბა) სხლეტ-ა „დასხლეტა არს რა ერთი რამ უნებურად გავარდნასავით რომ იქნას, გინა თვთ სასხლეთი დასხლიტოს“, ის-ხერტ-ი „მწეცის მახე“, სა-სხრტ-ო-მ „დასასხლეთით სასროლი“, (იმერ.) ი-სხლეტ-ი „ჩიტის მახე“.

ზან. (მეგრ.) გე-უცხირტ-უ „აუსხლტა“, გე-ცხილანტ-გდ-ა-ს „ასხლეტოდეს“ + (ლაზ. – დიდი ლაზური ნენაფუნა) ო-ცხონტ-უ, ო-ნცხონტ-უ „სათაგურის და მისთ. მოწყობილობის მოძრაობაში მოყვანა; ხტომა, გადახტომა“.

ქართულში სხლეტ- და სხერტ-/სხარტ-/სხრტ- ფუძეთა დაკავშირებისათვის იხ. არაბული 2001, 137-138.

***ტყებ-**

ქართ. ტყებ-ა „თავში ცემა (ხელისა)“.

სვან. ლგ-ტყებ-ე „ნაცემი“, ო-ტყებ-გნ-ე „ირტყამს“, ა-ტყემბ-ე-ხ „ბეგვავენ“...

***ფარჩხ-**

ქართ. ფარჩხ-ვ-ა.

ზან. (მეგრ. – ქობალია) ფორჩხ-უ-ა „ფარჩხვა“, ფორჩხ-ო „გაფარჩხული“, (ლაზ.) თი-ფორჩხ-ო „თმებგაწეწილი“.

***ფარჩხ-ატ-**

ქართ. ფარჩხ-ატ-ი/ა (საბა) „შორიშორ წყობილი“, (ქეგლ) „ერთმანეთს დაცილებული ნაწილებისაგან შემდგარი, თხელი, მეჩხერი (მტევანი, წვერ-ულვაში, ყვავილედი...)“.

ზან. (ლაზ.) ფორჩხ-ოტ-ა „ტოტმრავალი დაბურული ხე; დაუვარცხნელი აბურძგნული თმა“ (ოტ-ა-სთვის შდრ.: ბოჯღ-ოტ-ა ჯა „დატოტვილი ხე“ (შდრ. ქართ. ბორჯღ-ი, ბორჯღ-ალ-ი, (იმერ.) ბოჯღ-ატ-ა/ე-ი, (ლექხ.) ბოჯღ-ოტ-ი), ლემქ-ოტ-ა „ტუჩა“ (< სქ *ლამ-), ბორბ-ოტ-ა „მკვრივი, მსუქანი (ადამიანი)“ = ბორბ-ა „მკერდი“)...

***ფორთხ-//პორტყ-**

ქართ. ფორთხ-ავ-ს//პორტყ-ავ-ს.

სვან. (ლშხ.) ხ-ე-ფონთხ-ი, (ლნტ.) ხ-ე-ფონთხ-ი; (ზზ.) ხ-ე-პონტყი, (ბქ.) ხ-ე-პენტყი, (ლშხ.) ხ-ე-პონტყი, (ლნტ.) ხ-ე-პონტყი „ეწებება, ეკვრება, ეტყეპება“.

სვანურ ფორმათა მნიშვნელობისათვის შდრ. სვან. ხ-ა-ცონც-ა, ხ-ა-ცონც-ა „ძლივს ჰკიდია, აცოცებულია; აკრავს (ძლივს, ოდნავ)“.

***ფუტ-**

ქართ. ფუტ-ი, ფიტ-ი „თაფლგამოცლილი ფიჭა“.

ზან. (ლაზ.) ფუტ-ი „თაფლგამოცლილი ფიჭა“.

ქართ. ფიტ- < *ფუტ-.

***ქენ-**

ქართ. ქენ-ებ-ა „ხვეწნა, მუდარა, ვედრება, თხოვნა; მუდარით, თხოვნით წვევა“.

სვან. ლი-ქენ-ალ „ზედმეტი დაფასების გამოხატვა“.

მასალა ა. ლიპარტელიანმა შეაპირისპირა (ლიპარტელიანი, 192). მნიშვნელობათა სხვაობა ადვილი ასახსნელია.

***ქირს-?**

ქართ. ქირსველ-ა (ფშ. – ვაჟა, I, ა. შანიძე) „წვრილ-წვრილად თოვა“, (ფშ. – ხორნაული) „ჭრმურტლი, ჟინჟვლა, ცრა, წვრილი წვე-თებით წვიმა, ანდა თოვა, რომელიც თხელი ბურუსივითა ჩანს ხოლ-მე“, (მთიულ.) ქირსლ-ი „ქერტლი“.

სვან. ქეს-ე, ა-ქს-ნრ-ე „წვრილ-წვრილად თოვს“, (ზზ.) ქეს-ა, (ბქ.) ქეს-ე „ფიფქი, მშრალი თოვლი“.

(მთიულ.) ქარსლ-ი „წვრილი თოვლი და ქარი, ან მოხერილი ქარისაგან მიწაზე დადებული წვრილი თოვლი“ ქარ-თან კონტამინაციით?!

***ღაჷ-**

ქართ. (ქართლ.) ა-ღავ-ებ-ს „აქა-იქ აბნევს, ფანტავს (მარცვლე-ულს, ნაგავს)“.

ზან. (ლაზ.) ღუვ-ელ-ი „ზვინი“ (?)

სვან. (ზზ.) მგ-ღაჷ, (ბქ, ლნტ.) მო-ღაჷ, (ლოშხ.) მო-ღაჷ-ი „გასა-ლეწი მარცვლეული“ (> (ლეჩხ.) მო-ღავ-ი „მოსავალი, ჭირნახული, ბარაქა“).

***ღუდო-**

ქართ. (რაჭ.) ღუდო „თხუნელა“.

ზან. (ლაზ.) ღუნდუ ღუნდუ, მღუტუ მღუტუ, ღუტუ ღუტუ „ძილგუდა (ერთგვარი მღრღნელი)“.

***ყინწ-**

ქართ. ყინწ-ი „იგივეა, რაც კინწი, კისერი“, ყინწ-ორ-ი (მთ.) „წვრილყელიანი ადამიანი“, ზან. (მეგრ.) ყინწ-ინ-ი, გამოთქმებში: ყინწინი დუდიში „თავის გამართვა“, ყინწინი კისერიში „კისრის გამართვა, წაგრძელება“, (ლაზ.) ყინწ-ა, გამოთქმაში: ყალი ყინწა ქოთუმე „გრძელ- და წვრილკისერა ქათამი“.

***ყც“**

ქართ. ყც-ოლ-ა „გაცუება“.
ზან. (ლაზ.) ო-ქს-ინ-უ „გაცუება“.
ლაზ. ქს- < *ქც- < *ყც- არაკანონიკური კომპლექსის სუპერაციის შედეგად.

***ძეძგ-**

ქართ. ძეძგ-ავ-ს „ჩჩქევას, ნაყავს, ბეგვას“.
ზან. (ლაზ.) ძე-დაძგუ „გავერანება“.
ლაზ. დაძგ- < *ძაძგ- დისიმილაციური დეზაფრიკატიზაციის შედეგად.

***ძეწკ-**

ქართ. (მოხ.) და-ძეწკ-ვა „ხორცის დაკეპვა, დანაყვა, დაკუწვა“.
სვან. (ჩლრ. – ლიპარტელიანი) ა-ძენწკ-ე „ლახავს მაგრად“.

***ა-წჷ-ეჷ-წჷ-იჷ-**

ქართ. წუევ-ა „მოწოდება, იძულება“.
მეგრ. გიშა-წვი-ალ-ა.
+ სვან. ჯი-წჷიჷ-ხ „გმართებთ“ (სვანური პოეზია, 66, 5).

***წორ-**

ქართ. ს-წორ-ი.
ზან. (მეგრ.) წორ-ი, (ლაზ.) წორ-ი.
ქართ. სწორ- < *წორ-, შდრ.: „ს+ჩქამიერი ხშულის ნებისმიერი კომბინაცია სიტყვის დასაწყისში გვიანდელია ქართული ენისათვის“ (უთურგაიძე 1976, 95).

***წიფხ-**

ქართ. წიფხ-ი (საბა) „წვრილი და გრძელი ყლორტი“, (ქიზ., ინ-

გილ.) „წვრილი წნელი“.

ზან. (ლაზ.) ჭევხ-ე „წვრილი და გრძელი წნელი; წკებლა“, ო-ჭავხ-უ „გამათრახება“, მე-ჭავხ-უ „დარტყმა, დაჯახება“.

სვან. (ჩლრ. – ლიპარტელიანი) ლა-ხ-ჭევხ-ე „წიხლი დაარტყა“, ჭიფხ „წიხლი“.

ქართ. წიფხ- < *წეფხ-, რის შედეგადაც არიდებულ იქნა დამთხვევა წეფხ-ი (საბა – „მჭლე და ცუდი მიწა“) სიტყვასთან.

***წიწკ-ნ-**

ქართ. წიწკ-ნ-ა.

ზან. (ლაზ.) ჭიჭკ-ონ-ა „წიწკნია“.

***ჭახ-ჭახ-**

ქართ. ჭახჭახ-ა (მაგ. იხვი) „ხმაურიანი, ტკაცუნა“.

ზან. (ლაზ.) ჭოხჭოხ-ი „ერთგვარი ფრინველი“.

***ჰყორ-**

ქართ. ჰყორ-ი „წვრილი ქვა, ღორღი“, (იმერ.) ჰყორ-ე „ქვიშნარი და ქვიანი ადგილი“ სვან. (ბზ. – ჩართოლანი, 16) ჰყერჷ, ჰყერჷ-მ „(თეთრი) ქვა“.

სვან. ჰყერჷ-, ჰყერჷ- < *ჰყორ-.

***ჯანდურ-**

ქართ. ჯანდურ-ი, ხნდური, (ა. მაყაშვილი) ხანდური, ხადური „მინდურის ბარდა“.

ზან. (ლაზ.) ხუნდურ-ი ლობჯა „სოიო“.

ქართ. ხნდურ < *ჯნდურ- < *ჯანდურ-. იმ შემთხვევაში, თუ ამოსავლად მივიჩნევდით *ჯნდურ- ძირს, გაგვიჭირდებოდა დადასტურებულ ფორმებში ა ხმოვნის გაჩენის ახსნა, ვინაიდან სონორებთან, როგორც წესი, მაღალი აწეულობის ხმოვნები ვითარდება; ლაზ. ხუნდურ- < *ხონდურ-.

***ჭუფ-**

ქართ. (ფშ.) ჭუფ-ი.

სვან. (ბზ. – ბეს. ნიჟარაძე) ჭუფ „მათლაბა – სკრდი ფაკჷნ, глубокая тарелка“.

***ჯარ-**

ქართ. ჯარ-ვ-ა, ჯრ-ა (საბა) „მრავალ კაცთა ვიწროდ ყოფა“
ზან. (მეგრ. – ქაჯაია, IV) ჯგორ-უ-ა „ჯგროდ (ბევრის ერთად),
ჯგუფად ყრა“.

***ჯონგ-**

ქართ. (ფშ., ქიზიყ.) ჯონგ-ა „ღონიერი, მძლავრი (ხარის ეპითე-
ტი)“.

ზან. (მეგრ.) ჯოგ-ო, ჯოგ-ორო „მსხვილი აღნაგობის კაცი“,
(ლაზ.) ჯონგ-ლ-ა „დიდი, მსხვილი“.

გ უ ჩ ა კ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა

**თეორიული ლინგვისტიკის ადგილი და ამოცანები
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტში**

1. თეორიული ენათმეცნიერება, რომელიც განყოფილების და-
არსებიდან (1958 წ.) საინსტიტუტო კვლევების ერთ-ერთ პრიორიტე-
ტულ სფეროს წარმოადგენს, დღეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას
იძენს. მეცნიერული პარადიგმის ცვლის დროს ზოგადი ენათმეცნიე-
რება, თავისი დანიშნულების გამო, ისტორიულადაც ყოველთვის
უფრო აქტუალური ხდებოდა. საქმე ეხება კომუნიკაციურ პარადიგ-
მას, რომლის ფარგლებშიც მოიაზრება დღეს თანამედროვე ჰუმანი-
ტარული ცოდნა, ამ ცოდნის აშკარად გამოხატული ანთროპოცენ-
ტრიზმი, ფუნქციონალიზმი და კოგნიტივიზმი უშუალო კავშირშია
ადამიანთან და **კომუნიკაციასთან**. ენათმეცნიერი, მიუხედავად იმი-
სა, სახელდობრ რა ენობრივ ფაქტებსა და მოვლენებს შეისწავლის,
ყოველთვის მეტყველ ადამიანსა და ენობრივ ურთიერთობასთან
მჭიდროდ დაკავშირებულ პრობლემებს იკვლევს.

ადამიანისა და ენის ახალი ონტოლოგიის მიღება ამჯერადაც
დღის წესრიგში აყენებს ენათმეცნიერების პრინციპული საკითხების
სისტემური ანალიზის საჭიროებას. ეს ეხება ენათმეცნიერების სა-
გნის, სპეციალური მეთოდების, დარგობრივი შემადგენლობის,
დარგთა ურთიერთობისა და სხვა მეცნიერებებთან ენის შესახებ მეც-

ნიერების კავშირის ფუძემდებლურ პრობლემებს.

2. ცხოველმყოფელობას ინარჩუნებს ენის ფილოსოფიის ისტორიული კვლევა, რომელმაც გვიჩვენა, რომ ენის „ძველი“ თეორიები „მთვლემარე“ იდეებს ინახავენ, მათ აქტუალიზაციას კი ზოგჯერ საუკუნეები და ტრადიციულ მეცნიერებაში გადატრიალებები დასჭირდა (ინგლისელმა ფილოსოფოსმა ჯ. ლოკმა ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ძალიან ზუსტად განსაზღვრა სემიოტიკის, როგორც ნიშანთა შესახებ მოძღვრების, არსი და მოცულობა; დეკარტისა და ლაიბნიცის ჰიპოთეზა იდეათა თანდაყოლილობის შესახებ წამოსწია ხომსკიმ თავისი წარმომქმნელი გრამატიკის აგებისას; ვ. ჰუმბოლდტის იდეები დაედო საფუძვლად დღევანდელ ლინგვოკულტუროლოგიას და სხვ.).

როგორც ჩანს, მნიშვნელოვანია გაგრძელდეს განყოფილებაში ენის თეორიების შესწავლა მათი ფილოსოფიური საფუძვლების გათვალისწინებით.

განყოფილებაში განხორციელებულ გამოკვლევებს, რომელთა შედეგებმა ასახვა პოვა არა ერთსა და ორ მონოგრაფიაში, მრავალ სამეცნიერო სტატიასა თუ მოხსენებაში, ჰქონდათ და დღესაც აქვთ არა მარტო თვითკმარი ღირებულება, არამედ ქართველ ენათმეცნიერთათვის დიდი გამოყენებითი მნიშვნელობაც. ისინი წარმოადგენენ ქმედით საშუალებას იმისათვის, რომ მკვლევარმა-ემპირიკოსმა თვალის ადევნოს მსოფლიო ენათმეცნიერული აზრის მოძრაობას, თანამედროვე ენათმეცნიერული აზროვნების განვითარების საერთაშორისო დონეს, გაეცნოს ახალ დარგებსა და მიმართულებებს, მეთოდოლოგიასა და ტექნოლოგიებს, ახლად შემოსულ ცნება-ტერმინებსა და მეტაენებს.

განსაკუთრებით მოუგვარებელი ჩანს, აღნიშნულთან მიმართებით, სხვადასხვა მეტაენისა და, საერთოდ ლინგვისტიკური ტერმინოლოგიის საკითხი, რასაც თავის მხრივ ხელს უწყობს თანამედროვე დისციპლინათმორისი და სინთეზური კვლევებიც. განსხვავებულ მეთოდოლოგიურ პლატფორმაზე მდგარ ლინგვისტთა და ლინგვისტიკურ მიმართულებათა მიერ შექმნილი სამეცნიერო პროდუქციის ანალიზი გვარწმუნებს, რომ მწვავეა ახალ ენათმეცნიერულ ცნებათა ინტერპრეტაციისა და ძველთა რეინტერპრეტაციის, აგრეთვე, ტერმინთა უნიფიკაციის საჭიროება. ანალოგიური სურათია ქართულენოვან ნაშრომებშიც. ამიტომ განყოფილების ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია თანამედროვე ენათმეცნიერების

აქტუალურ ცნებათა ლექსიკონის შედგენა ქართულ ენაზე, რაც ინსტიტუტის ტერმინოლოგიის განყოფილებასთან თანამშრომლობით უნდა განხორციელდეს. ლექსიკონი ქმედით დახმარებას გაუწევს როგორც ლინგვისტიკური საგნების სწავლების პროცესს, ისე მეცნიერულ კვლევებს ქართველოლოგიასა და მომიჯნავე დარგებში.

3. ფუნდამენტური გამოკვლევები, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე ინსტიტუტში ხორციელდებოდა და ხორციელდება, მოიცავს ქართული ენის, ქართველური და კავკასიური ენების (ფაქტობრივად მცირერიცხოვანი ხალხების ენების) სტრუქტურის, ისტორიისა და ფუნქციონირების საკითხებს. შთამბეჭდავია მასალა, რომელიც დაგროვილია ყველა ამ მიმართულებით. ეს დიდი ემპირიული ცოდნა განზოგადებას საჭიროებს როგორც ისტორიულ-შედარებითი, ისე ტიპოლოგიური ძიებების თვალსაზრისით.

განზოგადებასა და თეორიულ შეფასებას მოითხოვს, ჩვენი აზრით, ის კერძო თეორიები, იდეები თუ მეთოდები, რომლებიც წარმოჩენილია ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა ნაშრომებში და რომელთაც ავტორიზებული ხასიათი აქვთ. ამოცანა უნდა განხორციელდეს განყოფილების მჭიდრო თანამშრომლობით თითოეულ ავტორთან.

ლინგვისტიკური ქართველოლოგიის კვლევათა შედეგების ამგვარ შეჯამებას, განხორციელებულს „ელექტრონული ფორმატით“, უდიდესი საერთაშორისო და ადგილობრივი მნიშვნელობა ექნება. უფრო მეტიც, იგი აუცილებელი პირობაა მსოფლიოში უნიკალური ქართველოლოგიური სკოლის შემდგომი განვითარებისათვის.

4. **ქართული ენა**, როგორც სახელმწიფო და სალიტერატურო ენა, ამავე დროს როგორც ქართველთა დედაენა, განსაკუთრებულ ყურადღებას და მომსახურებას მოითხოვს თეორიული ენათმეცნიერების სპეციალისტების მხრივ.

• **ქართული ენის** ზემოაღნიშნულ სტატუსთა შესაბამისად, განყოფილება მუშაობს ნორმალიზაციის თეორიულ საკითხებზე, თანამედროვე მასმედიაში წარმოჩენილ ახალ ენობრივ ტენდენციათა გაჩენის მიზეზებსა და შედეგებზე, ქართული ენის პრაგმატიკის თეორიულ საკითხებზე. ასევე აქტუალურია ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის ქართულის, როგორც დედაენისა და ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების პრობლემატიკა და მეთოდოლოგია.

ყველა ამ მიმართულებით განყოფილება გააგრძელებს მუშაობას, რის საფუძველსაც იძლევა თანამშრომელთა შესაბამისი პუბლიკაციები.

•• **ქართული ენის** ერთიანი, ინტეგრალური აღწერისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინსტიტუტში შექმნილ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს“, რომლის ახალ რედაქციაზე მუშაობა მიმდინარეობს შესაბამის განყოფილებაში. ამდენად, საგანგებოდ აქტუალურია თეორიული სემანტიკის საკითხების შესწავლა, განსაკუთრებით, ლექსიკური სემანტიკისა და სისტემური ლექსიკოგრაფიის თვალსაზრისით.

უახლესმა კვლევებმა, რომლებიც ლინგვისტური სემანტიკის სფეროში მიმდინარეობს სხვადასხვა ქვეყანაში, ცხადყო, რომ დღეს აქტუალურია სიტყვის, როგორც კულტურის არქეტიპის, გაგება, რადგან იგი ქმნის მისასვლელს სამყაროს ენობრივი სურათის აგებისა და საერთოდ, ენის მთელი ლექსიკის შესწავლისათვის. ამ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართულენოვან კულტურულ კონცეპტთა გამოვლენასა და აღწერას ლინგვოკულტუროლოგიისა და კონცეპტოლოგიის მონაცემთა გათვალისწინებით. განყოფილებაში ამ მიმართულებით დაწყებული მუშაობა უნდა გაგრძელდეს, რათა საფუძველი შეექმნას ეროვნულ კონცეპტთა ლექსიკონს, რომელიც ახალი ცოდნით გაამდიდრებს ქართულ ლექსიკოლოგიასა და ქართულ ლექსიკოგრაფიას, კერძოდ, სიტყვის მნიშვნელობისა და ხარისხის, მისი ეპისტემიოლოგიური ასპექტის თვალსაზრისით.

••• **ქართული ენის** მოდელირებასა და მათემატიზაციას, საერთოდ, აღწერის ფორმალიზაციას ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილება 60-იანი წლებიდან აქცევდა დიდ ყურადღებას. ამას მოწმობს განყოფილების მრავალჯერადი კრებულები და მათი სახელწოდება „ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერება“, დისერტაციები, რომლებიც განყოფილებაში იქნა მომზადებული და დაცული. 90-იანი წლებიდან, ახალი მოთხოვნების შესაბამისად, ქართული ენის ფორმალიზაციისადმი მიძღვნილი კვლევების ფოკუსირება მოხდა „კომპიუტერიზაციაზე“. ამ მიზნით განყოფილებასთან შეიქმნა კომპიუტერული ლინგვისტიკის ლაბორატორია, რომელსაც, ერთი მხრივ, უნდა დაემუშავებინა ქართული ფორმალური ენის ფარგლებში კომპიუტერთან ენათმეცნიერთა უშუალო ურთიერთობის საკითხები,

ხოლო მეორე მხრივ, უნდა შედგომოდა ქართული ენის მანქანური ფონდის შექმნას, რაზეც არსებობდა იმდროინდელი პრეზიდენტის განკარგულება. შესაბამისი კვლევის შედეგი ქვეყნდებოდა ლაბორატორიის მიერ ყოველწლიურად გამართულ რესპუბლიკურ კონფერენციებზე მოხსენებებისა და დაბეჭდილი „მასალების“ სახით, რასაც ქვეყნის ფარგლებში ქართული ენის მანქანური დამუშავების პრობლემებზე მომუშავე სხვადასხვა ჯგუფებისთვის მასტიმულირებელი მნიშვნელობა ჰქონდა.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ განყოფილებაში განახლდეს მუშაობა ზემოაღნიშნული მიმართულებით, რადგან ქართული ენის ე. წ. კომპიუტერული უზრუნველყოფა ფორმალურ-სტრუქტურული მეთოდების გაცნობა-ათვისების გარდა, ქართული ენის სემანტიკისა და პრაგმატიკის დონეთა გათვალისწინებას საჭიროებს. ამ დონეთა თეორიული შესწავლა სწორედ ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილებაში ხდება.

••••• **ქართული ენის** მეცნიერულ შესწავლას გამოყენებითი და, ამდენად, საზოგადოებრივი ინტერესიც ახლავს: პოლიტიკაში, ბიზნესში, სავაჭრო ურთიერთობებსა და სხვა სფეროებში ჩაბმულ ადამიანებს უჩნდებათ საჭიროება, მეტი იცოდნენ იმ ენის პრაგმატიკული ზემოქმედების შესახებ, რომლითაც ისინი აგვარებენ საქმეს, დებენ ხელშეკრულებას, აღწევენ შეთანხმებას, გამოდიან პარლამენტში, აწყობენ აქციებს, მართავენ საარჩევნო კამპანიებს, იგებენ არჩევნებსა და ა. შ. ამ საზოგადოებრივი მოთხოვნითაც ვასაბუთებთ სოციოლინგვისტიკურ პრობლემატიკაში ყურადღების გამახვილებას თემაზე, რომელიც ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: „ენა და საზოგადოებრივი ურთიერთქმედების მოდელირება“. მისი დამუშავება, თეორიული-ემპირიულ კვლევებთან ერთად, კოგიტოლოგიის, ნეიროლინგვისტიკური პროგრამირებისა და ე. წ. პოლიტიკური ენათმეცნიერების მიღწევათა გათვალისწინებასაც გულისხმობს. ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების თემატიკაში აღნიშნული თემა ბუნებრივად დაიკავებს თავის ადგილს.

••••• **ქართული ენის** სალიტერატურო წარმოთქმის საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა დღეს, როდესაც საჯარო მოსახლეობის, პოლიტიკური ტელეშოუების, საპარლამენტო სესიების ტრანსლაციები საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველდღიურ რეჟიმში გადამეტებულად დიდ ადგილს იკავებს. ქართული სალიტერა-

ტურო ზეპირი მეტყველების სახე ხშირად ისე შეცვლილია, რომ გავიწყობისა და გაგების პრობლემას ქმნის. მეცნიერულად არის დასადაგენი ამ მოვლენის გამომწვევი მიზეზები და სალიტერატურო წარმოთქმის ნორმიდან გადახრათა დაძლევის გზები. სოციოლინგვისტიკურ კვლევასთან ერთად, საკითხი, უწინარეს ყოვლისა, ფონეტიკურ კვლევას მოითხოვს. მიზანშეწონილად და საშურად მიგვაჩნია განყოფილებაში ექსპერიმენტული ფონეტიკის სექტორის შექმნა (თუ ისტორიას გავიხსენებთ, 60-იან წლებამდე განყოფილებას ერქვა „ზოგადი ენათმეცნიერებისა და ექსპერიმენტული ფონეტიკის განყოფილება“. სახელწოდება რეალურად ასახავდა შინარსს). ეს მით უფრო საშურია, რომ ინსტიტუტში აღარ არსებობს ის სტრუქტურული ერთეული, რომელიც წარმატებით მუშაობდა წარმოთქმის საკითხებზე, დღევანდელ პირობებში, როცა ფონეტიკური ექსპერიმენტის არა ერთი და ორი კომპიუტერული პროგრამა არსებობს. სექტორის მნიშვნელობა გასცდება ენათმეცნიერების ფარგლებსაც, თუ იგი მოემსახურება (ასეთი მომსახურების საჭიროება არსებობს) ისეთ სფეროებსაც, როგორცაა ხმისა და წარმოთქმის ატრიბუცია (ავტორობის დადგენა) კრიმინალისტიკაში, დაავადებათა და ანომალიათა განსაზღვრა მედიცინასა და ფსიქოპათოლოგიაში და სხვ.

5. ზემოთ წარმოდგენილი ყოველი პრობლემა სათანადო პროგრამათა დამუშავებასა და მათი განხორციელებისთვის სპეციალისტებითა და ფინანსებით უზრუნველყოფას მოითხოვს. საბაზო სახსრებთან ერთად, საერთაშორისო და ადგილობრივი გრანტების, მიზნობრივი პროგრამების, სპონსორული აქციების და მისთ. გამოყენება შეიძლება ვივარაუდოთ.

6. სხვადასხვა მიზეზებით განყოფილებაში შექმნილი კადრების დეფიციტის შევსების ერთ-ერთი გზა იქნებოდა განყოფილებასთან მაგისტრატურისა და დოქტორანტურის გახსნა, აგრეთვე, ზოგადად ენათმეცნიერების სპეციალიზაციით ე. წ. გადამზადებაც.

ორმაგი უარყოფისათვის თანამედროვე ქართულში

ორმაგი უარყოფის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ბევრი თქმულა და დაწერილა. ორმაგი უარყოფა აუცილებელია მაშინ: 1. როცა უარყოფითი ნაცვალსახელი თუ ზმნიზედა გათიშულია უარყოფითი ნაწილაკისაგან („**არსად** ასე **არ** მდებარე...“); 2. როცა უარყოფით ნაცვალსახელსა და ზმნიზედას დაერთვის ნაწილაკი **-ც(ა)** („ვერაფერსაც ვერ ვხედავ...“); 3. როცა უარყოფითნაწილაკიანი სიტყვა მსაზღვრელ წევრს წარმოადგენს („მუცელას სმა-ჭამის მეტი არავითარი დარდი **არ** ჰქონდა“); 4. თუ ძირითადი წევრის უარყოფითობას გამოხატავს **არც, ვერც, ნურც** ნაწილაკები („არც ერთი აღდგომა, არც ერთი ბედნიერი დღე არ ახსოვდა...“) (ავთ. არაბული).

პირველი წესის დარღვევის შემთხვევები შედარებით ნაკლებად დასტურდება, თუმცა მაინც გვაქვს ისეთი მაგალითები, როცა უარყოფითი ნაცვალსახელი თუ ზმნიზედა გათიშულია უარყოფითი ნაწილაკით („ვერაფინ ისე მამაცად იბრძვის სხვის ომში, როგორც სულელი“; „ვერაფინ თურმე შეგიფარებს, როცა ხარ გლახა“; „**არსად** ისე იგრძნობა ქართული სული, როგორც აქ“; „**არსად** ისე ცნაურებულა ეს ნგრევა, როგორც პოეზიაში და საერთოდ ხელოვნებაში“).

ირღვევა მეორე წესიც – როცა უარყოფით ზმნიზედასა და უარყოფით ნაცვალსახელს დაერთვის **ც(ა)** ნაწილაკი („ფილმში არ არსებობს რეალიზმი, ამიტომაც ის **არაფერსაც** ასწავლის“; „მის წინაშე უძლურები არიან, **ვერაფერსაც** დააკლებენ“).

შეინიშნება მესამე წესის დარღვევის შემთხვევებიც – როცა უარყოფითნაწილაკიანი სიტყვა მსაზღვრელ წევრს წარმოადგენს („როგორც ჩანს, **არავითარი** „შერიგება“, „მონანიება“, „იარალის დაყრა“ მომხდარა“; „ხელისუფლებას **არავითარი** გავლენა აქვს სასამართლოზე“; „აქ **არანაირი** კომპრომისი არის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართულებით“; „ვერაფითარი ძალა დაამარცხებს დღეს მაგ პარტიას“).

ზოგჯერ დარღვეულია მეოთხე წესიც, მაშასადამე, ძირითადი წევრის უარყოფითობას გამოხატავს **არც, ვერც, ნურც** ნაწილაკები

(„**არცერთი** შემთხვევა, **არცერთი** შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან“; „გარწმუნებთ, **ვერცერთი** ბანკი და **ვერცერთი** კომერციული სტრუქტურა გაუძლებს ამდენ ხანს ბრძოლას“).

ვფიქრობთ, გარკვეულ შემთხვევებში ორმაგი უარყოფა ერთ-გვარ სტილებრივ ელფერს სძენს წინადადებებს და, ბუნებრივია, შეცდომად არ უნდა ჩაითვალოს.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება სხვა შემთხვევებიც.

რ ო მ ა ნ ლ ო ლ უ ა

ალბანეთის მთავარეპისკოპოსის – იერემიას მოღვაწეობის დათარიღებისათვის

ქართულ და კავკასიის ალბანურ დამწერლობათა შექმნის „სომხური“ ვერსიის მხარდამჭერებს მთავარ არგუმენტად მოჰყავთ ის, რომ ძველ სომხურ წყაროებში ამიერკავკასიის ანბანთა „შექმნა-გამოგონების“ აღწერისას იხსენიება იმ დროის რეალური ისტორიული პირები. ასე, მაგალითად, კ. მელიქ-ოგაჯანიანი აღნიშნავს: „ამიერკავკასიის სამი მეგობარი ხალხის დამწერლობის შექმნის ამა თუ იმ ეტაპის ამსახველი წლები შეგვიძლია რამდენიმე წლით დაგწიოთ უკან – IV საუკუნისკენ, ან წინ – V საუკუნისკენ, თუმცა ერთი რამ ცხადია, რომ ეს ანბანები და დამწერლობა შექმნილია IV და V სს.-თა მიჯნაზე, სომხეთის მეფის ვრამშაპუჰის, კათოლიკოსის სააკის, ივერთა მეფეების – ბაკურისა და შემდგომ გამეფებული არძიუხის, ქვეყნის ეპისკოპოსის მოვსესის, ტაშირის ბატონის აშუშასი, აღვანთა მეფის არსვადისა და ქვეყნის ეპისკოპოსის იერემიას ხანაში ... აქ არ შეიძლება არსებობდეს რაიმე ეჭვი.“

მიუხედავად პატივცემული მკვლევრის რწმენისა, ეჭვები სამეცნიერო ლიტერატურაში მაინც გამოითქვა: ივ. ჯავახიშვილმა და ზოგიერთმა სხვა მკვლევარმა ანაქრონიზმად მიიჩნიეს მეფე ბაკურის, მოსე (მოვსესის) და სამუილ ეპისკოპოსების მოხსენიება ქართული დამწერლობის „შექმნის“ კონტექსტში.

რაც შეეხება ალბანურ ანბანის „შექმნა-გამოგონების“ აღწერისას მოხსენიებულ პირებს: ზოგიერთი პირის შესახებ ცნობა (ბენიამინი/ვენამიანი და სხვ.) საერთოდ არ გვხვდება ამ კონტექსტის გარეთ,

მცირე ცნობები მეფე არსვალ(ენ)/არსვალ(ენ)ის შესახებ, რომელიც მხოლოდ სომხურ წყაროებში მოგვეპოვება, არ გვაძლევს საშუალებას ამ მეფის მოღვაწეობის პერიოდი უტყუარად განვსაზღვროთ, ხოლო რაც შეეხება ეპისკოპოს იერემიას, აქ, ჩვენი აზრით, გვაქვს აშკარა ანაქრონიზმი. იერემია ალბანეთის საეპისკოპოსო ტახტზე უნდა ასულიყო VI ს. I ნახევარში (არა უადრეს 515 წლისა და არა უგვიანეს 537 წლისა), ხოლო ალბანეთის ეკლესიას იგი უძღვებოდა 552 წლამდე. ამდენად, მასა და მამტოცს შორის არის თითქმის საუკუნოვანი აცდენა. სათანადო დასაბუთება წარმოდგენილი იქნება მოხსენების დროს.

თ ა მ ა რ ლ ო მ თ ა ძ ე

ენობრივი პოლიტიკა – დეფინიციები, ტიპები

მიუხედავად იმისა, რომ ენობრივი პოლიტიკა შედარებით ახალი დარგია, საენათმეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე განმარტებაა გავრცელებული. ასევე სხვადასხვა შეხედულება არსებობს მისი ტიპებისა და შემადგენელი დარგების, ძირითადი ცნებებისა და ტერმინების სახელდების შესახებ.

დავიდ კასელს ჯონსონის განმარტებით, ენობრივი პოლიტიკა წარმოადგენს მექანიზმს, რომელიც გავლენას ახდენს ენის სტრუქტურაზე, ფუნქციაზე, გამოყენებასა და შექმენაზე.

გამოყოფენ ენობრივი პოლიტიკის ტიპებს: ზემოდან ქვემოთ (top-down) და ქვემოდან ზემოთ (bottom-up).

სპოლსკის აზრით, ენობრივი პოლიტიკა შედგება სამი ურთიერთდაკავშირებული, მაგრამ დამოუკიდებელი დარგისაგან. **პირველი მათგანია** სამეცნიერო საზოგადოების წევრების ფაქტობრივი ენობრივი პრაქტიკები – რომელ ნაირსახეობას იყენებენ ისინი თითოეული კომუნიკაციური ფუნქციისათვის, რომელ ვარიანტებს ირჩევენ სხვადასხვა მოსაუბრესთან, რომელ წესებზე თანხმდებიან მეცნიერებისა და თუნდაც დუმილისათვის, გავრცელებული თემების განხილვისათვის, იდენტობის გამოხატვისა თუ დაფარვისათვის. ეს გახლავთ საზოგადოების რეალური „ენობრივი“ პოლიტიკა, რომელსაც სოციოლინგვისტიკები აღწერენ როგორც მეცნიერების ეკოლოგია-

სა თუ ეთნოგრაფიას. მოსაუბრე, რომლის მეტყველებაც აქედან გამონაკლისს წარმოადგენს, შეიძლება მარკირებულ იქნეს როგორც უცხო ან მეამბოხე. **მეორე კომპონენტი**, რომელიც დიდწილად პირველის ზეგავლენითაა ფორმულირებული, შედგება იმ ღირებულებებისაგან, რომლებსაც სამეტყველო საზოგადოების წევრები მიაწერენ ამა თუ იმ სახესხვაობას ან ვარიანტს. ხანდახან შეიძლება მოხდეს ამ წარმოდგენათა ორგანიზება იდეოლოგიებად, საზოგადოების გარკვეული წევრების მიერ გაზიარებულ ღირებულებათა უფრო დახვეწილ კომბინაციებად. **მესამე კომპონენტი**, რომელსაც ლინგვისტთა დიდი ნაწილი უწოდებს „დაგეგმარებას“, სპოლსკის ტერმინოლოგიით – „მენჯემენტი“ – არის სამეტყველო საზოგადოების იმ წევრთა ძალისხმევა, რომელთაც აქვთ ძალაუფლება საზოგადოების სხვა წევრებზე, რათა მოახდინონ მათი ენობრივი პრაქტიკის მოდიფიცირება სხვა ნაირსახეობის გამოყენებით.

ქ ე თ ე ვ ა ნ მ ა რ გ ი ა ნ ი - ს უ ბ ა რ ი

ტერმინ ინფერენციის განმარტებისათვის „აქტუალურ ლინგვისტურ ცნება-ტერმინთა ლექსიკონში“

ინფერენცია (ინგლ. *inference* – ლოგიკური დასკვნა, მიხვედრა) საერთაშორისო ლინგვისტიკაში მეტად პოპულარული და ფართო გამოყენების ტერმინია; ის მჭიდრო კავშირშია ევიდენციალობასთან, ვინაიდან ამ გრამატიკული კატეგორიისთვის ის, ვერბალობის გვერდით, ერთ-ერთი ძირითადი ინფორმაციის წყაროა. ქართულ ენობრივ სინამდვილეში ზმნის ინფერენციულობა ე. წ. „უნახაობას“ უკავშირდება, ვინაიდან უნახაობის გამომხატავი მწკრივები (განსაკუთრებით კი I თურმეობითი) გულისხმობენ უნახავი პროცესის შესახებ მოქმელის ინფორმირებულობას ან სხვა პირისგან, ან მოქმედების კვალის მიხედვით; სწორედ ეს უკანასკნელი მოიაზრება საანალიზო ტერმინში. ინფერენციულობა მჭიდრო კავშირშია ეპისტემიკურ მოდალობასთან, რომელიც, თავის მხრივ, საეჭვოობა-სავარაუდოობის სემანტიკას გულისხმობს, მაგრამ საქმე ის არის, რომ ენათა

დიდ უმრავლესობაში (მათ შორის ინდოევროპულ ენებში, სადაც ეს კატეგორია ძირითადად ან სინტაქსურია, ან ლექსიკური) სავარაუდოობა და საექვოობა ნაკლებად დიფერენცირებულია (მაგალითად, თუ ქართულში „თურმესა“ და ალბათობის სემანტიკა ორი სხვადასხვა მოცემულობაა და, კონტექსტის გათვალისწინებით, შესაბამის მოდალურ ლექსებათა გამოყენებაც მკაცრად გამიჯნულია, რუსულში ორივე ვითარებაში თითქმის თანაბრად იხმარება ჩართულები: видимо, кажется, вероятно...). თუმცა, ვიკიპედიაში წარმოდგენილი მსჯელობის მიხედვით, „ზოგიერთ ენაში ინფერენციულობა გადმოიცემა დიფერენცირებულად: ა) როგორც დასკვნა პირდაპირ აღქმულ (ნახულ) მოვლენათა საფუძველზე; ბ) დასკვნა ინტუიციის ან საერთო ცოდნის საფუძველზე“.

ვეიდენციალობის ორგანულად გადმოცემა, დამხმარე საშუალებების გარეშე, ცხადია, ენაში მხოლოდ ზმნის პრეროგატივაა. ქართული თურმეობითები მოქმედების მხოლოდ პროცესის უნახაობას გამოხატავენ ისე, რომ ინფორმაციის სანდოობის ხარისხის შეფასება არ ხდება (ამიტომაც არის ტერმინი *უნახაობა* ზედგამოჭრილი მწკრივის ამ ელემენტისთვის); სულერთია, ინფორმაციის წყარო ვერბალობაა თუ ინფერენცია, საექვოობა მათ სემანტიკაში საერთოდ არ ფიგურირებს. სხვაგვარი ვითარებაა ამ მხრივ უმწერლობო ქართველურ ენებში, სადაც ზოგიერთი სპეციფიკური მწკრივი (ჩვენი ტერმინოლოგიით „საკუთრივ ინფერენციული“ მწკრივები), ვარაუდის ან ლოგიკური დასკვნის გარდა, სწორედ საექვოობას, ინფორმაციის სანდოობის დაბალ ხარისხს, ალტერნატიულობის შესაძლებლობასაც აღნიშნავს. ამ გარემოების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, „აქტუალურ ლინგვისტურ ცნება-ტერმინთა ლექსიკონში“, რომელიც ზოგადი ენათნეცნიერების განყოფილების ბაზაზე მზადდება, საანალიზო ტერმინის დეფინიციამი ერთმანეთისგან გაითიშოს ცნებები: სავარაუდოობა (რომელიც შეიძლება ქართულ თურმეობითებსაც მიესადაგოს) და საექვოობა (რომელიც უმწერლობო ქართველურ ენებში სპეციალურ მწკრივებს მოიცავს) და საბოლოოდ ასე ჩამოყალიბდეს: ინფერენცია – ლოგიკური დასკვნა, რომლის სემანტიკა გამოხატავს მთქმელის მიერ გადმოცემული ინფორმაციის ა) სავარაუდოობას (წასულა); ბ) საექვოობა-სავარაუდოობას (ალბათ წავიდა).

საერთოდ კი აღნიშნულ ლექსიკონში ზოგიერთი დამკვიდრებული საერთაშორისო ლინგვისტური ტერმინის განმარტებისას სა-

ჭიროების მიხედვით გათვალისწინებული იქნება ქართველური ენების მონაცემები იმგვარად, რომ დეფინიცია უფრო გამჭვირვალე და ამ ენებთან მისადაგებელი აღმოჩნდეს; მით უფრო, არაერთი ლინგვისტური ცნება (მაგალითად, ევიდენციალობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია), როგორც **სალექსიკონო ერთეული**, ქართულ ენაზე მიმოქცევაში პირველად შემოდის.

ნ ა ნ ა მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი

არის თუ არა „მართვა“ აფხაზურში?

აფხაზურს არ აქვს ბრუნების სისტემა, შესაბამისად, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მიღებული, ამ ენაში არც მართვა მოგვეპოვება.

გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები ერთმანეთისაგან პირკლასის ნიშანთა განლაგებით განსხვავდებიან, ასევე პირ-კლასის ნიშანთა სხვადასხვანაირი რანჟირება ახასიათებს ზმნას წარმოქმნის სხვადასხვა კატეგორიაში: ქცევის, პოტენციალისის, უნებურობის, კაუზატივისა თუ საურთიერთო.

ზმნაში აქტანტთა აღმნიშვნელ აფიქსთა განლაგება სხვა ენების სუბიექტურ და ობიექტურ პირთა ბრუნვების ეკვივალენტურია.

სამეცნიერო ლიტერატურაში ე. წ. **დ**-ს რიგის აფიქსებს ნომინატივის, ხოლო **ლ**-ს რიგისას ერგატივის აფიქსებს უწოდებენ (ქეთევან ლომთათიძე).

ვფიქრობთ, რომ ეს გარემოება იძლევა საფუძველს იმისათვის, რომ აფხაზურში გამოიყოს მართვის კონკრეტული სახეობა – მორფო-სინტაქსური მართვა, რასაც იწვევს ზმნური ძირ-ფუძეების ხასიათი, მოდალურ კატეგორიათა შინაარსი და, ზოგადად, აფხაზური ზმნის ინკორპორატიული ბუნება.

მოხსენებაში ნაჩვენები და გაანალიზებული იქნება შესაბამისი საილუსტრაციო მასალა.

კობა მითაგვარია

მცენარეთა აღმნიშვნელი ლექსიკის შესახებ ადილეურში

თანამედროვე ადილეურ ენაში გვხვდება სხვადასხვა წარმოშობის მცენარეთა სახელები, რომლებიც შესაძლებელია დავყოთ ორ ძირითად ჯგუფად:

ა) საკუთრივ ადილეური, მაგ.:

გიჭაჭუც – ძიძო, **ფგრამბეჟ** – ანწლი, **ხენმგღაშხ** – აზინდა, **ფშაშან** – ჭინჭარი, **ზანთხნაწ** – შვრია, **კამწეზუც** – ძალყურძენა, **ლ'გგზარგჭგრაშუც** – ქრისტესისხლა, **ფშაჭაუც** – დანდური, **შაჭუთეს** – წყლის ბამბა, **ფსგეყან** – დუმფარა.

ბ) ნასესხები, მაგ.:

რუსულიდან **პეტრუშკე** „ობრახუმი“, **ლანდემ** „შროშანა“, **ჭაბასჯ** (რუს. სასაუბრო капуста), არაბულიდან: **საზარ** „ალოე“, **ზაღტარ** „უცრი, ქონდარა“, თურქულიდან **თარშენ** „დარიჩინი“.

აღსანიშნავია, რომ სიტყვა **ბაკლაშენ** „პომიდორი, ბადრიჯანი“ ნასესხებია რუსულიდან ორჯერ – ჯერ „პომიდორის“ მნიშვნელობით (შდრ. სვანურში **პატრიჯანი** „პომიდორი“), ხოლო შემდეგ „ბადრიჯნის“ სემანტიკით.

ადილეურში ზოგ შემთხვევაში ძირეულ სიტყვასთან ერთად იხმარება რუსულიდან ნასესხები მცენარეთა სახელები: მაგ. **ჭაბ-ზაგგ** „მრავალძარღვა“ და **ფაღაროქნიქ**, **ც'გშაჰ** „ყაყაჩო“ და **მაკ; ჯარაბან** „ბაბუაწვერა“ და **ყაღუვანჩიქ**, ჰადაღაშენ „გვირილა“ და **რმაშქ** და ა. შ.

ამავე დროს მცენარეთა არაერთი ნასესხები სახელი დამკვიდრდა ორგანულად ადილეურში.

ზოგიერთმა მათგანმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ადილეური ენის ლექსიკის შევსებაში. ამ ფენას მიეკუთვნება ისეთი ფიტონიმები, როგორებიცაა:

ჭაბასჯ „კომბოსტო“ (капуста), **კატგრღან** „დიცი“ (борщевик), **თუთენ** „თუთუნი“, **კართოჭ** „კარტოფილი“ (картошка).

მეჯუდის ხეობის ზემო წელის ონომასტიკური მასალები

მეჯუდის ხეობა მდებარეობს შიდა ქართლში. ცნობილი გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი თავის „საქართველოს გეოგრაფიაში“ აღწერს ხეობას: „ქოლოთ ქვითკირის დასავლეთით არს ისროლისხევი, ბიყრის ხევს ზეით არს მამული ქსნისა. ეს მდინარე არს მეჯვდა, გამოსდის ჟამურის მთასა, დის სამხრით დაბის მეჯვდამდე“. მეცნიერს თავის მიერ შედგენილ რუკაზე აღნიშნული აქვს მდინარე მეჯუდა, იგივე მეჯვდა, რომელიც გორის ციხესთან შეერთვის მდინარე დიდ ლიახვს. ხეობის სათავეში რუკაზე დატანილი აქვს დასახლებული პუნქტი ამატურთ კარი ციხე-სიმაგრის ნიშნით, ხოლო ორი – ზემო და ქვემო ისროლისხევი საკულტო ნაგებობის ნიშნებით – ჯვრებით.

იოანე ბაგრატიონს თავის შრომაში „ქართლ-კახეთის აღწერა“ მეჯუდის ხეობა აღნიშნული აქვს, როგორც ქსნის ხეობის ნაწილი და ხეობის სათავეში დასახლებული აქვს სოფლები: ქოლოთი, ქვითკირი, ისროლის ხევის სოფლები, როგორც „მოსახლე“.

ამჟამად მდინარის სათავეში აღარავინ ცხოვრობს და იქაურობა გაუკაცრიელებულია, რასაც ზედ დაერთო ოკუპაცია და დაბალი ზონიდანაც წავიდა მოსახლეობა, ხეობაში დარჩენილები ვერ ახერხებენ ბარში ჩამოსვლას, რადგან სოფელ მეჯვრისხევის თავზე, ე. ი. ჩრდილოეთით მავთულხლართებია გავლებული და მთელი სავარგულები მეორე მხარეს არის მოყოლილი.

წლების წინათ ჩაწერილი მთელი რიგი მასალების ნაწილი გადავამოწმეთ ბარში ჩამოსულ ინფორმატორებთან, რითაც ზოგიერთი სოფლის, უფრო ზემო მხარის მასალები შევავსეთ.

ჩვენი მიზანია როგორც მთელი ხეობის, ისე ზემო მხარის ონომასტიკური მასალების წარმოჩენა და ანალიზი, რაც ხეობის ამ სახით კვლევისათვის წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

ხეობის ისტორიას თუ გადავხედავთ, ნათელი გახდება, რომ სხვა მხარეების მსგავსად აქაც ხდებოდა მიგრაცია და იმიგრაცია. ამის დასტურია მრავალი ტოპონიმი და ანთროპონიმი, რომლებიც როგორც ხეობის სათავეში, ასე ბარად გვაქვს დაფიქსირებული.

ხეობის ზემო წელზე იყო წვრილ-წვრილი სოფლები. მათი სახელწოდებანი ძირითადად **-ურ** სუფიქსით იყო გაფორმებული, რომელიც ხეობის მეტყველებაში კუთვნილებას აღნიშნავს და ნაწარმოებია ანთროპონიმისაგან; იგი გვარსაც აღნიშნავს. ზემო ისროლისხევში, სადაც ბოლოს სამი კომლი – გვარად გინტურები ცხოვრობდნენ, ეწოდებოდა ჯავახთა. ინაურში – ინაურები, ფოსურში – ფოსურები, ასადურში – ასადურები, ფაჩურში – ფაჩურები, ციცაგაიანთ კარში – ციცაგები, რომლებიც ბარში გადასახლდნენ – გორის რაიონში და თავიანთ სოფელს ციცაგაიანთ კარი უწოდეს. ჯუჯიკურში – ჯუჯიკურები, ვილდაში – ელიაურები.

დასახლების სახელწოდებანი **-ებ** სუფიქსითაც არის გაფორმებული, მაგალითად: სარაულები არის უბანი, სადაც ამ გვარის ხალხი ცხოვრობდა – გენგიურები. კრებითი სახელია ამ გვარით დასახლებულებისა, ასევე ფაკაურები, ხუტაურები, ვემაგურები, ფსუტურები.

სულ დაფიქსირებული გვაქვს სამასზე მეტი ტოპონიმი და ანთროპონიმი, რომელთა წარმოება სხვადასხვანაირია.

-ურ სუფიქსი შენარჩუნებულია ნარინი წარმოების დროსაც, მაგალითად: ფოსურნი, ელიაურნი, ფსუტურნი, ვემაპურნი, ფიდიურნი... ასევე გვარის ან შტოგვარის საწარმოებლად გამოიყენება **-ან-თ** სუფიქსიანი მრავლობითი: კვირიკაანთ სოსე – კვირიკაშვილი, დვალიაანთ ომარი – დვალიშვილი, ბეგიაანთ მზვარე – ბეგიაშვილი, სარაულიაანთ წისქვილი, ეჯოაანთ ველი – ეჯოშვილი, კურდღელაანთ უბანი – კურდღელაშვილი.

ტოპონიმთა მეორე კომპონენტად გვხვდება: მთა, ქედი, ველი, ახო, მზვარე, წყალი, წყარო, მიწა, ახო, ხევი, კარი.

ძირისა – მთა, რომელიც მდინარე ჭურთულას წყალგამყოფია, აქედან გზა-ბილიკები ქსნის ხეობაში გადადის.

ტბის მთა – არის წყალგამყოფი პატარა ლიახვისა, ეს მთა ნასოფლარ ისროლისხევის დასავლეთით მდებარეობს.

სამების მთა, სადაც არის ექვსი მეტრი სიგრძისა და ორი მეტრის სიგანის ფიქალის ქვა, რომელიც მთაზე არსებული სამების ეკლესიიდან ძირს არის ჩამოვარდნილი. ამ ქვას თითქოს წარწერები უნდა ჰქონდეს, მაგრამ მისი დამერა ვერ მოხერხდა.

ყოფთის მთა – მდინარე მეჯუდის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სადაც ორი ეკლესია და ციხე დავაფიქსირეთ.

წოდების მთა – ესეც მდინარის სათავის აღმოსავლეთით მდებარეობს, აქედან გზები ქსნის ხეობაში გადადის.

ხევი ჯვრის ქედი, ნასოფლარ ზემო ვილდის დასავლეთით.

სამარილე ქედი, ნასოფლარის ჩრდილოეთით.

ნათივარი ქედი, ღვთისმშობლის ეკლესიის დასავლეთით.

ახო ჩურთას ახო, მათეს ახო, ისაკას ახო, ჩაფოს ახო, ესენი გვარად გინტურები იყვნენ.

ვანური ახო, გვარად ვანური იყო.

ასტამაძის ახო – ასეთი გვარი ხეობის სათავეში ცხოვრობდა, ჩასახლებულები არიან ძირითადად მეჯვრისხევში.

მზვარე, ფიდიური მზვარე, გვარად ფიდიური, სადაც ცხვრის დასაყენებელი ადგილი ლატნებით ჰქონდა შემოღობილი.

გოგაის მზვარი, გვარად გინტური, რომელიც ზემო ისროლისხევში ცხოვრობდა.

ასკილანთ მზვარე – ასკილაშვილების გვარი ცხოვრობდა ზემო ისროლისხევში, საიდანაც გადასახლდნენ აწრისხევში, პატარა ლიახვის ხეობაში, მათი ადრინდელი გვარი პავლიაშვილი ყოფილა.

წყალი – ამ ადგილებში პატარა დასახლებების მიხედვით მცირე მდინარეების წყალი ეწოდებათ. ჩანს, რომ ეს ტრადიციითაც უნდა იყოს შემორჩენილი. ვახუშტი ბაგრატიონი ხეობის ზემო მხარის ჰიდრონიმებს ყველგან წყალს უწოდებს.

წარმოვადგენთ ასევე **კარ** ფორმის შემცველ დასახლებულ პუნქტებს, მართალია ისინი მოქმედი სოფლები აღარ არიან, მაგრამ მათ დროს გაუძლეს. ასევე წყაროს, მიწის, ახოს, ჭაობის, ტყის, ხევის შემცველ გეოგრაფიულ სახელებს.

ს ა ლ ო მ ე ო მ ი ა ძ ე

სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“ „ივ. ჯავახიშვილის ბიბლიოთეკიდან“

2016 წელს სამეცნიერო საზოგადოება არაერთ მნიშვნელოვან საიუბილეო თარიღს აღინიშნავს. ჩვენს მოხსენებაში ორი მათგანის დაკავშირებას შევეცდებით. წელს შესრულდა 140 წელი დიდი ივანე

ჯავახიშვილის დაბადებიდან, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა მეცნიერულ ქართველოლოგიაში. მას, როგორც ფუძემდებლური ნაშრომების ავტორს ისტორიულ-ფილოლოგიური მეცნიერების თითქმის ყველა დარგში, როგორც იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლის ჩამყრელს, ენათმეცნიერების ინსტიტუტთან ისიც აკავშირებდა, რომ 1936 წლიდან მიწვეული იყო იმ ინსტიტუტის (აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი – ენიმკი) მუდმივ კონსულტანტად, რომლის ბაზაზეც 1941 წელს შეიქმნა „ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტი“, ახლანდელი არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, რომლის 75 წლის იუბილესაც დღეს აღვნიშნავთ.

ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა მეტნაკლები სისრულით თორმეტ ტომად 1977-1998 წლებში გამოიცა. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მეცნიერის პირადი არქივი ინახავს ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ არაერთ ცნობას მკვლევრის მეცნიერული ნააზრვისა და სამეცნიერო მუშაობის პროცესის შესახებ. მოვიხმობთ ივანე ჯავახიშვილის სიტყვებს ამ არქივში დაცული მასალებიდან: „დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დამრჩენია და აჩქარება მჭირდება: ყოველნაირად უნდა ვეცადო, რომ უმთავრესი ნაშრომების გამოცემა მაინც მოვასწრო. როდესაც ავტორი მეცნიერი ცოცხალი აღარ არის, ძალიან ძნელია იმის გამორკვევა, თუ რანაირად დამთავრებდა იგი თვითონ [რომ] მოესწრო კვლევა-ძიების დასრულება. უფრო ძნელი გასარკვევი იქნება ჩემს დაუმთავრებელ ნაშრომებში გარკვევა, რადგან ბევრ სხვადასხვა სამეცნიერო დარგზე მუშაობის გამო კვლევა-ძიება შეწყვეტილია იმ იმედით, შემდეგში მოვახერხებდი იმის დაწერას, რაც ჩემმა მეხსიერებამ იცის. თუ ამასთანავე იმასაც დავამატებთ, რომ ჩემს ნაწერებს სტამბაში მიცემამდის, გვერდების პაგინაცია წესად არა მაქვს, ადვილად წარმოიდგენთ, რომ უკეთესი იყო ჩემთვის შრომების გამოქვეყნებისთვის მომენდომებინა ის მცირე დრო, რომელიც დამრჩა სიცოცხლის სარბიელზე“ (დ. სართანია, „ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობა და მისი გამოცემული შრომები“, თბ., 2009).

გარდა დაუმთავრებელი ნაშრომებისა, რომლებზედაც მეცნიერი მოხმობილ ფრაგმენტში წერს, არსებობს მრავალი მომცრო ბართი (მათ თავად ივ. ჯავახიშვილი ქართაკებს უწოდებდა) და მკვლევრის პირადი წიგნი, რომლებშიც არაერთი საყურადღებო მინაწერი,

შენიშვნა თუ პირობითი ნიშანია. ამდენად, ჯერ კიდევ წინ გველოდება ივანე ჯავახიშვილის, როგორც დიდი მეცნიერისა და პიროვნების, სხვადასხვა კუთხით გაცნობის სიხარული.

დასახელებულ წიგნთაგან ერთ-ერთია სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“ (პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, გამომცემლობა „ქართული წიგნი“, ტფილისი, 1928), რომლის პირველ გვერდზე იკითხება ივანე ჯავახიშვილის ლამაზი კალიგრაფიით შესრულებული წარწერა „ივ. ჯავახიშვილის ბიბლიოთეკიდან“. მოხსენების დროს წარმოვადგენთ იმ პირობითს გრაფიკულ ნიშნებს, რომლებიც ივანე ჯავახიშვილს გამოუყენებია სალექსიკონო მასალის კვალიფიკაციისათვის. მის მიერ დამუშავებული ლექსიკონი გვიჩვენებს, რომ მკვლევარს აინტერესებდა მეცნიერებასთან („ტექნიკური. მეცნიერება“), ხელოვნებასთან დაკავშირებული ლექსიკა, ცალ-ცალკე ჯგუფებად განიხილავდა სამშენებლო სიტყვებს, საოჯახო ნივთთა სახელებს, სამხედრო ტერმინოლოგიასა და რელიგიასთან დაკავშირებულ („საღმთო“) ერთეულებს. ნათელია, რომ სხვა კვლევით სამუშაოებთან ერთად, დასახელებული ლექსიკონის ამგვარი დამუშავებით საფუძველი ეყრებოდა იმ უმნიშვნელოვანეს ნაშრომებს, რომლებიც ივანე ჯავახიშვილმა ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის ისტორიას მიუძღვნა.

მ ე რ ა ბ რ ო ბ ა ქ ი ძ ე

„კურ“ ძირის ეტიმოლოგიისა და სიტყვათვლის შესახებ ქართულსა და სომხურში

1. „კურ“ ფართო სემანტიკურ ველს ქმნის ქართულ ენაში და სხვადასხვა შინაარსობრივ დატვირთვას გვიჩვენებს. ამ ძირით ძველ ქართულ ენაში წარმოდგენილია სიტყვები: **(შე)-კურ-ა, საკრველი, კრული...** მისი ანტონიმია **„(გან)ჯსნა“**.

2. ჰრ. აჭარიანი „კურ“ (կւր) ძირის განხილვისას მიუთითებს, რომ ეს სიტყვა ქალდეური ან კავკასიური წარმომავლობისაა სომხურში, რის გამოც, მისი სიტყვით, იგი აქვს ყველა კავკასიურ ენას სხვადასხვა ფორმით და შინაარსით. შესადარებლად მოაქვს ისეთი

ქართული ფორმები, როგორცაა კრვა, კურა, გა-კურა, გარდა-კურა, და-კრვა; მიიჩნევს, რომ ამავე რიგში უნდა განიხილებოდეს **გამო-კვერვა**, სრულიად სამართლიანად მიუთითებს სიტყვებზე: **კრული, კრულვა**. მოხმობილი აქვს თუშ. **კვერი** (ჩაქუჩი), მეგრ. **კვეკრა**, სვან. **კვართხ**, ავარ. ანდ. დიდოური და სხვ. სიტყვები. ჩვენ მივიჩნევთ, რომ გასაზიარებელია სომხ. „კურ“ ძირის დაკავშირება ქართულ „კურ“-თან (ჰრ. აჭარიანი, სომხური ძირების ლექს. ერევ. II, 1973)

3. ამავე ძირის სიტყვათველს განსხვავებული სემანტიკური დატვირთვით განეკუთვნება „**მ-კურ-იგ-ი**“. ძველ ქართულში იგი **მ** პრეფიქსის გარეშე გვხვდება.

კურიგ-ი მკვრივი „არს ასოა ესე მაგარი და და *კურივი* (კაცი-სა აგებ. 225.22) (ზ. სარჯვ., ძველი ქართული ენის ლექს).

4. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „კურიგ“ სიტყვა ქართულიდანაა სომხურ ენაში შესული „კრივ“ ფორმით (**უ-ს** კუმშვით) და მნიშვნელობის მოდიფიკაციით **პაექრობის, ომის** მნიშვნელობით. ჰრ. აჭარიანი სომხ. „კრივ“-ს არ უკავშირებს ქართ. „კურ“-ს და მიიჩნევს, რომ იგი სომხურიდანაა შემოსული ქართულში. ეს აზრი შესაძლებელია სწორი იყოს, თუ გავითვალისწინებთ, რომ „კრივ“ სიტყვის შინაარსი ქალაქურ (თბილისურ) მეტყველებაში ქართველებს სომხებისგან უნდა ჰქონდეთ შეთვისებული. ი. გრიშაშვილი აღნიშნავს: „კრივი“ ნიშნავს მუშტებით ბრძოლას. სომხურადაც მუშტით ბრძოლას „კრივს“ უწოდებენ (იოსებ გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი, თბ. 1998). „კრივი“ ისტორიულად ქართულ ენაში არ დასტურდება. იგი ქართულ მწერლობაში გვხვდება XIX ს-ში და სპორტულ ტერმინად ყალიბდება. შესაძლებელია სომხურიდან მომდინარეობდეს, შესაძლებელია – ქართულ-სომხური ყოფითი სინამდვილიდან. ეს ტერმინი ფრიად გავრცელებულია ქართული ხალხური თამაშების ერთ-ერთი სახეობის აღსანიშნავად.

5. სომხურ „კრივ“ სიტყვაში **იგ** ელემენტი ქართული მაწარმოებელია. აკ. შანიძე აღნიშნავდა: „უძველეს დროს ქართულ ენას უნდა ჰქონოდა ერთი ბრუნვა, რომელსაც **იგ** აწარმოებდა. ეს ბრუნვა უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი სახეობა მოქმედებისა. **მისი ფორმები ნაშთის სახითაა მოღწეული. ის ძველ სალიტერატურო ქართულშიც ნაშთია.** ღმრთივ სულიერი, „ცოცხლივ მკუდარ არს“ (I ტიმ. 5.6) და სხვა. მას ამჟამად ზმნიზედური გამოყენება აქვს. არსებითთაგან და ზედსართავთაგან ასეთი წარმოება იშვიათია: ძლივ (ჭავ. 316. 37); უმეტესად

ეხლა **ს**-ანის დართვით: ძლივს) (მ.რ. შდრ. ხანგრძლივი), მხარ-იღ-ლივ, სამ-კუთხივ, ოთხ-კუთხივ (ყაზბ.), „ცხადივ ამბობ, ადამიანო, თუ **სიზმრივ?** (ჭავჭ.), მარვნივ, მარცხნივ და სხვ. ასეთ წარმოებას განსაკუთრებით ხშირად უარყოფით მიმღეობასთან ვხედავთ: ხმა-გაუცემლივ, შეუხედლივ, გაუგებრივ (ყაზბ.), უნებლივ (ჭავჭ.), უკ-ლებლივ, უწყვეტლივ, დაუყოვნებლივ, შეუჩერებლივ, დღე-გამოუშ-ვებლივ, ხმა-ამოუღებლივ და სხვ. აღნიშნულ ფორმებს დღევანდელ ენაში თავისუფლად ენაცვლება მოქმედებითი, ვითარებითი და სა-დაობითი... (ქართ. ენის გრამატიკის საფუძვლ. გვ. 592-593). ავ. შანი-ძის სიტყვით, ზმნიზედის საკუთარ სპეციფიკურ მაწარმოებელთა-გან აღსანიშნავია **ივ, გადავარდნილი ბრუნვის ნაშთია** (ერთი მხრივ-ერთი მხრით) (მ.რ. შდრ. ცალმხრივ-ი). იმავე სუფიქსითა და **ი** პრე-ფიქსით ძველად ნაწარმოები იყო **ი-გურდ-ივ** („გურდ“ სიტყვისა-გან, დაბ. 6.16) და **ი-მგურგლ-ივ**, რომელიც დღესაც იხმარება გამარ-ტივებულად- **ირგვლივ**... არაბული მუდამ > **მუდმივ**“ (იქვე, გვ. 26). დამახასიათებელი სიტყვებია აგრეთვე **ქვრ-ივ-ი < ქ[მ]რ-ივ-ი**), **ხან-გრძლივი**... ამავე სიტყვათა რკალში ექცევა, ჩვენი აზრით, ისეთი სი-ტყვა, როგორიცაა **კურივი**...

მ ე დ ე ა ს ა ლ ლ ი ა ნ ი , , ნ ა ტ ო შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი ,
 ლ ე ლ ა გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი

**აფრიკატიზაცია-დეზაფრიკატიზაციის საკითხისათვის
 ჩოლურულ მეტყველებაში**

აფრიკატიზაცია-დეზაფრიკატიზაცია, როგორც ცნობილია, დამახასიათებელია ყველა ქართველური ენისათვის. იგი განსაკუთ-რებით ხშირია სვანურში, რასაც საენათმეცნიერო ლიტერატურაში განხილული საილუსტრაციო მასალაც ადასტურებს.

აღნიშნულ საკითხს სვანურში არაერთი ენათმეცნიერი (ს. ჟღენტო, ი. ქობალავა, გ. როგავა, მ. ქალდანი, გ. მაჭავარიანი, თ. გამყრელიძე, ვ. თოფურია, ა. ლომთაძე, მ. სალლიანი...) შეეხო და, შესაბამისად, დიალექტური მონაცემების საფუძველზე ბევრი მნიშ-ვნელოვანი დასკვნაც გაკეთდა, თუმცა ჩოლურული მეტყველების

შესახებ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე მსჯელობა არ ყოფილა.

ამჯერად ჩვენი მოხსენების ძირითად მიზანს წარმოადგენს სწორედ აღნიშნული ფონეტიკური საკითხის განხილვა ჩოლურული მეტყველების მონაცემებზე დაყრდნობით, სადაც სხვა დიალექტებისაგან განსხვავებული თავისებურებანიც ვლინდება (მაგ.: **ტარტეც** „ამინდი“ < ქართ. ტაროს-ი, შდრ. ლშხ. **ტაროც|ტაროს; მეგამ** „ამალ-ლებული ადგილი, ზეგანი“, შდრ. ლშხ. **ზეგან**) და ლაშხურ-ლენტეხურთან საზიაროც (მაგ.: ლშხ.-ჩოლ. **ფარცაგ** „კარგი, მშვენიერი“ < ქართ. ფარსაგ-ი, ლშხ.-ჩოლ. **მეშბარ** „მეშბარი“, ლშხ.-ლნტ.-ჩოლ. **ძაფრა** „ზაფრა“). სხვაობაა თვით ჩოლურული მეტყველების კილოკავებს შორისაც, კერძოდ, ზემო და ქვემო ჩოლურულს შორის (მაგ. ადამიანის საკუთარი სახელი **მენოფ** დასტურდება ქვემო ჩოლურულში, **ზენოფ** ზემო ჩოლურულში, **ჟანგ** „ჯანგი“ ქვემო ჩოლურულის კუთვნილებაა, მის პარალელურად კი ზემო ჩოლურულში გვხვდება **ჯანგ** ფორმაც), რაც ლაშხურ-ლენტეხურთან მეზობლობით შეიძლება აიხსნას.

აქვე შეიძლება გამოიყოს საკუთრივ ჩოლურული მასალა: **ბუმ-ბარაბ** „თოფის ლულა, ზამბარა“, **სანდი-ფანდი|ცანდი-ფანდი** „გარეგნობა, თავგზის აბნევა“ და ა. შ.

ამასთანავე, ჩოლურულში ხშირია პარალელურ ფორმათა ხმარება, რაც განპირობებულია სხვადასხვა ფონეტიკური პროცესებით (მაგ.: **მარყუინჯ|მარყუიჯ|მარყუიქ|მარყუჯ|მარყუქ** „მარყუჭი“, **ციაფუა|სიაფუა** „აქეთ-იქით განუწყვეტლივ სიარული“, **თარ-გზელ|თარიგზელ|თარგძელ** „მთავარანგელოზი“, **ბუზღუიტ|ბუძღვიტ** „მუწუკი“ ...

მოხსენებაში დაწვრილებით იქნება საუბარი აფრიკატიზაციადეზაფრიკატიზაციის პროცესის ყველა შესაძლო შემთხვევაზე ჩოლურული მეტყველების 13-ივე კილოკავის მონაცემების გათვალისწინებით.

მ ე დ ე ა ს ა ლ ლ ი ა ნ ი

არაიდენტურ ა+ე ხმოვანთკომპლექსის ელიზიისათვის სვანურში

როგორც მასალის განხილვამ აჩვენა, არაიდენტური ა+ე ხმოვანთკომპლექსის ელიზიისას უნდა გამოიყოს ორი ჯგუფი: 1. ა+ე (← ა) = ე'ს და 2. ა+ე = ე'ს ან ე'ს. პირველი მათგანი დამახასიათებელია ძირითადად ლაშხური დიალექტისათვის (ქ'ეთლაკან ← ქა *თლაკან ← ქა ეთლაკან „გადააწყდა, გადაევილო“; ქ'ენგურნან ← ქა *ნგურნან ← ქა ენგურნან „გადმოგორდა“ და ა. შ.) და ბალსქვემოური დიალექტის ცხუმარული კილოკავისათვის (ქ'ენგრანკან ← ქა *ნგრანკან ← ქა ენგრანკან „გადმოგორდა“; ჩ'უეთპაჟ ← ჩუ *თპაჟ ← ჩუ ეთპაჟ „დაიძალა“ და სხვ.), ხოლო მეორე ჯგუფი – სვანური ენის ყველა დიალექტისათვის, მათ შორის – ლაშხური დიალექტისთვისაც, თუმცა ნაკლები ინტენსივობით.

ა+ე ხმოვანთკომპლექსის ელიზიის ნიმუშები გამოვლინდა სვანური ენის თითქმის ყველა დიალექტში + ჩოლურულ მეტყველებამდე.

ბალსქვემოურსა და ლაშხურ დიალექტებში, ასევე, ჩოლურულ მეტყველებაში, ა+ე ხმოვანთკომპლექსის შეხვედრისას უმეტესად ადგილი აქვს ხმოვანთა შერწყმას (ანუ ა+ე = ე'ს), რაც ამ დიალექტებისათვის, ცხადია, უფრო ბუნებრივია.

ა+ე ხმოვანთკომპლექსის ურთიერთმიმართებისას გვაქვს, ძირითადად, პროგრესულ გავლენაზე დამყარებული ელიზია, თუმცა როგორც ტექსტებში, ისე თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში რეგრესულ გავლენაზე დამყარებული ელიზიის ნიმუშებიც დასტურდება.

ა+ე ხმოვანთკომპლექსი არა მხოლოდ პრევერბიან ზმნებთან ელიზირდება და იძლევა ერთ ე'ს, არამედ იგი სხვა შემთხვევებშიც ელიზირდება ბალსქვემოურ დიალექტში, კერძოდ, მაშინ როდესაც გვაქვს: **ზმნის პირიანი ფორმა + რაოდენობითი რიცხვითი სახელი, ზმნის პირიანი ფორმა + სხვათა სიტყვის ნაწილაკი, არსებითი სახელი + ზმნის პირიანი ფორმა, ზმნისართი + ზმნის პირიანი ფორმა, ჩვენებითი ნაცვალსახელი + სხვათა სიტყვის ნაწილაკი, თანდებუ-**

ლიანი არსებითი სახელი + სხვათა სიტყვის ნაწილაკი და ა. შ. ლაშხურში ა+ე ხმოვანთკომპლექსი უმეტესად პრევერბიან ზმნებთან ელიზირდება, ლენტეხურში კი ელიზია მოსდის უმეტესად „რომ“ კავშირს, რომელიც ახლავს ან რომელიმე მარტივ პრევერბს, ან თანდებულის ან არსებით სახელს, იშვიათად კი უარყოფით ნაწილაკს. გრძელხმოვნიან დიალექტებში, როგორც წესი, ელიზიის ნაცვლად ხმოვანთა შერწყმასთან გვაქვს საქმე. ხმოვანთა შერწყმა კი ბალსზემოურ დიალექტში ხორციელდება არა მხოლოდ პრევერბისეულ ხმოვანსა და მის მომდევნო ზმნის ანლაუტისეულ ხმოვანს შორის, არამედ სხვა შემთხვევებშიც (მაგ.: **ჩვენებითი ნაცვალსახელი + ზმნისართი, ჩვენებითი ნაცვალსახელი + კავშირი, ზმნის პირიანი ფორმა + სხვათა სიტყვის ნაწილაკი, არსებითი სახელი + ზმნის პირიანი ფორმა** და მისთ.), რაც შეეხება ლაშხურ დიალექტს, იქ ხმოვანთა შერწყმა, ძირითადად, ხორციელდება პრევერბისეულ ხმოვანსა და მის მომდევნო ზმნის ანლაუტისეულ ხმოვანს შორის.

„სვანური ენის ქრესტომათიასა“ და „სვანურ პროზაულ ტექსტებში“ ელიზირებულ ფორმათა პარალელურად უელიზიო ფორმებიც დადასტურდა, რაც მთქმელის მეტყველების გარკვეულმა ტემპმა განაპირობა.

ნ ა რ გ ი ზ ა ს უ რ მ ა ვ ა

მან ნაცვალსახელის ფუნქციისათვის (დიალექტურ მონაცემთა მიხედვით)

ნაცვალსახელები ტექსტსა და ბუნებრივ მეტყველებაში ასრულებენ ანაფორულ ფუნქციას, ცნობილია, რომ სახელობითბრუნვიანი სახელის მონაცვლე ნაცვალსახელები პირთან (მესამე) ერთად გამოხატავენ ინფორმაციას სივრცეში საგნის ლოკალიზაციის (სიშორე-სიახლოვის და პირებთან მისი მიმართების) შესახებ.

მოთხრობითბრუნვიანი სახელის მონაცვლე ნაცვალსახელებიდან: **მან, ამან, იმან, მაგან** მხოლოდ **მან** ნაცვალსახელი წარმოადგენს ოდენ პირის ნაცვალსახელს, დაცლილს მითითების, ჩვენებითობის ფუნქციისაგან.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მეგრულ-ჭანური მოთხრობითბრუნვიანი სახელის შესატყვისად გამოიყენებს, ერთი მხრივ, სახელობითზე დაყრდნობილ ფუძეს, რომელიც ჩვენებითობის ფუნქციის მატარებელიცაა, ხოლო, მეორე მხრივ, **მუ(ნ)** – ფუძეს, რომელიც ქართული **მან** ფუძის კანონზომიერი შესატყვისია.

შესწავლილია, რომ მეგრულ-ჭანურში **მუ(ნ)** ფუძის ფუნქცია შედარებით შემოსაზღვრულია და აღნიშნავს განსაზღვრებითობას, უკუქცევითობას, რეფლექსივს. მნიშვნელობით უტოლდება „თვითონ“ ნაცვალსახელს.

ქართული ენის დიალექტური ქვესისტემებიდან აჭარულში დავადასტურეთ **მან** ნაცვალსახელის გამოყენება არა მხოლოდ მოთხრობითბრუნვიანი სახელის, არამედ სახელობითბრუნვიანი სახელის მონაცვლედაც. აქაც მეგრულ-ჭანურის მსგავსად იკვეთება **მან** ნაცვალსახელის განსაზღვრებითობის, უკუქცევითობის ფუნქცია. მაგ.: „**მან** არ კრეფდა?“ „**მანაც** მუშაობს“; „**მან** თუ არ წუხს და არ ცხვენია, შენ რას სირცხვილობ.“

მოხსენებაში განვიხილავთ საკითხებს:

ა) **მან** პირის ნაცვალსახელის გამოყენების შეფარდებითი ინტენსივობის გარკვევა ქართული ენის დიალექტურ დისკურსში ქართული დიალექტური კორპუსის მონაცემებზე დაყრდნობით;

ბ) გურჯულში – თურქეთის ქართველთა მეტყველებაში – **მან** პირის ნაცვალსახელის ფუნქციის დაზუსტება.

მ უ რ მ ა ნ ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი

მედიაოპტივისებრი გარდამავალი ზმნების შესახებ

ა. შანიძის დებულება: „ყოველი მოქმედებითი გარდამავალია, მაგრამ ყოველი გარდამავალი არ არის მოქმედებითი“.

ამდენად, გარდამავალია **ქირაობს** ზმნა, რადგან მას პირდაპირი (ბრუნვაცვალებადი) ობიექტი შეეწყობა: **ქირაობს** ოთახს – **იქირავა** ოთახი, მაგრამ გარდამავალი **ქირაობს** არ არის მოქმედებითი გვარის ფორმა, რადგან გვარის საპირისპირო ფორმები არ უკეთდება; ის არც საშუალო გვარისაა, თუმცა პარადიგმა მედიაოპტიური ზმნის აქვს; საშუალო გვარის ზმნები გარდაუვალი ზმნებია (ა. შანიძე).

ქირაობს ტიპის ზმნათა ერთი ნაწილი ოდენ რელატიურია (თაკილობს, ხმარობს... ის მას) – ბრუნვაცვალებადი სუბიექტით. ნაწილი პოლისემიურია. გვხვდება როგორც აბსოლუტური, ისე რელატიური მნიშვნელობით (სწავლობს, თამაშობს, ლაპარაკობს, ფიქრობს, ჩქარობს... ის /ის მას).

აბსოლუტურად ხმარების შემთხვევაში ასეთი ზმნები საშუალო გვარისანი არიან. მნიშვნელობა საშუალო გვარისა აქვთ. სუბიექტური პირი თვითმოქმედია და სამოქმედო ობიექტი არა აქვს. უღლების ნაკლები პარადიგმებიც საშუალო გვარის მედიოაქტიურ ფორმათა მსგავსად უკეთდება.

განხილულ (**სწავლობს, ქირაობს, თაკილობს...**) ზმნათა გრამატიკული სტატუსის (გვარის, გარდამავლობის) საკითხი სადავოა.

რაკი ეს ზმნები, აბსოლუტურნიც და რელატიურებიც, უღლების პარადიგმას მედიოაქტიური ზმნების პარადიგმის მსგავსად აგებენ (განსხვავება მხოლოდ სინტაქსშია), ა შანიძე ამ პარადიგმას ასეც ახასიათებს – „მედიოაქტივისებრი ფორმათა წარმოება გარდამავალ ზმნებში“.

ასე რომ, ა. შანიძის თვალსაზრისით, **სწავლობს, ანგარიშობს, გალობს, გლოვობს, თამაშობს, ნანობს, ლაპარაკობს, ფიქრობს...** ტიპის ზმნები, რომლებიც აბსოლუტური და რელატიური (ანუ გარდაუვალი და გარდამავალი) მნიშვნელობებით იხმარება, აბსოლუტური მნიშვნელობით საშუალო გვარის მედიოაქტიურები, რელატიური მნიშვნელობით – გარდამავალი, გვარის კატეგორიის გარეთ მდგომი მედიოაქტივისებრი ზმნები; აბსოლუტური და რელატიური კონტექსტის მიხედვით განირჩევა:

ლაპარაკობს-ს... 1. ლაპარაკში არის გართული, – საუბრობს, ბასობს. „სხვებთან რომ ლაპარაკობდი, გული მწყდებოდა“ (აკაკი)... 2. ლაპარაკი იცის, – მეტყველებს რაიმე ენაზე... [ქალმა] სიხარულით წამოიძახა: „მამ აქაც ლაპარაკობენ ჩერქეზულად?“ (ა. ყაზბ.). თინა კარგად ლაპარაკობდა ქართულს (ეკ. გაბ.) ქეგლი.

ლაპარაკობს ის (საერთოდ) > **ლაპარაკობს** ის (ჩერქეზულად). **ლაპარაკობს** ის მას (ქართულს)...

გვარისა და გარდამავლობის მიმართების ტრადიციული ა. შანიძისეული ფორმულა, რომ მოქმედებითი გვარის ფორმა გარდამავალია, ვნებითისა და საშუალისა კი – გარდაუვალი, ყოველი მოქმე-

დებითი გარდამავალია, მაგრამ ყოველი გარდამავალი არ არის მოქმედებითი, ამ ფაქტების გათვალისწინებით ალბათ დამატებით არგუმენტაციას მოითხოვს.

თ ე ა ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი

-მე ნაწილაკიან ნაცვალსახელთა მართლწერისათვის თანამედროვე ქართულში

-მე ნაწილაკი დაერთვის პირის ნაცვალსახელებს **ვინ, რა, რო-მელი, რამდენი** და ვიღებთ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის ფორმებს: **ვინმე, რამე, რომელიმე, რამდენიმე**. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, -მე ნაწილაკიან სახელთა ბრუნებისათვის ძირითად ფორმად მიჩნეულია შეხორცებული სახეობა, შეუხორცებელი – დასაშვებად, ხოლო ნარევი წარმოება უარყოფილია (თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, 1986: 87-88). შესაბამისად, ძირითადია, მაგ., **ვინმეს; ვინმესი;** დასაშვებია: **ვისმე; ვის(გან...)მე**. ასევე ძირითადია: **რამეს; რამეს(ი) // რამის; რამეთი // რამით; რამედ;** დასაშვებია: **რასმე; რის(გან...)მე, რისამე; რითმე, რითიმე; რადმე** და ა.შ.

აღნიშნული ნორმა, ბუნებრივია, ასახულია „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონშიც“ და ზემოხსენებული ფორმები აქ წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ვინმე: მოთხ. **ვინმემ**, მიც. **ვინმეს** [//ვისმე], ვითარ. **ვინმედ**, ნათ. **ვინმეს** [//ვისიმე], მოქმ. **ვინმეთი**; მრ. **ვინმეები** (ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1998: 277).

რამე // რამ (//რამე): მოთხ. **რამემ**, მიც. **რამეს** (//რასმე), ვითარ. **რამედ // რადმე**, ნათ. **რამეს // რამისა** (რისამე), მოქმ. **რამეთი // რამით** (//რითმე); მრ. **რამეები** (ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1998: 425).

მსგავსი მიდგომაა გატარებული **რომელიმე** და **რამდენიმე** ნაცვალსახელების შემთხვევებშიც.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „ნორმების“ მიხედვით **რამე** და **რამ** დამოუკიდებლად ხმარებისას მართებულია მხოლოდ სახელო-

ბით ბრუნვაში, ხოლო „მსაზღვრელად გამოყენების შემთხვევაში **რა-იმე** დასაშვებია ყველა ბრუნვაში“ (თქსენ, 1986: 88). ორთოგრაფიული ლექსიკონიც **რაიმე** ფორმას მხოლოდ შემდეგნაირად წარმოგვიდგენს: (რაიმე//) რამე // რამ.

თანამედროვე ქართულში **-მე** ნაწილაკიან ნაცვალსახელთა ბრუნების ტენდენციის შესწავლისა და მოქმედი ნორმის გადახედვის მიზნით ჩვენ მივმართეთ ქართული ენის ეროვნულ კორპუსსა და გუგლის საძიებო სისტემას. მოხსენებაში დაწვრილებით წარმოდგენთ **-მე** ნაწილაკიან ნაცვალსახელთა შეხორცელებული და შეუხორცელებელი ბრუნვის ფორმების გამოყენების შესახებ კვლევის შედეგებსა და მათს ორთოგრაფიასთან დაკავშირებულ საკითხებს.

როსტომ ფარეულიძე

ზმნათა უღლების ტიპების შესახებ ჩეჩნურში

ჩეჩნურში ზმნათა უღლების ტიპებად დაყოფას პ. უსლარმა ჩაუყარა საფუძველი. მისი თვალსაზრისით, I ტიპის უღლებისაა ზმნა, რომელსაც ფუძეში აქვს ო ხმოვანი ან დიფთონგები **იე** (პ. უსლარით – **იე**), **აი**, **აჟ**, **ოჟ**. შდრ.:

დ-რე-ან „თხრობა, მოყოლა“

დ-მერზ-ან „გადაბრუნება, გადატრიალება...“

‘აით-ან „დატოვება“

საჟე-ან „გაჩერება“ (ბევრისა)

ლოჟზ-ან „თამაში“

ამ ტიპის ზმნები, როგორც პ. უსლარი შენიშნავს, აწმყოს აწარმოებენ **-უ** ფორმანტით. ამავე ფორმანტით აწმყოს აწარმოებენ, აგრეთვე, ზმნები, რომელთაც ფუძეში **ი** ხმოვანი აქვთ, რაც უსლარს გამორჩენილი აქვს (მაგ., **დ-იგ-ან** „წყევანა“ და მისთ.). შენიშნულია, რომ ფუძეში **იე** დიფთონგიანი ზოგი ზმნა აწმყოს **-ა** ფორმანტიც აწარმოებს, რასაც პ. უსლარი ანომალიას უწოდებს.

უღლების II ტიპი, პ. უსლარის მიხედვით, აერთიანებს ზმნებს, რომელთაც ფუძეში **ა**, **ჰ** ხმოვნები აქვთ. ესენიც აწმყოს **-უ**-თი აწარმოებენ, მაგრამ დასახელებული ფორმანტის გავლენით ხდე-

ბა ფუძისეული ხმოვნის ლაბიალიზაცია (შდრ.: ინგ. **ლახ-ა⁵** „მოძებნა“, აწმყ. **ლოხ-უ** < ***ლახ-უ...**).

ულლების III ტიპში გაერთიანებულია ზმნები, რომელთაც ფუძეში აქვთ **უ, უ** ხმოვნები ან **უო, ურ** დიფთონგები. აწმყოს **-უ** ფორმანტის გავლენით დასახელებული დიფთონგები ცვლილებებს განიცდიან (ხდება დიფთონგთა დავიწროება). გამონაკლისები აწმყოს **-ე** ფორმანტითაც აწარმოებენო, შენიშნავს კ. უსლარი.

მაშასადამე, ზმნათა ულლების ტიპებად დაყოფის მექანიზმის კვლევისას კ. უსლარმა ყურადღება გადაიტანა ზმნათა ფუძისეულ ხმოვნებზე. ამავე პრინციპის მიხედვით ნ. იაკოვლევა ჩეჩნურში ზმნათა ულლების 5 ტიპი გამოყო (1. ფუძეში **ა, ა** ხმოვნით: 2. **აე, აე**-თი: 3. **ო, რ**-თი; 4. **უო, ურ**-თი; 5. **უ, უ**-თი). აწმყოს მაწარმოებელი აქაც **-უ** ხმოვანია, თუმცა ზოგი ზმნისაგან აწმყო **-ა** ხმოვნითაც იწარმოება.

ზმნის ულლების ტიპებად დაყოფას იგივე პრინციპი დაუდო საფუძვლად ი. არსახანოვმაც. იგი ულლების შვიდ ტიპს ჩამოთვლის. ამავე პრინციპით ულლების 10 ტიპს ასახელებს თ. დეშერიევა, თუმცა საილუსტრაციო მაგალითებს არ ასახელებს.

ზმნათა ულლების ტიპებად დაყოფის თაობაზე განსხვავებული მოსაზრება აქვს ა. თიმაევს. თუ ულლების ტიპებად დაყოფას საფუძვლად აწმყოს წარმოებას დავუდებთ, ჩეჩნურში სულ ორი ტიპი გვექნება:

1. აწმყოში **-უ** ფორმანტიანი ზმნები;
2. აწმყოში **-ა** (< **-ე**) ფორმანტიანი ზმნები.

აწმყოს წარმოების მიხედვით ზმნათა დაჯგუფებას თავისი უპირატესობაც აქვს: ლექსიკურად ერთი და იგივე, მაგრამ ასპექტურად განსხვავებული, ზმნები ულლების ერთ ტიპში მოექცევა.

დადგენილია, რომ ჩეჩნურში აწმყოს მზა ფორმისაგან იწარმოება ნამყო უწყვეტლისა და მყოფადის ფორმები. ზმნათა სხვა დროები საწარმოებლად იყენებენ ნამყო უახლესის ფორმას. დროთა ამ ფორმებს ულლების ტიპებად დაყოფისას ყურადღება არ ეთმობა, საჭიროა მათი ერთ-ერთ ტიპად (ან სახეობად) გამოყოფა.

მაშასადამე, ულლების ტიპების საკითხი ჩეჩნურში დასადგენია, შესაძლებელია ტერმინი „ტიპები“ არც იყოს საჭირო, უფრო მისაღები სახეობები ჩანს.

ნ ა თ ი ა ფ ო ნ ი ა ვ ა

აფხაზურ-აბაზურ აფიქსურ მორფემათა ფონემატური სტრუქტურა. II. აბაზური მორფემები

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ძირთა და ფორმანტ-თა ამოსავალი სტრუქტურა აფხაზურ-აბაზურში იყო მარტივი (CV) (ქ. ლომთათიძე).

მართალია, CV ტიპი ძალიან გავრცელებულია როგორც ძირებში, ისე აფიქსებში, მაგრამ მის გვერდით გვხვდება სხვადასხვა სტრუქტურის აფიქსური მორფემები, პრეფიქსებიც და სუფიქსებიც: V (ა – პოტენციალისის ფორმაში ნივთთა კლასის ნა- პრეფიქსის ალომორფი), VC (ან- – ინფინიტურ ზმნათა დროის საგარემოებო ელემენტი), C (-ზ – სტატიკურ ზმნათა ნამყო განუსაზღვრელი დროის სუფიქსი ინფინიტურ წარმოებაში), CC (-სტ – ბრძანებითი კილოს თხოვნით-მოწოდებითი ფორმის სუფიქსი), CCV (-ნდა – ნატვრითი კილოს სუფიქსი), CVC (-ზაბ – ალბათობითი კილოს სუფიქსი), CVCV (-თა-რა – დანიშნულების სუფიქსი) და ა.შ.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება აბაზურ აფიქსურ მორფემათა სინქრონიული და დიაქრონიული ანალიზი სათანადო აფხაზურ მასალასთან მიმართებით.

ლ ი ა ქ ა რ ო ს ა ნ ი ძ ე

სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილება

სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილება ამ სახით 2006 წლიდან არსებობს ინსტიტუტში. ამ განყოფილებათა ისტორია, მართალია, მეტ-ნაკლებად ყველამ ვიცით, მაგრამ დროდადრო და, მით უფრო ინსტიტუტის საიუბილეო დღეებში, ვფიქრობთ, აუცილებელია გავიხსენოთ და გავახსენოთ საზოგადოებას.

როგორც ცნობილია, 1925 წლიდან მოყოლებული თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში სამეცნიერო ტერმინოლოგიის საქმეს სათავეში ედგა ვუკოლ ბერიძე და მის შესაბამის ტერმინოლოგიურ ორგანოებს – ცენტრალურ სატერმინოლოგიო კომიტეტსა და შემდგომ სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებას. როგორც რ. ღამბაშიძე წერს, „მის სახელთანაა დაკავშირებული ამ დარგის შემდგომი აღმავლობა“. 1941 წლიდან ვუკოლ ბერიძე ჯერ ლექსიკოლოგიის განყოფილებას ხელმძღვანელობდა, 1943 წლიდან კი – ცალკე გამოყოფილ სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებას. ვუკოლ ბერიძის შემდეგ, 1954 წლიდან 1995 წლამდე, განყოფილებას როგნედა ღამბაშიძე უძღვებოდა. როგორც ცნობილია, ტერმინოლოგიური მუშაობის კოორდინირება ენათმეცნიერების ინსტიტუტში განაპირობა იმან, რომ ყველა დარგის ტერმინოლოგიური ლექსიკონების დამუშავებაში ენათმეცნიერთა მონაწილეობა მუდმივი და სავალდებულო იყო, ხოლო სპეციალისტებს იწვევდნენ გარკვეული ვადით სხვადასხვა ორგანიზაციიდან იმისდა მიხედვით, თუ რა დარგის ტერმინოლოგია მუშავდებოდა. ასე შეიქმნა 100-ზე მეტი უმნიშვნელოვანესი დარგობრივი ტერმინოლოგიის ლექსიკონი. სამწუხაროდ, ამ საკმაოდ მნიშვნელოვანი ტერმინოლოგიური მეცვიდრეობის ასახვა ინტერნეტსივრცეში ვერ მოხერხდა და სწორედ ამის გამო ჩამორჩა ქართული ტერმინოლოგია თანამედროვე მოთხოვნებს და არა იმის გამო, რომ დრომ არსებითად ახალი მიდგომები მოიტანა, როგორც ფიქრობს დღეს ზოგი. ტერმინთმემოქმედების პრინციპები უცვლელია სხვადასხვა (ბერძნული, რუსული, ინგლისური...) ენის გავლენის ეპოქაში. ტერმინოლოგიური მეთოდები მრავალი საუკუნის განმავლობაში შეიმუშავეს სხვადასხვა დროს მოღვაწე ქართველმა მეცნიერებმა და საკმაოდ მნიშვნელოვანი ტერმინოლოგიური სკოლებიც შექმნეს (ვფიქრობთ, ამ ისტორიის შესახებ საგანგებო კურსი უნდა იკითხებოდეს ქართულ უნივერსიტეტებში, როგორც ეს მრავალ ქვეყანაშია).

„ტერმინოლოგიური მუშაობის სტრუქტურა სრულიად მართებულად დღემდე ძალაშია. დღესაც ენათმეცნიერების ინსტიტუტი არის სწორედ ის ცენტრი, სადაც თავმოყრილია ორენოვანი ტერმინოლოგიური ლექსიკონების უნიფიკაციის, მათი განხილვა-სანქცინირების საქმე“, – ამ სიტყვებს რ. ღამბაშიძე 1991 წელს გამოსულ იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების 30-ე ტომში წერდა, მაგრამ ეს ფუნქცია 90-იან წლებშივე დაკარგა ენათმეცნიერების ინსტიტუტმა, სწორედ ამიტომ ვერ გახდა საზოგადოებისათვის ცნობილი ი. ჯიბუტის ხელმძღვანელობით შექმნილი უკვე სამენოვანი დარგობრივი

ლექსიკონები, თუმცა არცერთ მათგანს არ დაუკარგავს დღემდე მნიშვნელობა.

თარგმნითი ლექსიკონების განყოფილებაში, რომელსაც 1957 წლიდან 2006 წლამდე ალექსანდრე კობახიძე ხელმძღვანელობდა, მომზადდა და გამოიცა რუსულ-ქართული ლექსიკონის ერთტომეული, გამოსაცემად მომზადდა ქართულ-რუსული ლექსიკონი, შეივსო რუსულ-ქართული ლექსიკონის სამტომეული. ენათმეცნიერების ინსტიტუტის სხდომების ოქმებში შემონახულია ინსტიტუტის ტერმინოლოგიური თუ თარგმნითი ლექსიკოგრაფიის უმნიშვნელოვანესი ისტორია.

უპირველესი ამოცანა, რომელიც დღეს ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილების წინაშე დგას, სწორედ ამ მემკვიდრეობის გადარჩენა და საზოგადოებისთვის მიწოდებაა. ამის იმედი კი მხოლოდ თავდაცვის სამინისტრომ მოგვცა. პროგრამა, რომელიც დღეს უნდა წარვუდგინოთ საზოგადოებას, თავდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით შეიქმნა. იგი საშუალებას გვაძლევს შევქმნათ ქართული ტერმინოლოგიური ბაზა ენათმეცნიერების ინსტიტუტის გრიფით გამოსული ლექსიკონების საფუძველზე, რომლითაც შესაძლებელი იქნება, ერთი მხრივ, ქართული ტერმინოლოგიის ისტორიის შექმნა და, მეორე მხრივ, თანამედროვე ტერმინოლოგიური ნორმების შემუშავება.

ბოლო სამი წლის განმავლობაში განყოფილების ინიციატივითა და ორგანიზებით იმართება ყოველწლიური კონფერენცია ტერმინოლოგიაში და ასევე დაარსდა ჟურნალი „ტერმინოლოგიის საკითხები“.

მ ე დ ე ა ლ ლ ო ნ ტ ი

არნოდლ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების პერსპექტივები

I. დამოუკიდებელი სახელმწიფოს სრულფასოვნების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია სახელმწიფო ენის სიცოცხლისუნარიანობა, მისი განვითარება და ჯანსაღი პოლივალენტოვანი

ფუნქციონირება. სახელმწიფო-ენობრივ პოლიტიკაში უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ეკისრება ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის სფეროს, რომელიც მრავალფეროვანი სალექსიკონო სისტემით მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს არა მარტო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, არამედ, საზოგადოდ, ეროვნული მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის ყველა დარგის განვითარების დონეს, მწერლობისა და მასმედიის ენობრივ ნაღვაწს, ანუ ქართული ენის ლექსიკურ სიმდიდრეს. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადაუდებელ ამოცანად რჩება ქართული ენის სრული ლექსიკური ბაზის შექმნა, რაც ფართო ინსტიტუციური კოორდინაციის პროგრამის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენს.

II. ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის სფეროს სათანადო განვითარების კერა და გარანტი საქართველოში, თითქმის საუკუნეა, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი გახლავთ. ამის ყველაზე დამაჯერებელი დასტურია გასული საუკუნის (1950-1964 წწ.) უდიდესი ქართული ლექსიკოგრაფიული მონაპოვარი – აკად. არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით შედგენილი და გამოცემული 8-ტომეული „**ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისა**“ (ქეგლისა), რომლის ახალი რედაქციის მომზადება, აკად. ავთანდილ არაბულის ხელმძღვანელობით, ამავე ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილებას დაეკისრა.

აქედან გამომდინარე, ლექსიკოლოგიის განყოფილების **პერსპექტიული** ამოცანებია: 1) „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალი რედაქციის სამუშაოების დასრულება; 2) „ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის“ ელექტრონული, ინტერნეტული და პოლიგრაფიული ვერსიების მომზადება; 3) ისტორიულ ნასესხობათა ლექსიკონის მომზადება; 4) ქართული ენის ცალკეულ დიალექტთა ლექსიკონების ელექტრონული, ინტერნეტული და პოლიგრაფიული ვერსიების მომზადება; 5) ქართული ენის სპეციალური ლექსიკონების: სინონიმთა, ანტონიმთა, ომონიმთა და სხვ. მომზადება.

წარმოდგენილი **ამოცანების** წარმატებულად შესრულების მიზნით, ლექსიკოლოგიის განყოფილების მუშაობა უნდა წარიმართოს შემდეგი მიმართულებით: ა) საქართველოს სახელმწიფო ენის განვითარების პრიორიტეტულობა; ბ) ქართული ფუნდამენტური და პრაქტიკული ლექსიკოგრაფიის განვითარება და პოპულარიზაცია

ჩვენს ქვეყანასა და უცხოეთში; გ) ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიაში ჩართული მეცნიერი მუშაკების მიერ მომზადებული მონოგრაფიები და მათივე მოხსენებები როგორც ლექსიკოლოგიის განყოფილების თემატურ სემინარებზე „ლექსიკოლოგიური ძიებანი“, ისე ადგილობრივ და საერთაშორისო სიმპოზიუმებზე, კონფერენციებსა და სემინარებზე; დ) ყოველწლიური კრებულის „ეტიმოლოგიური ძიებანი“ პერიოდული (ყოველწლიური) გამოცემა; ე) ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევითი საქმიანობის გააქტიურება; ვ) ინტენსიური სასწავლო-პედაგოგიური კავშირი და თანამშრომლობა საგანმანათლებლო სისტემასთან; ზ) განყოფილების მიერ მომზადებული ელექტრონული და პოლიგრაფიული პროდუქტების რეალიზების მოქნილი სტრატეგია და ტაქტიკა.

III. ლექსიკოლოგიის განყოფილება **ოთხ** ავტონომიურ, მაგრამ მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებულ სამუშაოს მოიცავს: 1. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალი რედაქცია (ხელმძღვანელი ავთანდილ არაბული); 2. ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური საძიებელი; 3. ქართული ენის დიალექტების კრებვითი და ფრაზეოლოგიური ლექსიკონები და 4. ქართული ენის სინონიმთა და ომონიმთა ლექსიკონები.

ამ სამეცნიერო ამოცანების საბოლოო მიზანი ქართული ეროვნული ენის ლექსიკური სიმდიდრის სრული აღწერაა. ამიტომაც ცენტრალური ამოცანა ამ მიმართულებით განმარტებითი ლექსიკონის სრული კორპუსის შექმნაა. დანარჩენი 3 ამოცანა, თავისთავად, სამეცნიერო ღირებულებასთან ერთად, მნიშვნელოვანწილად ამ მთავარი ჩანაფიქრის განხორციელებას ემსახურება.

მ ე დ ე ა ლ ლ ო ნ ტ ი

ქართ. ცალ-ის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდე **(ქართ. ცალ-ი და ცერ-ი)**

I. ქართ. **ცალ**-ის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის ლექსიკურ მარაგს შეადგენს საკუთრივ **ცალ**-ი, **ცალ**-ის შემცველი და მისგან წარმოებული ლიტერატურული, დიალექტური და ფრაზეოლოგ-

იზმებში შემონახული 250-მდე ლექსიკური ერთეული, რომელთაგან უმეტესობა კომპოზიტია.

II. დადგინდა **ცალ**-ის ლექსიკური მარაგის 6 მაგისტრალური ლექსიკურ-სემანტიკური მიმართულება: „თვლადი“, „განკერძოება“, „დეტერმინირება“, „დრო-სივრცე“ და „ნეგატიური კონოტაცია“.

განისაზღვრა **ცალ**-ის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის 50-მდე დამოუკიდებელი სემანტიკური ველი: „ცალი“; „ერთი“; „ორ(ის) ტოლისაგან ერთი“ (საბა; დ. ჩუბ.; ნ. ჩუბ.); „ორისაგან, წყვილისაგან ერთი“; „მსგავსთაგან ერთი“; „ერთეული“, „ცალი/ერთი მხარე, (ცალ/ერთ მხარეს)“; „ნახევარი“; „დრო; დროება“; „ღვინის საწყაო“; „დროის სათვალავი ერთეული“; „ტოლი, სწორი, ბადალი“; „უტოლოდ“; „უსწოროდ; უსწორ-მასწორო“; „დახრილი, დამრეცი“; „ცარიელი“; „ცალკე“; „მარტო“; „ცალად“; „კენტად“; „პატარა, მცირე“; „თავისუფალი“; „მოცლა, მოცილილობა“; „დაცლა“; „დაცდა“, და სხვა.

III. ქართ. **ცალ**-ის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის კუთვნილებაა ბუდის გარეთ არსებული შესაბამისი სემანტიკის მქონე ლექსიკური ერთეულები: **ცანკვილი** „კენტი ხარი“ (საბა, დ. ჩუბ.), **ცალ-ჭკული, ცანჭკული**, „კენტი“ (ნ. ჩუბ., დ. ჩუბ.); მთიულ. **ცაკვია** „ცაცია“, იმერ. **ცანკალი, ცარუხობა** „კოჭლობა“, გურ. **ცებუკამ, ცებეკი** „კოჭლი“, ხევს. **ცერ-ი** „დამრეცი (ადგილი); ირიბი“, ხევს. **ცერად** „გვერდულად, აღმაცრად, მალულად“, ხევს. **ცერალა** „ცალ მხარეზე ამოდრმავებული ქვა, რომელიც გასროლისას გვერდზე მიდის“; ფშ. **ცეროდენა** „ცერისტოლა კაცი ან ბავშვი“ ხევს. **კენტი** „ცალი; ერთი“, ხევს. **კენტად** „მარტო; ცალად“; **დაცალა, დამაცადა** „ადროვა, მაცადა“ (საბა), **ცლა, მოცლა** „მოცლა, დაცლა; საქმისაგან მოცალემა“ (საბა); **სცალია, სცალს** „თავისუფალი დრო აქვს; მოცილილია, სცალია“, და სხვა.

IV. ქართ. **ცალ**-ის წარმოდგენილი ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის მონაცემების გათვალისწინებით, წარმოდგენილია ცდა ლექსიკურ-სემანტიკური მოტივაციისა: ქართ. **ცალ**-ი „(მსგავსთაგან) ერთი, ცალად, ცალკე, მარტო, კენტად, გვერდულად, დახრილად/ირიბულად“ → ქართ. **ცერ**-ი „ცერა თითი“, **ცერა** „აღმაცერი, ირიბი“ (შდრ.: ხევს. **ცერი** „ირიბი; დახრილი, დამრეცი“, ხევს. **ცერად** „გვერდულად, აღმაცრად“).

ე თ ე რ შ ე ნ გ ე ლ ი ა

მეგრული ზისხირ-ი, ლაზური დიცხირ-ი || დიცხი-ი „სისხლი“ ლექსემების შემცველი იდიომებისათვის

მეგრ. **ზისხირ-ი**, ლაზ. **დიცხირ-ი** || **დიცხი-ი** ლექსემები საყურადღებოა იდიომებში მონაწილეობის თვალსაზრისით. ისინი გამოხატავენ სხვადასხვა შინაარსს:

სიძლიერე: მეგრ. **ზისხირი უფუნს** „ძალა ერჩის, მოზღვავებული ენერგია აქვს“, ზედმიწ. „სისხლი უდულს, ლაზ. **დიცხიი აგიბენ** „ახალგაზრდაა, სიცოცხლით სავსეა, ზედმიწ. „სისხლი უდულს“, შდრ. ქართ. **სისხლი უდულს** „ენერგია მოჭარბებული აქვს, ძალ-ლონე ერჩის“;

შიში, შიშისგან გაქვავება: მეგრ. **ზისხირქ გაყინ** „შიშისაგან გახევდა, გაქვავდა“, ზედმიწ. „სისხლი გაყინა“, ლაზ. **დიცხიი დუქიუ** „შეეშინდა“, ზედმიწ. „სისხლი გაუცივდა“, შდრ. ქართ. **სისხლი ეყინება** „შეშდება, უმოძრაო ხდება“;

შურისძიება: მეგრ. **ზისხირს გეშუნსუ** „შურს იძიებს, მოკლავს“, ზედმიწ. „სისხლს დალევს“, ლაზ. **დიცხიი ქუშუ** „დაახრჩო, გაამწარა, მოსვენება დაუკარგა“, ზედმიწ. „სისხლი დაულია“, შდრ. ქართ. **სისხლს დალევს** „შურს იძიებს, მოკლავს, გაამწარებს“;

ბოროტი, შემაწუხებელი: მეგრ. **ზისხირიში მაშუმალი** „ბოროტი“, ზედმიწ. „სისხლისმსმელი“, ლაზ. **დიცხიი მშუმუ** „დაუძინებელი მტერი, შეუბრალებელი“, ზედმიწ. „სისხლისმსმელი“, შდრ. ქართ. **სისხლისმსმელი** „მჩაგვრელი, ექსპლოატატორი“;

ნათესავი, ახლობელი: მეგრ. **ზისხირი დო ხორცი რე** „ნათესავია, ახლობელია“, ზედმიწ. „სისხლი და ხორცია“, ლაზ. **დიცხიი დო ხორცი** „ნათესავი“, ზედმიწ. სისხლი და ხორცი, შდრ. ქართ. **სისხლი და ხორცი** „ღვიძლი, მკვიდრი ნათესავი“;

ცოდვის ჩადენა: მეგრ. იში **ზისხირით ხეს ვეწიკუნს** „არ მოკლავს – ცოდვას არ ჩაიდენს“, ზედმიწ. „იმისი სისხლით ხელს არ გაისვრის“, შდრ. ქართ. **ვისიმე სისხლში ხელს გაურევს** „ვისიმე მკვლელობაში მონაწილეობას მიიღებს“;

ძალიან გაბრაზება: მეგრ. **ტვინს ზისხირქ ქუფუ** „ძალიან გაბრაზდა“. ზედმიწ. „ტვინში სისხლი ადულდა“, ლაზ. **თიშა დიცხიი**

ქიუხთუ „გაბრაზდა“, ზედმიწ. „თავში სისხლი აუვიდა“, შდრ. ქართ. **სისხლი თავში აუვარდება** „მეტისმეტად გაბრაზდება, გაცეცხლდება, გაშმაგდება“;

ჯანსაღი, ძლიერი: მეგრ. **ზისხირი დო ხორციტ ეფშა რე** „ძლიერი, ჯანსაღია“, ზედმიწ. „სისხლით და ხორციტ არის სავსე, ლაზ. **დიცხი დიდო უღუნ** „სიცოცხლით სავსეა“, ზედმიწ. „სისხლი ბევრი აქვს“, შდრ. ქართ. **სისხლით და ხორციტ სავსე** „ჯან-ღონით სავსე“;

უპატიოსნო, უზნეო: მეგრ. **უწუნდური ზისხირიში რე** „უპატიოსნოა, უზნეოა“, ზედმიწ. „უწმინდური სისხლისაა“;

ჯიმის გამოვლენა: მეგრ. **ზისხირი უმახვ** „წარმომავლობა მოუხმობს, მოუწოდებს“, ზედმიწ. „სისხლი ემახის“, შდრ. ამავე მნიშვნელობით ქართ. **სისხლის ყივილი**;

შესისხლხორცება, გათავისება: მეგრ. **ზისხირი დო ხორციშა მიშუხე** „შესისხლხორცებული, გათავისებული აქვს“, ზედმიწ. „სისხლსა და ხორცში აქვს გამჯდარი“, შდრ. ქართ. **სისხლსა და ხორცში გაუჯდება** „განუმტკიცდება, შეუსისხლხორცდება, ერთიანად მოიცავს“;

აღსასრულის მოახლოება: ლაზ. **დიცხირიქ გიფათქალამს** „აღსასრული მოგიახლოვდა“, ზედმიწ. „სისხლი გიდულს“;

მარჯვე, სიცოცხლისუნარიანი: მეგრ. **ზისხირი მიშადგე** „მარჯვეა, სიცოცხლისუნარიანია“;

უუნარობა, უნიათობა: მეგრ. **ზისხირი ვემშადგე** „უნიათოა, უუნაროა“.

მასალა საკმაოდ ვრცელია. შეიძლება გამოიყოს სხვა სემანტიკური ჯგუფებიც. საყურადღებოა იდიომების სტრუქტურა. გამოვლინდა ორ-, სამ-, ოთხ-, ხუთკომპონენტური იდიომები, რომლებიც სხვადასხვა მეტყველების ნაწილით არის გადმოცემული, ხშირია ორ- და სამკომპონენტური იდიომები. საანალიზო ერთეულები საყურადღებოა ეთნოლინგვისტიკური თვალსაზრისითაც.

ვ ა ჟ ა შ ე ნ გ ე ლ ი ა

მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილება: წარსული, აწმყო, მომავალი

მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილება მემკვიდრეა კავკასიურ ენათა განყოფილებისა, რომელიც 1936 წლიდან არსებობდა ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში. ეს განყოფილება, სხვა საენათმეცნიერო განყოფილებებთან ერთად, 1941 წელს შევიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის ინსტიტუტის შემადგენლობაში, რომელსაც 1950 წელს ენათმეცნიერების ინსტიტუტი ეწოდა, განყოფილებას კი – მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილება.

დაარსებიდან 1985 წლამდე განყოფილების გამგე იყო არნ. ჩიქობავა, 1985-1987 წლებში – ქ. ლომთათიძე, 1987-2006 წლებში – გ. თოფურია.

არნ. ჩიქობავას მიერ ჩატარებული დიდი სამეცნიერო და საორგანიზაციო მუშაობის შედეგად ჩამოყალიბდა **იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების სამეცნიერო სკოლა**, რომელმაც მთელს მსოფლიოში მოიპოვა აღიარება.

მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილების არსებობის 90 წლის მანძილზე განყოფილების თანამშრომელთა ავტორობით 100-მდე წიგნი დაიბეჭდა (მათ შორის უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში – 11); სამეცნიერო სტატიების რაოდენობა ორი ათასს აღემატება (უკანასკნელ ათ წელიწადს – ასს).

არნ. ჩიქობავას და განყოფილების სხვა თანამშრომელთა ხელმძღვანელობით მომზადდა მრავალი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი არა მხოლოდ საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებებისათვის, არამედ – ჩრდილოეთ კავკასიის სამეცნიერო ცენტრებისთვისაც.

განსაკუთრებულია იმ რეგიონულ სამეცნიერო სესიათა როლი, რომლებიც 1965 წლიდან ორ წელიწადში ერთხელ კავკასიის სხვადასხვა ქალაქში იმართებოდა და რომელთა მთავარი ორგანიზატორი იყვნენ მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილების თანამშრომლები და თბილისის საენათმეცნიერო სკოლის აღზრდილი აფხაზი თუ ჩრდილოეთკავკასიელი კოლეგები (ხელმძღვანელი –

არნ. ჩიქობავა). თბილისში 1974 წლიდან გამოდიოდა ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა საერთაშორისო ორგანო „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული“, რომლის მთავარი რედაქტორი იყო არნ. ჩიქობავა, 1989 წლიდან – ქ. ლომთათიძე (სულ 22 ტომი გამოიცა).

ამჟამად განყოფილება მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფებისა და ქვეჯგუფების ისტორიულ-შედარებით გრამატიკებზე აგრძელებს მუშაობას, რომელიც გეგმის შესაბამისად, 2019 წელს უნდა დასრულდეს. ამის პარალელურად, განყოფილების ინტერესების სფეროში შედის ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ურთიერთობის კვლევა ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ძველ ენებთან. დაწყებულია და 2019 წელს დასრულდება პირველი აფხაზურ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონის შედგენა.

2019 წლის შემდგომ პერიოდში ივარაუდება შემაჯამებელი მრავალტომიანი კრებულის (ე. წ. სინოფსისის) შედგენა, რომელიც მიემდგინება კავკასიის ენდოგენურ (იბერიულ-კავკასიურ) ენებს. როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავდა, „ასეთი შრომის შექმნით კავკასიოლოგები მეცნიერულ ვალს მოიხდიდნენ ენათმეცნიერების წინაშე“.

ცალკეა გამოსაყოფი ის საგრანტო პროექტები, რომლებზეც განყოფილებამ იმუშავა უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში: დასრულებულია პროექტები „მთის კავკასიური ენები საქართველოში“ და „ნახურ და დაღესტნურ ენათა შედარებითი გრამატიკა“; დასრულდა, აგრეთვე, ერთი ინდივიდუალური პროექტი „კავკასიის ალბანური ენა და მისი ადგილი იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის“. ამჟამად განყოფილება მუშაობს რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტზე „ქართულ-კავკასიური ლექსიკონები“ (ამ პროექტის ფარგლებში მუშავდება ექვსი ორენოვანი ლექსიკონი). რუსთაველის სამეცნიერო ფონდში განყოფილებიდან წარდგენილია პროექტი „კავკასიის ენდოგენურ ენათა შიდა- და გარენათესაობის პრობლემები“ და ერთი ინდივიდუალური პროექტი.

სვანური ენის შესწავლის სათავეებთან

ცნობილია, რომ სვანური ენის მეცნიერული შესწავლა უკავშირდება აკადემიკოს ნიკო მარის სახელს, თუმცა დღესაც კი გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება XIX საუკუნის მკვლევართა, მოგზაურთა და დიპლომატთა ჩანაწერებსა თუ გრამატიკულ მიმოხილვებს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა მიხეილ ზავადსკი, რომლის "Предисловие" ახლავს СМОМПК-ის X ტომში (1890 წ.) გამოქვეყნებულ სვანურ ტექსტებს. მასში მოცემულია: ბგერათა ფონეტიკური დახასიათება, მსჯელობა ტექსტების ტრანსკრიფციის შესახებ, ვ. უსლარის შექმნილი თუ ე. წ. აკადემიური ანბანის ურთიერთშედარება, საკმაოდ კრიტიკული დამოკიდებულება სვანური ზმნის დრო-კილოთა და მწკრივთა უსლარისეული ანალიზის მიმართ. ბრუნების სისტემისათვის სპეციფიკური და ღირებული დაკვირვებები, ძირითადი ტიპების პარადიგმები, ბრუნვათა დაბოლოებანი, სუბინუმი და გერუნდივი. ალბათ ამიტომ იყო, რომ ნიკო მარმა (Март 1913: 13) მ. ზავადსკის მიუჩინა დამსახურებული ადგილი სვანური ენის წინამორბედ მკვლევართა შორის.

წინასიტყვაობაში 23 გვერდი აქვს დათმობილი ურთულესი სვანური ზმნის მწკრივთა პარადიგმებს და მათ ანალიზს (რაც იმ დროისათვის მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა!), ხოლო სახელი შედარებით მოკრძალებულად გამოიყურება (სულ 12 გვ.).

სახელის ბრუნვათა ფორმა-ფუნქციების განხილვისას მ. ზავადსკისთვის ამოსავალია მორფოსინტაქსური კონსტრუქციები ზმნისა, ამიტომაც ის საგანგებოდ შენიშნავს: "Опредѣлить точное значение каждого падежа и дать соотвѣтственно правильное наименование можно будетъ тогда, когда вполнѣ выяснится характеръ сванетскаго глагола" (СМОМПК 1890: XXXIII).

მ. ზავადსკი გამოყოფს **ცხრა** ბრუნვას (именительный, родительный, дательный, творительный, усвояющій, орудный, движительный, сравнительный, равняющій). თანამედროვე აღწერილობისგან განსხვავებით, ბრუნვათა პარადიგმატულ ერთეულებს მის ნაშრომში ზრდის თანდებულთა სისტემა, რომლის ზოგიერთი კომპონენტი

ჩათვლილია ბრუნვის მორფემად (**დინათე** „ქალიშვილისკენ“ – движительный, სადაც **-თე** მიმართულების აღმნიშვნელი თანდებულია, და დინათან „ქალიშვილისთანა“, равняющий, სადაც **-თან** მსგავსების, თანაობის, თანაბრობის შინაარსს გადმოსცემს). გარდა ამისა, ორმაგი წარმოების მონაცემიც – ნანათესაობითარი ვითარებითი შედის მარტივ ბრუნვათა რიგში (**დინამდ** „ქალიშვილისთვის“) და ის აღინიშნება ტერმინით **усвояющий**.

"Предисловие"-ში, ძირითადად, სწორადაა გამოყოფილი დღესათვის ცნობილი ყველა მორფემა, მათ შორის ორფუძიანი ბრუნვის წარმოქმნილი **-ემ**'იანი ერგატივიც, ოღონდ არც „მოთხრობითი“ და არც „ერგატივი“ არსად ნახსენები არ არის; მათი მაწარმოებლები (**-დ**, **-ემ**) კი გაერთიანებულია მოქმედებით ბრუნვასთან. მოვუსმინოთ თავად მ. ზავადსკის: "Творительный падежь обозначает лицо совершающее (творящее); предмет, в который что-либо превращается; образъ дѣйствія; предель, до котораго дѣйствіе достигаетъ" (იქვე). ამიტომაც მისთვის ზმნი ს ნამყოსრულის ფორმასთან დაკავშირებული ქვემდებარე მოქმედებით ბრუნვაში დაისმის (იხ. გვ. XXXVII). **-დ** და **-ემ**-ის გვერდით ფრჩხილებში მითითებულია ნაგენტივარი ვითარებითის (თანამედროვე გაგებით!) რთული მორფემა **-ემ-დ** (ზოგიერთ არსებითთან და ნაცვალსახელთან გვხვდებაო), რაც, რაღა თქმა უნდა, შეცდომაა.

შენიშნულია, რომ პრეპოზიციურ მსაზღვრელს ეკვეცება ნათესაობითი ბრუნვის თანხმოვნითი ელემენტი **-შ**, რომელიც სხვა შემთხვევებში ყველგან დაცულია. საგულისხმოა, რომ მ. ზავადსკის მრავლობითი რიცხვის ფორმებშიც აქვს დაფიქსირებული როგორც **-რე**, ისე **-რეშ**. ეს უკანასკნელი, თუ ძველ სვანურ ხალხურ სიმღერათა ტექსტების მონაცემი არ არის, გამოგვადგება ნათესაობითი ბრუნვის მორფემის ცვეთის დასათარიღებლად – მაშასადამე, 125 წლის წინ უშგულურ მეტყველებაში, რომელიც ყველაზე არქაულია დღესაც კი ბალსზემოური დიალექტის კილოკავებს შორის, ჯერ კიდევ დაცული იყო ნათესაობითი ბრუნვის მაწარმოებლის თანხმოვნითი ელემენტი **-შ**, დღეს რომ დაკარგულია სვანური ენის ყველა კილოში პრეპოზიციური მსაზღვრელის შემთხვევაში. საგანგებოდაა ხაზგასმული, რომ **emi, ami, emish, amish** (ანუ, დღევანდელი გაგებით, ერგატივის ფუძეზე დამყარებული გენიტივის მორფემები) **"встрѣчается въ немногихъ существительныхъ** (ხაზი ჩვენია – **o. წ.**) и

обычно въ прилагательныхъ и въ причастіяхъ", ანუ ჩვენ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არსებით სახელთა ორფუძიანი ბრუნების გამარტივების პროცესი ასზე მეტი წლის წინ დაიწყო უშუალოდ მეტყველებაში, ხოლო სვანური ენის სხვა დიალექტებსა თუ კილოკავებში, ალბათ, უფრო ადრეც.

მეტად საინტერესოა, რომ მ. ზავადსკის შეუმჩნევია მიცემითი ბრუნვის **-am/-em** მორფემის თანხმონითი ელემენტის დაკარგვის შემთხვევები ზედსართავ სახელთა მხოლოდით რიცხვში.

ისიც საყურადღებოა, რომ მ. ზავადსკი ე. წ. საკუთრივ სვანური ბრუნების (ნ. მარის ტერმინოლოგიით) წარმომადგენელ **-ნ** მორფემის შემცველ ბრუნვას მიცემითს ან ვითარებითს კი არ უწოდებს, როგორც ეს ცნობილია სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, არამედ „შედარებითს“ (Сравнительный), რომელიც გამოიყენება ზედსართავ სახელთა შედარებითი თუ აღმატებითი ხარისხის ფორმებთან, დროის გარემოებებთან და რამდენიმე ზმნასთან, სადაც დასახელებულია "бояться" და "удивляться" (იხ. გვ. XXXIV). ეს უკანასკნელი ერთგვარ დისონანს ქმნის, რადგანაც XX-XXI საუკუნეთა მკვლევრები **-ნ/დ** მორფემებს მხოლოდ **ლიყნლტუე** („შეშინება“) და **ლიგტშილე** („ავსება“) მასდარებიდან მომდინარე ზმნათა პირიან ფორმებთან ადასტურებენ, ხოლო **ლისკურელაწ** („გაკვირვება“) თან დაკავშირებული მიცემით-ვითარებითის საზიარო კონსტრუქცია ჯერჯერობით დასახელებული არ ყოფილა, თუმცა მაინც საინტერესოა მ. ზავადსკისეული ფრაზა: **მიჩაშნ** (დაბეჭდილია შეცდომით Ми чашн) **მამა საკურელ ლი** (დაბეჭდილია შეცდომით сакврели) **ალ გტეში ლიჩტმე** – მისგან არაა საკვირველი ამ საქმის ჩადენა ("не удивительно, что это дѣло онъ сдѣлалъ" – მ. ზავადსკისეული თარგმანი, იხ. გვ. XXXVIII); აქ **საკურელ** ლექსემა არაფერ შუაშია **მიჩაშნ** (ალბათ, **მიჩაშენ** სჯობდა!) ფორმასთან მიმართებაში, რადგანაც ის ისედაც იქნებოდა საილუსტრაციო ფრაზაში – ცნობილია, რომ მორფემა **-ნ** (ან **-გნ**), როგორც წესი, თანდებულიან გამონათქვამთა შესაბამის შინაარსსაც გადმოსცემს სვანურში, რაზედაც თავად "Предисловіе"-ში დადასტურებული ერთი წინადადებაც მიუთითებს: **მარან მად იკაფ ალა**-კაცისგან ეს არაა მიზანშეწონილი (მ. ზავადსკის თარგმანის მიხედვით, "отъ чловѣка не слѣдуетъ ожидать этого" – იქვე)!

მ. ზავადსკი მუშაობდა იმ დროის ცნობილ საზოგადო მოღვაწეებთან და მწიგნობრებთან, უშუალოდ ივანე და ბესარიონ ნიჟარაძეებთან ერთად. ამ უკანასკნელს ახლო ურთიერთობა ჰქონია დიდ ილია ჭავჭავაძესთან, რომელსაც ასე უთხოვია მისთვის თავის დროზე: „**თუ შენ საქართველო ოდნავ მაინც გიყვარს, სვანეთში უნდა წახვიდე და იქიდან ამოგვიდგე მხარში**“ -ო (გაზეთი „სახალხო საქმე“, №253, 1919).

„წინასიტყვაობის“ ავტორი სვანური ენის მხოლოდ ფონეტიკურ-გრამატიკული ესკიზით არ კმაყოფილდება. ის მომავალ მკვლევრებს ამოცანად უსახავს ქართული, სვანური, მეგრული და ლაზური ენების შედარებით შესწავლას, რადგანაც გენეტურად ერთი ოჯახის წარმომადგენლები დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად დაშორდნენ ერთმანეთსო (იხ. გვ. XLIX). აქვე (სქოლიოში!) მ. ზავადსკი გვაწვდის მეტად საყურადღებო ცნობას პროფესორ ალექსანდრე ცაგარლის შესახებ, რომელიც მეგრულთან ერთად სვანურ ენაზეც სწავლობდა. ამის შესახებ თავის დროზე იგი "Мингрельские этюды"-ს (ტ. II, გვ. VII) წინასიტყვაობაშიც იტყობინებოდა და აპირებდა კიდევ მის ხელთ არსებული სვანური ტექსტების (კომენტარებითურთ) გამოქვეყნებასო. სამწუხაროდ, სპეციალურად ეს ტექსტები დღემდე არავის შეუსწავლია. ვ. თოფურიას განცხადებით, ალ. ცაგარელმა გამოიყენა გ. როზენის ნაშრომი "Über das Mingrelische, Suanische und Abchasische" (Berlin, 1847), რომელშიც განალიზებული იყო ლაზური დიალექტის მასალა. საერთოდ კი, XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის I მეთოხედის მკვლევრები ყველაზე ხშირად იყენებდნენ უშუალოდ (რაც ბ. და ი. ნიჟარაძეების დამსახურებაა!), ნაკლებად – ლაზურსა და ბალსზემოურს, იშვიათად – ბალსქვემოურსა და ჩოლურულს, ლენტეხური კი სრულყოფილი არ ყოფილა დაკვირვების ობიექტი... არც ტექსტები და არც მიმოხილვები სანდო და დამაკმაყოფილებელი არ არის (თოფურია 2002: 151).

მ. ზავადსკი შედარებით ფრაგმენტულად განიხილავს ზედსართავ სახელთა ხარისხებს, რიცხვით სახელებს, პირის, ჩვენებით, კითხვით, მიმართებით, განსაზღვრებით და განუსაზღვრელობით ნაცვალსახელებს, თუმცა მის მიმოხილვაში ზოგი არაპროფესიონალური დასკვნაც გვხვდება (ასე მაგალითად: მასდარებს წარმოქმნილ არსებით სახელებს უწოდებს, რთულ ნაცვალსახელებში თანდებუ-

ლიანი ნაცვალსახელებიც შეაქვს, პირისა -**მი** „მე“ და კუთვნილებით -**მიშგუი** „ჩემი“ ნაცვალსახელთა ბრუნვას ერთმანეთში ურევს, მოჰყავს ბრუნვათა არარსებული პარადიგმები – **ამიშნ, იშაშნ, ხოდამნ, ხოჩამნ, ...**, განსაზღვრებითი ნაცვალსახელი „ყველა“ სახელობითში წარმოდგენილია როგორც **მაგ** ლექსემით, ისე ე. წ. ირიბ ბრუნვებში გამოყენებული **ჩი** ფუძით, თუმცა ორივე მათგანს კითხვის ნიშანი აქვს და ა. შ.), მაგრამ მაინც ავტორი ყველგან ცდილობს, წარმოადგინოს ბრუნვათა სრული პარადიგმები.

თითქმის ყველა მოგზაური თუ მკვლევარი (**განსაკუთრებით რუსეთის იმპერიის წარმომადგენლები!**) თითქოს ერთგვარად „ცხვირაწეული“ განიხილავდა მათთან შედარებით „დაბალ საფეხურზე მდგომი“ ხალხის, ე. წ. „ტუზემცების“ ენას, ისტორიას, ეთნოგრაფიულ ადათ-წესებს, რიტუალებს, ტრადიციებს, უძველეს გადმოცემებს და ა. შ. არავინ ფიქრობდა იმაზე, რომ ამ მცირერიცხოვან ხალხებს საოცრად უყვართ თავიანთი ქვეყანა და სხვაგან განცხრომითა თუ ფუფუნებით ცხოვრებას უამრავ ჭირვარამგამოვლილ დედასამშობლოში სიკვდილი ურჩევნიათ. ამ მხრივ გამონაკლისი იყო მიხეილ ზავადსკი. აი, რას წერს იგი СМОСПК-ის X ტომში (გვ. 259) გამოქვეყნებული ულამაზესი იავნანას ტექსტის შესახებ: "Прекрасная пѣсня мингрелски-матери мнѣ кажется не чисто народнымъ произведеніемъ. Мать, убаюкивая своё ненаглядное дитя, выражаетъ глубокое чувство и нѣжной матери и серьёзной патріотки. Вся жизнь ея въ сынѣ: самой себѣ она кажется ничтожной безъ него, **только ради сына она любить міръ, но трогательно говорить сыну: Прошу тебя, люби свою родину! Здѣсь родились твой отецъ, твоя мать! Она охраняетъ насъ отъ несчастій; она многое сдѣлала для насъ и сама отъ насъ ожидаетъ службы!..**" (გვ.IV).

პრაგმატული შევიწროების ტენდენცია, როგორც ახალი სინონიმური წყვილის საფუძველი

თანამედროვე ქართული სოციოკულტურული სიტუაცია, უპირველეს ყოვლისა, ყველაზე მძაფრად და მკაფიოდ ენის პრაგმატულ ასპექტში ვლინდება და, უმეტეს შემთხვევაში, ამგვარი თითქოსდა ცალკეული გამოვლინება მკვიდრდება კიდეც.

ენობრივი არჩევანი, ოპტიმალურ ენობრივ საშუალებათა მიება ენის ფუნქციონირების ყოველგვარ სფეროში ცალსახად დადებითად უნდა შეფასდეს და ამის მეცნიერული შესწავლისათვის მოწოდებულია კიდეც სამეცნიერო დისციპლინები: ლექსიკოლოგია, სტილისტიკა და მეტყველების კულტურა.

აღნიშნულ პროცესზე დაკვირვებისთვის, ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საგანგებოდ შევარჩიეთ ლექსემები „მეგობარი“ და „საყვარელი“, როგორც ლექსიკური სინონიმის დამკვიდრებადი (ან უკვე თითქმის დამკვიდრებული) ობიექტები.

სინონიმია, საბოლოო ანგარიშში, ენობრივი კოლექტივის ცხოვრების ანარეკლია, ენობრივი კოლექტივის ცხოვრების და მასთან ერთად ქართული ლექსიკური ფონდის დინამიკის პროდუქტი (ბ. ფოჩხუა). ქართული აკადემიური ლექსიკოგრაფია ჩვენთვის საინტერესო ლექსემათა განმარტებისას გვეუბნება, რომ:

	ქეგლი (რვატომეული)	ქეგლი (ერთტომეული)	ქართული ლექსიკონი
მეგობარი	გულითადი ამხანაგი, ჭირისა და ლხინის მოზიარე, ახლობელი ადამიანი.	გულითადი ამხანაგი, ჭირისა და ლხინის მოზიარე.	უახლოესი ადამიანი, ერთგული, სანდო, საყვარელი ამხანაგი.
საყვარელი	1. ვინც, რაც უყვართ; სიყვარულის ღირსი. 2. სატროფო, მიჯნური. 3. ვინც ვინმესთან ქორწინების გარეშე, ფარულ კავშირში იმყოფება.	1. ვინც, რაც უყვართ. 2. პირი, რომელიც ვინმესთან ქორწინების გარეშე, ფარულ კავშირში იმყოფება.	1. ვინც ან რაც უყვართ. 2. პირი, რომელსაც ქორწინების გარეშე აქვს კავშირი ვინმესთან.

ჩვენ მიერ წარმოებული კვლევა აჩვენებს, რომ თანამედროვე ქართულ სიტყვათხმარებაში ლექსემა **მეგობარი** დაიტვირთა ახალი მნიშვნელობით, კერძოდ, შეითავსა ლექსემა **საყვარლის** მე-3 მნიშვნელობა (ქეგლის რვატომეულის მიხედვით). მეტიც, მან თითქმის მთლიანად ჩაანაცვლა ეს მნიშვნელობა და ცდილობს იგი უფრო დადებითი ელფერით შემოსოს (შდრ. მნიშვნელობა 1-ლი), სანაცვლოდ **საყვარელი** არამართო შეიზღუდა გამოყენების სიხშირის თვალსაზრისით, არამედ მძლავრობს ტენდენცია, რომ იგი მხოლოდ უარყოფითი კონოტაციის მატარებლად იქცეს, რამდენადაც მისი მე-2 მნიშვნელობა (სატრფო, მიჯნური) თანამედროვე სიტყვათხმარებიდან თითქმის მთლიანად განიდევენა. აშკარაა, რომ ამ ტენდენციის გამომწვევი დასავლური (უპირატესად, ინგლისურენოვანი) ყოფითი და ენობრივი კულტურის ზეგავლენაა.

ჩვენ ხელთ არსებული მდიდარი ფაქტობრივი მასალა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ:

I. თანამედროვე ქართულ ენაში ახალი სოციოკულტურული სიტუაციითაა პირობადებული ენობრივ ერთეულთა ე. წ. პრაგმატული შევიწროების ტენდენცია;

II. სოციოკულტურული და პრაგმატული ასპექტებითვე აიხსნება თანამედროვე ლექსიკურ პარადიგმატიკაში ე. წ. პრაგმატული შევიწროების ტენდენციის საფუძველზე აღმოცენებული სინონიმის მოვლენა და შესაბამისად, ახალი სინონიმური წყვილი **მეგობარი** და **საყვარელი**.

მ ე რ ა ბ ჩ უ ხ უ ა

ბასკურ-კავკასიური მორფოლოგიური შეხვედრები (ნაცვალსახელი)

საყოველთაოდ ცნობილია სამეცნიერო თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ევროპაში იზოლირებული არაინდოევროპული წარმომავლობის ბასკური ენა შეიძლება, მეოთხე ქართველურ ენად ჩაითვალოს (ი. ბრაუნი, მ. ქურდიანი). ამავე საკითხთან დაკავშირებით განსხვავებულ მიდგომას ავითარებდა ბასკური და კავკასიური ენების ცნობილი სპეციალისტი რენე ლაფონი. იგი საუბრობდა გრამა-

ტიკულ მოვლენათა კომპლექსზე, რომელიც მეორდებოდა ბასკურსა და კავკასიურ ენებში, რაც, მისი აზრით, შემთხვევითობას გამორიცხავდა, მაგრამ ამავდროულად ავტორი თავს არიდებდა ბასკური ენის იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის წევრად აღიარებას, თუმცა კი დაჟინებით მოითხოვდა ბასკურის განხილვას კავკასიურ ენებთან ერთიან კონტექსტში. არნოლდ ჩიქობავას მოთხოვნაც ამგვარივე იყო, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ბატონი არნოლდი ბასკურ ენას იბერიულ-კავკასიურ ენად თვლიდა, რომლის გენეტიკური ნათესაობა კავკასიურ ენებთან საბოლოოდ დამტკიცებულად არ მიაჩნდა და მოითხოვდა პრობლემის შესწავლას ბასკოლოგ-კავკასიოლოგების მიერ და საკითხის სიღრმისეულ კვლევას.

მიგვაჩნია, რომ სამუშაო თეორიად უპრიანი ჩანს პრობლემის ლაფონ-ჩიქობავასეული მიდგომის ფარგლებში განხილვა და თანამედროვე ბასკოლოგიისა და კავკასიოლოგიის მიღწევათა ფონზე დამუშავება. ვინაიდან ირკვევა, რომ იზომორფებში (მორფოლოგიის დონეზე) ბასკური გენეტიკურ მიმართებას ავლენს არა რომელიმე კონკრეტული იბერიულ-კავკასიური ენის (ან ჯგუფის) მიმართ, არამედ იგი არის დამოუკიდებელი წევრი ამ ენათა ოჯახისა საკუთარი მახასიათებლებით, რაც კარგად გამოჩნდება ბასკურ-კავკასიური ნავალსახელების შედარებითი შესწავლის დროს:

ბასკური	კავკასიური
ნი „მე“	ლაკ. ნა , დარგ. ნუ „მე“, სვან. ნი- , ნი-შგვეი „ჩვენი“ (ექსკლ.)
ჰი „შენ“	დარგ. ჰ>უ , ნახ. ჰ>ო „შენ“, შდრ. ქართ. ჰ - II ს. პ. ნიშ.
ჰურა „ის“	ხინალ. ჰუ „ის“
გუ „ჩვენ“	ხინალ. ქინ „ჩვენ“, სვან. გუ- (გუ-შგვეი „ჩვენი“ ინკლ.), ქართ. გვ- „I ობ. პირ. ნიშ. მრ.“
სუ „თქვენ“	აფხ.-აბაზ. შგა- ..., ნახ. შუ „თქვენ“, სვან. სგა- <- * შგვა- , ს.-ქართვ. * შგა- , წახურ. შუ „თქვენ“
ჰა-ი-ქ „ისინი“	ხინალ. ჰა „ისინი“, ზან. (ლაზ.) ჰი-ნი-ი „ისინი“
ჰა-უ „ეს“	ს.-ქართვ. * ჰე- „ეს“, ზან. (ლაზ.) ჰა-ია „ეს“, ჰა-ნი-ი „ესენი“
ა-უ „ეს“	ქართ. ე-გ, ე-ს...

ნო-რ „ვინ“, ნო-ლა „როგორ“	ს.-ქართვ. * ნე- , ზან. ნა-მუ „რომელი“, ლაზ. ნა-კო „როგორ“, ნა-ნ-ო „რომლები“, ლეზგ. ნი , აღულ. ნა „ვინ“, წახ. ნე-ნ „როგორი“...
სე-რ „რა“	ქართ. სა- , ზან. სო- „სად“ (ი. ბრაუნის), ჰინუბ. სე , დარგ. სე , კრიწ. სი „რა“...
ბერი „ეს“ ЭТОТ САМЫЙ	ზან. (მეგრ.) ა-მარ-ო „აგერ“, აფხაზ. ა-ბრი „ეს“
ორ-ი „ეს“, ორ „იქ“	სვან. ერე „ვიდაცა“, აფხაზ. არ-ი „ეს“, არ-თ „ესენი“...

რ ო ე ნ ა ჭ კ ა დ უ ა

მა- პრეფიქსული წარმოებისათვის სვანურში

სვანურში **მა-** პრეფიქსიანი ფორმები მიჩნეულია განყენებულ სახელებად და, ამავე დროს, საწყისებად, თუმცა საწყისებად მათ მიჩნევას ზოგიერთი მკვლევარი ეწინააღმდეგება.

სამეცნიერო ლიტერატურაში სვანურის **მა-** და **ლი-** პრეფიქსული წარმოების შესახებ გამოთქმულია მოსაზრება, რომ **მა-** თავსართები უფრო სუბსტანტივებია, ხოლო **ლი-** თავსართები – მასდარები, თუმცა იქვე აღნიშნულია: „**მა-** პრეფიქსიანმა წარმოებამაც შეინარჩუნა მასდარისათვის ჩვეულებრივი გაგება“ (არნ. ჩიქობავა).

საგულისხმოა, რომ თანამედროვე სვანურში დადასტურებული **„მალატ-ლილატ“** კორელაციის მსგავსი წარმოება არ არის უცხო ძველი ქართულისთვის (ქ. ლომთათიძე).

საკითხის უკეთ შესწავლისათვის, ვეცდებით ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით გავაანალიზოთ **მა-** პრეფიქსიანი წარმოება სვანურში (**მა-სდიკ** „წყენა“, **მა-ხარზ** „მური“, **მა-ჟარ** „მოწყენა“, **მა-წამ** „მოწონება, რწმენა“ დასხვ.) და განვიხილოთ ამ სახელებთან (თუ – მასდარებთან) დაკავშირებული ზმნების თავისებურებანი.

ნინელი ჭოხონელიძე

„ტყუილის“ მნიშვნელობის სინონიმური სიტყვები და წყვილები „ვეფხისტყაოსანში“

სინონიმები ენის ლექსიკისა და მწერლის ენის სიმდიდრის მაჩვენებელია, ამ მხრივ „ვეფხისტყაოსანი“ ულავი საბადოა. განსაკუთრებით კი პოემაში გამოსაყოფია ადამიანის ამა თუ იმ თვისების დამახასიათებელი, როგორც აბსოლუტური, ისე რელატიური სინონიმები როგორც ცალკეული, ისე – განსაკუთრებით კი – წყვილულების სახით, რომლებსაც კონტექსტის მიხედვით სხვადასხვა დამატებითი მნიშვნელობა აქვთ.

ამჯერად შევეცდებით წარმოვადგინოთ „ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებული **ტყუილის**, **სიგრუს** მნიშვნელობის სინონიმური სიტყვები და წყვილები.

საილუსტრაციო მასალის გამოყენებისას ვისარგებლე შრომებით: 1. ვეფხისტყაოსნის სიმფონია შედგენილი აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით თბ. 1956; 2. ვეფხისტყაოსნის სიმფონია, ფუძეთა და სიტყვა-ფორმათა ინდექსი, რედაქ. მ. ჭაბაშვილი, აღ. ჭინჭარაული, თბ. 1973.

„ტყუილის“ მნიშვნელობის სინონიმები „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში გვხვდება როგორც ძველქართულისეული, ისე ახალი, მე-12 საუკუნის მეტყველებისათვის დამახასიათებელი, როგორც მარტივი, ისე სახელისაგან ნაწარმოები, ზმნური, სახელზმნური თუ ზმნისართების სახით.

1. ძველქართულისეული სინონიმური სიტყვები: **ცილი**, **ცქაფი**.

ასმათ, მითხრობდი, რაცა სცნა ჩემგან ამბობა **ცილისა** (320,1); **ცქაფნი** მისნი კვლა მეცქაფნეს (654,4).

ძველ ქართულისეული სიტყვები **მრუდი**, **ჰრელი** „ვეფხისტყაოსანში“ გადატანით ასევე „ტყუილს“ ნიშნავს: **მრუდი** არა არ მემცნების (1064,4); მართლად გითხრობ, არა **ჰრელად** (162,1).

შუა საუკუნეებში დადასტურებული სიტყვები: **ღალატი**, **ღაზო**, **ფლიდი**.

ისი კაცნი ჩვენ **ღალატსა** გვიდგებიან (440,1); მას შეჰქმნოდა

მისად **ღაზოდ** (141,1). შემოვიდეს იგი **ფლიდი** (819,3).

„ტყუილის“ შინაარსის სინონიმური სიტყვები უარყოფით **არ** ნაწილაკთან ერთად უარყოფით კონსტრუქციის წინადადებას ქმნის:

არ ტყუილად გეუბნები (1279,3); მიჭვრეტდის, ბნდებოდის, – მართლად არს, **არ კატაზანი** (478,4); თურე ბედი მოაღაფლებს კაცსა ეგზომ **არ-ღაფალსა** (652, 4).

2. სინონიმური სიტყვები და წყვილები ერთმანეთისაგან იზოლირებული არ არიან. გარკვეულ ტექსტში ნახმარი ესა თუ ის სინონიმური სიტყვა შეიძლება სინონიმური წყვილის სახითაც მოგვევლინოს და მეწყვილის მეშვეობით ახალი გამომხატველობითი ძალა შეიძინოს. პოემაში საგულისხმოა არა სინონიმების ხმარების ფაქტი, „არამედ ის კანონზომიერება, რომელიც სინონიმურ ერთეულთა წყვილად ხმარებას ახლავს... სინონიმური სიტყვების ერთად, წყვილად ხმარება ერთგვარი მხატვრული საშუალებაა, რომელიც გადმოსაცემი შინაარსის გაძლიერებულად, ემოციურად გამოხატვას ემსახურება... შეიმჩნევა: წყვილის მეორე წევრი მეტი გამომხატველი ძალისაა, ვიდრე პირველი, ე. ი. ადგილი აქვს გამოსახატი შინაარსის ზრდას, მატებას, აღმავლობას (ვ. დანელია). მაგ.,

ყოვლი **ცრუ** და **მოღალატე** (776,2); **ცრუ** და **მუხთალი** სოფელი (3539,3); **სიცრუვე** და **სიბილწეო** (118,2); **სიცრუვე** და **ორპირობა** (789,4); **უხანობა** და **სიცრუვე** (1006,4).

ეჭვმობა კაცსა **აუგანსა**, **ცრუსა** და **ღალატანსა** (798, 2).

გამწირავი და **მუხთალი** (523,2); **მტყუნსა** და **შენ მუხთალსა** (524,3).

თუ არ მომკლას **მუხთლად**, **ღადრად** (757,2).

მთვრალი ვაჭარი, **ცქაფი**, **უწრფელი**, **მსწრომელი** (1165,4).

თუ **გიტყუო**, **მოგადორო** (667,3).

ტყუილი, **ცილი**, **ღორება**, **უწრფელი** სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით ქართველური წარმომავლობის სიტყვებია. **კატაზანი**, **მუხთალი**, **ფლიდი**, **ღადარი**, **ღაზო**, **ღალატი**, **აუგი** კი აღმოსავლურ სიტყვებადაა მიჩნეული სპეციალისტების მიერ. ზოგი მათგანი, როგორც ჩანს, ავტორის სიტყვაქმნადობის შედეგი უნდა იყოს. მაგ. **უხანობა**, **მსწრომელი**. შდრ. ასევე „ვეფხისტყაოსნის“ **მტყუანი** და ძვ. **მტყუვარი**, **მტყუარი**.

რუსთველის მიერ გამოყენებული სინონიმები შუა საუკუნე-

ების სამწერლო ძეგლებშიც დასტურდება, განსაკუთრებით კი „შაკნამეში“.

ახალ ქართულში ქეგლის მიხედვით ზემოდასახელებული სინონიმებიდან უკვე ძველ ერთეულადაა მიჩნეული **კატახანი**, **ღაღარი**, **ღაფალი**, **ცქაფი**. ზოგი მათგანი კი როგორც სამწერლო ენაში, ისე დიალექტებში, როგორც სემანტიკური, ისე ფონეტიკური ცვლილებებით დიალექტებშიც იჩენს თავს. მაგ.:

ღაზო [არაბ.-სპარ. ღაზაბ «რისხვა»] 1. შურიანი, ბოროტი (შდრ. ღაზი, ღაზვი). [მან] ღაზო თვალი გამომაცოლა (რ. გვეტ.). 2. უბედურება, საზიანო რამ. მოშორება საყვარლისა მას შეჰქმნოდა მისად ღაზოდ, ცრემლსა, ვითა მარგალიტსა, ჰყრის ვარდისა დასანაზოდ (რუსთაველი). 3. კუთხ. (ქიზ.) უნარი, ფხა, გამჭრიახობა. ერთი ბეწო ღაზო არა აქვს. მშიერი მოკვდება (ს. მენტ.) – ქეგლი.

ცქაფი: მკვირცხლი. *ცქაფი* კაცია, მუშაობაში ვერავინ ჯობს (მ. ალავე 2) – ცქაფი გურ. ლეჩხ. ჩქარი, სწრაფი – ა. ლლ.

ცქეფია ცოცხალი, მარდი (მთ. კაიშ.);

ამავე წარმომავლობისა ჩანს **ცქაფი** ცქაფი, ქარი (მეგრ. ელ.).

რა თქმა უნდა, სამწერლო ქართულში, როგორც ძველში, ისე ახალში, ზემოდასახელებული მსგავსი მნიშვნელობის სხვა სიტყვებიც დასტურდება, მაგრამ როგორც ზემოთ მივუთითეთ, ჩვენი მიზანი იყო წარმოგვედგინა მხოლოდ რუსთველისეული „ტყუილის“ შინაარსის სინონიმების ისტორია.

ნ ი ნ ო ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე , მ ა რ ი ა მ კ ი კ ო ნ ი შ ვ ი ლ ი

ფუძეგაორკეცებული სახელები კნინობით-დამცირებითი ფუნქციით

როგორც ცნობილია, ლექსიკურ ერთეულთა წარმოქმნის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს ფუძის გაორკეცება. სიტყვაწარმოებითი ფუნქციით ფუძის რედუქლიკაცია განსაკუთრებით ხშირია ხმაბაძვით სიტყვებში. ეს სახელები ქართულში კარგად არის შესწავლილი (ა. შანიძე, ფრ. ნაისერი, ბ. დეეტერსი, ვ. თოფურია, ს. ჟღენტი, ლ. სანიკიძე და სხვ.); გამოყოფილია გაორკეცების ტიპები ბგერითი

შედგენილობის თვალსაზრისით; დადგენილია ფუძის გაორკეცების ფუნქციები: მრავლობითობის, კრებითობის, ინტენსივობის გამოხატვა.

ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა ის ფუძეგაორკეცებული სახელები, რომლებიც კნინობით-დამცირებითი მნიშვნელობის მქონეა. მათში ფუძის გაორკეცებას ახლავს ფონეტიკური ცვლილებები (მეორე ფუძეში მარცვლის ჩანაცვლება, ხმოვნის შეცვლა ან თანხმოვნის დამატება...). აშკარაა, რომ დამცირება-დაკნინების, დამცინავი დამოკიდებულების გამოხატვა ხერხდება სწორედ ამ ფონეტიკური პროცესების შედეგად: **გიჟმაჟი, მონძმანძი, ჩიხიმახო, აჩლაჩუჩლა, აჩხაჩაჩხა, ბიჭბუჭები, ოხერმოხრები, ყარტაყურტა...**

ამდენად, ფუძის რედუპლიცირება და მისი თანმხლები ფონეტიკური ცვლილება კნინობითობის გამოხატვის ერთ-ერთ შესაძლებლობად უნდა განვიხილოთ.

ნ ი ნ ო ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი

თანამდებობა სიტყვის ისტორიისათვის

სიტყვა **თანამდებობა** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით არის: „1. სამსახურებრივი ადგილი (დაწესებულებაში, წარმოებაში, ორგანიზაციაში). დირექტორის თანამდებობა. – საშტატო თანამდებობა. – ვაკანტური თანამდებობა. – კაცი ერთბაშად მაგ დაბალი თანამდებობიდან ასკუპდა მაღალ რედაქტორობამდე და მაინც ამბობთ – ვიღაცაო! (ილია)... დიდი კაცი ვარ თანამდებობით (რ. ერისთ.)... **თანამდებობის პირი** ოფიც. პირი, რომელსაც რაიმე (მაღალი) თანამდებობა უკავია... 2. ძვ. წიგნ. მოვალეობა. განა საჭირო არ არის ყოველი ჩვენი მეცადინეობა მივაქციოთ იმაზე, რომ ქალს გონება გავუხსნათ ჭეშმარიტი აზრებისთვის... გავაგებინოთ იგი ვალი, თანამდებობა, რომელიც ამ ინტერესს თან მოსდევს? (ილია)... **თანამდებ-ი** ძვ. მოვალე. „თანამდები“ იმ პირს ეწოდებოდა, „რომელსა თანა-ედვა“, რომელსაც სესხი, ვალი ჰქონდა აღებული და მოვალე იყო (ივ. ჯავახ.)“ (ქეგელი IV, 1955). ძველ ფეოდალურ საქართველოში დიდი ხელისუფლების მქონე მაღალი თანამდებობის

პირს **დიდებული** ერქვა.

დღევანდელ ქართულში **თანამდებობა, თანამდებობის პირი, თანამდებობრივი** – თანამდებობის შესაფერი, თანამდებობასთან დაკავშირებული (**თანამდებობრივი მდგომარეობა**) ოფიციალური სამოხელეო ტერმინებია.

თანამდებობა მომდინარეობს ძველი ქართული სიტყვისაგან **თანამდები**, რაც არის „მზღველი“, მოვალე“ (ილ. აბულამე): „და აღასრულენ სიტყუანი ესევეთარნი წინაშე უფლისა: თანამდებ ხარ სიტყუათა პირისა შენისათა“ (იოზ. 31, 20); „სიკუდილო... თანამდები ხარ უწყალოდ, რომელი არავის მიუტევე, და მოსესხე ხარ სასტიკი, რომელი არა გარადაიჯადები“ (მ. სწ. 220, 3); „და მომიტევენ ჩუენ თანა-ნადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა“ (მათე 6, 12)...

სულხან-საბას განმარტებით: **თანამდები** მოვალეა; **თანანადები** კი – ვისაც „თავს ვალი ედვას“...

თანანადები ერთდროულად როგორც მატერიალურ, ისე სულიერ ვალს – მოვალეობას აღნიშნავს, ასევე **თანამდებიც** – მოვალე, ერთდროულად სულიერი და მატერიალური ვალის „მზღველი“: „თანამდებ არს ყოველი ქრისტიანე შემთხუევედ ამბორის-ყოფად, პატივად და თაყუანის-ცემად წმიდათა ხატთა“ (სჯ. კან.)...

იგივე შეიძლება გავიმეოროთ სიტყვა **თანამდებობის** შესახებაც: **თანამდებობა** თავისი თავდაპირველი, ამოსავალი მნიშვნელობით „მევალეობა // მოვალეობა“, გადატანით კი შეიძინა დღევანდელი მნიშვნელობა: „სამსახურებრივი ადგილი...“. **თანამდებობა**, ისევე როგორც არაერთი სხვა ქრისტიანული სიტყვა, ტერმინი (განათლება, მოქალაქეობა...), ახალი, გადატანითი მნიშვნელობით დამკვიდრდა ქართულში.

წმინდა გიორგის სვანური და მეგრული სახელების წარმომავლობისათვის გარეენობრივი ფაქტორების გათვალისწინებით

წმინდა გიორგის მეგრული და სვანური სახელების მრავალფეროვანი ვარიანტები, მათი გამოყენების თავისებურებანი სამართლიანად აღძრავს მკვლევართა ინტერესს და მათი წარმომავლობის ძიებისას განსხვავებულ, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნებს განაპირობებს.

მასალის სპეციფიკურობის გამო საკითხის კვლევისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ გარეენობრივ ფაქტორებს და საქართველოში წმინდა გიორგის კულტთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში არსებული მრავალი მოსაზრებიდან გამოყოფთ იმ ძირითადს, რომელსაც ვეყრდნობით.

ჩვენთვის ამოსავალია: 1. საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისა და გავრცელების ურთულეს ეპოქაში წმინდა გიორგის მოღვაწეობისა და მოწამეობრივი აღსასრულის ადგილისა და დროის სიახლოვემ იმთავითვე განაპირობა წმინდანის მიღება-აღიარება, განსაზღვრა მისი პოპულარობა – ქრისტიანობა ამ მხარეში წმ. გიორგის შთამბეჭდავი ღვაწლით შემოვიდა. მისი კულტის გავრცელება-დამკვიდრება ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისთანავე უნდა მომხდარიყო, რაშიც უდავოდ ივარაუდება წმ. ნინოს განსაკუთრებული როლი (შდრ.: „ვინაფთვან [ქართველთა] იცნეს სამება-ერთარსება, ჭეშმარიტი ღმერთი წმიდის ნინოს მიერ, რამეთუ მამა ნინოსი იყო ზაბილონ, და ესე ზაბილონ იყო კაბადუკიელი, ნათესავი წმიდისა დიდის მოწამის გიორგისა, **ამისთვის, მიერ ჟამითვან ნიშნი და სასწაულნი უმრავლესნი არიან მთავარმოწამისა გიორგისანი ყოველსა ივერთასა...**“ (ვახუშტი; ხაზგასმა ჩვენია – ნ. ხ.). 2. შემდგომ ხანაში მთავარმოწამისადმი თავყვანისცემა კიდევ უფრო განმტკიცდა და ქვეყნისათვის პოლიტიკური დატვირთვაც შეიძინა; 3. გიორგი კაბადოკიელი რეალური პიროვნება იყო და წმინდანად შერაცხვის შემდეგ სწორედ ამ კონკრეტული წმინდანისა სწამდათ ქართველებს და არა ოდინდელი

ქრისტიანობამდელი კულტების გადმონაშთების, რომელთა ფუნქციები მან გვიან შეიძინა; 4. წმინდა გიორგის სახელთა მრავალფეროვნება განპირობებული ჩანს არა მხოლოდ ენის ფონეტიკური კანონებით, არამედ ამ სახელთა დამკვიდრების ქრონოლოგიური სხვაობითაც. გვიანდელია შესაბამის საკულტო ტერმინთა განზოგადებაც; 5. მთავარმოწამისადმი გამორჩეული თავყვანისცემა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია მისი წმინდა ნაწილების დავანებით ქვეყნის მრავალ ადგილას (სხვადასხვა დროს), რაც არაერთ ისტორიულ-ლიტერატურულ და ხალხურ გადმოცემაშია მითითებული; 6. **სვეტი (მეგლი), ლოდი** წმინდა გიორგის სიმბოლოა. ის დასტურდება წმ. გიორგის სალოცავების შორიახლო, თავად ტაძრებში, ასევე იქ, სადაც, გადმოცემების მიხედვით, მთავარმოწამის რომელიმე წმინდა ნაწილია დაფლული ან წმინდანის რაიმე სახით გამოჩენა აღინიშნა; 7. ქრისტიანობის დამკვიდრების ხანაში ეპოქალურ მოვლენებთან ერთად სხვა დანიშნულება შეიძინა არაერთმა ადრექრისტიანულმა საკრალურმა ობიექტმა, მათ შორის **მეგლმა (სვეტი, სტელა)**. ამან, როგორც ჩანს, სახელის ქართველურ ვარიანტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა: „**ნაკურთხი, კურთხეული**“ > „**წმინდა**“.

ჩვენი ვარაუდით: *ქართ.* მეგ-ლ-ი „საკრალური სვეტი სხვადასხვა დანიშნულებით“; *ზან.* ჯგ-ირ/ერ- (<*ჯაგ-ორ) „წმინდა, ძლიერი (სვეტი)“; *სვან.* ლი-ჯგ-ორ- (<*ჯეგ-ორ) „კურთხეული (სვეტი)“. ხოლო სემანტიკური გადასვლები სვანურსა და ზანურში ასე უნდა წარმართულიყო: *ზან.* *ჯაგირი/ჯაგერი; *სვან.* *ჯეგერი „**სვეტი**“ > „**ნაკურთხი სვეტი**“ > ჯგირ „**კურთხეული**“ > „**წმინდა, კარგი, მძლე**“. შესაბამისად, **ჯგირ** გიორგი „**წმინდა** გიორგი“.

დაახლოებითი რიცხვითი სახელი მეგრულ-ლაზური ენის მეგრულ დიალექტში

სამეცნიერო ლიტერატურაში ტრადიციულად სამი ჯგუფის რიცხვით სახელზეა მსჯელობა, ესენია: რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი. ამ ძირითადი ჯგუფების გვერდით შეიძლება გამოიყოს დანაწევრებითი, დაახლოებითი და შემკრებლობითი რიცხვითი სახელები. მეგრულში დანაწევრებითი რიცხვითი სახელების შესახებ მოხსენება წარმოდგენილი იყო 36-ე დიალექტოლოგიურ სამეცნიერო სესიაზე. ამჯერად განვიხილავთ **დაახლოებით** რიცხვით სახელებს, რომლებიც მიუთითებენ საგანთა არა ზუსტ რაოდენობაზე, არამედ რეალურ რაოდენობასთან ახლოს მყოფზე.

დაახლოებითი რიცხვითი სახელები კომპოზიტებს წარმოადგენენ, რომლებიც შეიძლება იწარმოებოდეს თვლისას ერთმანეთის მომდევნო რიცხვით სახელთა შეერთებით: **ჟირ-სუმი** „ორი-სამი“, **ხუთ-ამშვი** „ხუთი-ექვსი“, **შქვით-ბრუო** „შვიდი-რვა“, **ჩხორო-ვითი** „ცხრა-ათი“... კომპოზიტში შემავალი რიცხვითი სახელები შესაძლებელია ერთმანეთის მომდევნო არ იყოს: **ვით-ვითოჟირი** „ათი-თორმეტი“, **ჟიროშ-ჟიროშჟარნჟდოვითი** „ორასი-ორასორმოცდაათი“, **ანთას-ანთასხუთოში** „ათასი-ათას ხუთასი“...

ხუთი-ამშვი კოჩი მიშუ შარას „ხუთი-ექვსი კაცი მიდიოდა გზაზე“.

ვით-ვითოჟირ შური საქონელქ მეუდინუ ჭყიშის „ათი-თორმეტი სული საქონელი დაეკარგა მწყემსს“ (შდრ. „არსენას ლექსიდან“: „ათი-თორმეტი ყაზახი გასწევს თრიალეთისკენა“).

ჟიროშ-ჟიროშჟარნჟდოვითი კოჩი ორდ მულირი „ორასი-ორასორმოცდაათი კაცი იყო მოსული“.

ანთას-ანთასხუთოშ კოჩქ დიშაყარ „ათასი-ათას ხუთასი კაცი კაცი შეგროვდა“.

ე საქემეშ კეთებას შქვით-ბრუო დღა ვაბადუ „ამ საქმის გაკეთებას შვიდი-რვა დღე არ ეყოფა“.

ართი „ერთი“ და **ჟირი** „ორი“ რიცხვითი სახელების შეერთებით აღინიშნება არა მიახლოებითი რიცხვი, არამედ სათანადო სა-

განთა მცირე რაოდენობა: **ართ-ყირ კოჩიში ნარაგადუს ვაუჩა გური** „ერთი-ორი კაცის ნათქვამს ყურს ნუ უგდებ“.

დაახლოებითი რიცხვითი სახელები დამახასიათებელია როგორც მეგრულ-ლაზური ენის მეგრული და ლაზური დიალექტებისთვის, ისე სხვა ქართველური ენებისთვისაც.

ნ ი ნ ო ჯ ო რ ბ ე ნ ა მ ე

ინტერნეტენა, როგორც უმწერლობა ქართველური ენებისა და დიალექტების შენარჩუნება-განვითარების ფაქტორი

მე-20 საუკუნის შუა წლებიდან, ინდუსტრალიზაციისა და ურბანიზაციის მომძლავრების პირობებში, ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისა და სტანდარტიზაციის პარალელურად და საპირისპიროდ, **უმწერლობა ქართველური ენებისა და დიალექტების** ნიველირებისა და დასუსტების ტენდენციებიც აღინიშნა. იმავეითვე გაცხადდა ის კატასტროფული შედეგები, რაც ამ პროცესის შეუფერხებლივ გაგრძელების შემთხვევაში დადგებოდა.

შემდგომმა წლებმა ეს პროცესი არათუ ვერ შეაჩერა, მეტიც – დააჩქარა კიდევ, რაშიც ლომის წილი ტელევიზიისა და რადიოს ფართო გავრცელებამ შეიტანა.

21-ე საუკუნეში, საყოველთაო გლობალიზაციის პირობებში, თითქოსდა სიტუაციის მკვეთრ გაუარესებას ველოდით, საპირისპირო შედეგი კი გვაქვს და ამაში, როგორც აღმოჩნდა, წვლილი გლობალიზაციისვე პროდუქტს – ინტერნეტს შეაქვს. განსხვავებით ტელევიზიისა, რომელიც, როგორც არაერთგზის აღნიშნულა, უმწერლობა ქართველური ენებისა და დიალექტების ნიველირებას უწყობდა ხელს, ინტერნეტი, პირიქით – მათი დამკვიდრება-გავრცელების ხელშემწყობი აღმოჩნდა; რაც, საბოლოო ჯამში, ზოგადად ამ ენა-დიალექტების შენარჩუნება-გამძლიერებას განაპირობებს. ეს უნივერსალური, გლობალური მოვლენაა და თანამედროვე ქართულშიც კანონზომიერად ვლინდება.

აღნიშნულ დადებით დინამიკას რამდენიმე ფაქტორი განაპი-

რობებს: ინტერნეტენის არაოფიციალური ხასიათი, ინტერნეტმომხმარებელთა კუთხური მრავალფეროვნება, უმწერლობო ქართველური ენების/დიალექტების ფორმა-კონსტრუქციათა გამომხატველობითი სიუხვე და კოლორიტულობა და მრავალი სხვა...

მ ა რ ი ნ ა ჯ ღ ა რ კ ა ვ ა

ხოლო და -თი ნაწილაკიან არსებით სახელთა ბრუნების საკითხები ზანურში

„ზანურში არსებით სახელებთან გვხვდება ქართული -ც(ა)-ს შესატყვისი **ხოლო** და **თი** ნაწილაკები.

აღსანიშნავია, რომ მეგრულში **ხოლო** და ლაზურში **ხოლ/ხოლო** ასრულებს ზმნიზედის ფუნქციასაც და განსაზღვრებითი („-ვე“) ნაწილაკის ფარდია რიცხვით სახელებთან და ზმნიზედებთან (ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა, 2015).

არსებით სახელთან **ხოლო** ნაწილაკი ცალკე იწერება და დაერთვის ყველა ბრუნვის ფორმას მხოლოდითა და მრავლობითი : **კოჩი ხოლო** „კაციც“, **ულა ხოლო** „წასვლაც“, **გურქ ხოლო** „გულმაც“, **მუშობათ ხოლო** „მუშაობითაც“, **ბოშიშე ხოლო** „ბიჭისგანაც“...

ზანური -თი ნაწილაკი მეგრულში -თე/-თ ვარიანტებითაცაა წარმოდგენილი. არსებით სახელებთან მას გამლიერებითობის მნიშვნელობა აქვს.

მეგრულში მოთხრობით, მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვებში ბრუნვის ნიშნებსა და -თი ნაწილაკს შორის ჩნდება მავრცობი/თანხმოვანგამყარი, ლაზურში კი – არა (ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა 2015).

ზანურ ტექსტებსა და ზეპირ მეტყველებაში არ ფიქსირდება -თი ნაწილაკისა და მისი ვარიაციების გამოყენება მოქმედებითი ბრუნვის ფორმასთან, რადგან ენა ვერ გულობს სხვადასხვა სემანტიკის, მაგრამ მსგავსი ჟღერადობის აფიქსთა ერთად წარმოთქმას (მეგრ. **კოჩ-ით-თი**; ლაზ. **კოჩი-თე-თი**). ამ შემთხვევებში მას ჩაენაცვლება **ხოლო** ნაწილაკი.

არნ. ჩიქობავას მიერ ჩაწერილ ტექსტებში გვხვდება ლაზურ-

ში -თი ნაწილაკის ბრუნვის ნიშნის წინ ხმარების შემთხვევაც – **ფადიშა-თი-ქ**.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება **ხოლო** და -თი ნაწილაკ-დართულ არსებით სახელთა ბრუნების პარადიგმები მეგრულსა და ლაზურში.

გ ი ო რ გ ი ჯ ღ ა რ კ ა ვ ა , ი გ ო რ კ ე კ ე ლ ი ა

აღმოსავლური წარმომავლობის ანთროპონიმები ოდიშის სამთავროში (XIX ს-ის საოჯახო სიების მიხედვით)

2013 წელს გამოიცა ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს თავადაზნაურთა ოჯახების აღწერის მასალები, შეკრებილი 1850-1854 წლებში, მთავარ დავით ლევანის ძე დადიანის ხელმძღვანელობით. საოჯახო სიები ინტერესს იწვევს გვარ-სახელების ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. სიების გაცნობა ცხადყოფს, რომ ოდიშის სამთავროში ამ დროისთვის ფართოდ იყო გავრცელებული **-ყან**, **-ხან**, **-ბი**, **-მირზა / მურზა...** ფორმანტიანი ანთროპონიმები. ალ. ღლონტის ცნობით, „სვანური და მეგრული ტრადიცია იცნობს სხვა ენობრივი ერთობის ანთროპონიმებსაც (მათუყ, მამსირყვა, მირზაბეგ, მძიფხან, მისრახან, თემყვა...)“ (ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, 1986: 31). ნასესხები ანთროპონიმების დაწერილობისა და წარმოქმნის თვალსაზრისით წერილობით წყაროებში არაერთგვარობაა.

თურქული წარმომავლობის **-ყან** პოლისემანტიკურ სიტყვას ორი მნიშვნელობა აქვს: 1. სისხლი; 2. მეფე. ადიღურ ენებში **-ყან** ლექსემა სახელებისა და გვარების მაწარმოებელია და, დ. კოკოვის აზრით, მისი ამოსავალი მნიშვნელობაა „ვიღაცის აღმზრდელი“ (კოკოვი, ადიღური (ჩერქეზული) ანთროპონიმის საკითხები. ნალჩიკი, 1973: 144). აღწერის მასალებში დასტურდება **-ყან** ლექსემით მარკირებული საკუთარი სახელები: **მურზაყან // მურმაყან** და **თათრაყან // თართაყან**.

-**ხან** ელემენტი თურქულენოვან და მონღოლურ ხალხებში ფე-

ოდალ მმართველთა ტიტულის აღმნიშვნელია. საკუთარი სახელები ამ მაწარმოებლით ფართოდ ყოფილა გავრცელებული ოდიშში, განსაკუთრებით ქალთა სახელებად. მამაკაცთა სახელებად აღწერის მასალებში გვხვდება: **ალმასხან, ყაზრისხან, გუჯაბახან** (ალ. ღლონტი ასახელებს ვარიანტს – **გუჯმახანი** და **გუჯუმახანი**: ღლონტი, 1986: 109), **ეშახან, თარახან** (შდრ.: **თარაზხან-ი**: ღლონტი, 1986: 129), **თარხან, ზისხან, თალხანა**, ხოლო ქალთა სახელებად: **დარუხან, დუდუხან, სელემხან** (შდრ.: **სელიმხან, სელუმხან** – ღლონტი, 1986: 297), **სერეხან, სირმაუხა** (შდრ.: **სირმახან** – ღლონტი, 1986: 298), **ფატმახან, ჯარამხან, ჯარუხან** (შდრ.: **ჯარუმხან** – ღლონტი, 1986: 317), **ჯერანხან**.

-**ბი** მაწარმოებლიანი სახელებიდან აღწერის მასალებში შეგვხვდა **ანლამბი** და **ბეჟირბი**. აღმოსავლეთის ზოგიერთ ხალხში სახელის წინ ან ბოლოში დართული **მირზა/მურზა** მაწარმოებლის ამოსავალია არისტოკრატიულობის ტიტულის, განათლებულობის ან მდივან-მწიგნობრობის გამომხატველი სპარსული **მირზა** (კოკოვი, 1973: 58). **მირზა**-ფორმანტიანი საკუთარი სახელებიდან საოჯახო სივრცეში დასტურდება **მიზარბეგ, მიზარბეგა** და **თეიმურაზ**. **ბეგი** უმაღლესი სამხედრო წრის წარმომადგენელს აღნიშნავდა. მ. ჯიქიას აზრით, ბალყარულსა და ყარაჩაულში **ბეგი (ბეჯ)** წარმოითქმის როგორც **ბი (ბიჯ)** (ჯიქია, თურქული წარმომავლობის ანთროპონიმები ქართულში. კრ. „აღმოსავლური ფილოლოგია“, ტ. III, 1973: 213). ამასთანავე, **-ბი** ელემენტის სემანტიკური ნიუანსი ყაბარდოულ ლექსიკაში არის „მდიდარი“ (ყაბარდ. ბეი/ადიდ. „ბაი“ „მდიდარი“). საილუსტრაციო მასალა: **ალლანბეგ, მიზარბეგა**.

ჩერქეზული წარმომავლობისაა **-ყვა** (ქართ. „ძე, შვილი“). ამ ლექსემითაა მარკირებული საკუთარი სახელები: **თემურყვა, სესირყვა, ოსეყმა (ოსეყვა?)**.

აღწერის მასალებში გვხვდება აღმოსავლური წარმომავლობის სხვა ანთროპონიმებიც. კერძოდ, **ჯარისმან, ყათრან, ყარამან, სოსრან, ისლამ, შარვან, ჯამლეთ//ჯამულეთ, ბესლან, მაგვიჯასპირ, სადლარ, ასტანდარ, ოსმანა, ჯამსუყ, ინდუხტი, იბრუხტი, სიბრუხტი, სიდუხტი...**

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ ანთროპონიმთა სესხება-შეთვისება ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. მეგრულსა და სვანურში აღმოსავლური წარმომავლობის ანთროპონიმთა ფართოდ გავრცელებას ჩრდილოეთკავკასიურ ენებთან – ადიღურ-ყაბარდოულთან, ბალყარულთან და ყარაჩაულთან მეზობლობა, ასევე აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთან სოციალურ-ეკონომიკური, სამეურნეო, კულტურული და სხვა სახის კონტაქტები განაპირობებდა.